

ვესტნიკი
საბჭოთა




საბჭოთა

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

В. О. ДОЛИДЗЕ

Г А Р Б А Н И


ПАМЯТНИК ГРУЗИНСКОЙ АРХИТЕКТУРЫ
IX—X вв. в ХЕВИ



ვენეციის ღოლიქა

გ ე რ გ ე ნ ი

ქართული ხუროთმოძღვრების
IX-X სს. ძეგლი ნეუმი





წინასიტყვაობა


ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი პროვინციის — ხევის მატერიალური კულტურის ძეგლთა შესწავლასთან დაკავშირებულია მით უფრო რთული და მნიშვნელოვანი ამოცანა, რომ ჩვენს საისტორიო მწერლობაში ხევი ძალიან ძუნწადაა მოხსენიებული.

წერილობით საბუთებში სათანადო მასალები არ მოიპოვება. რომელთა შესწავლითა და დახმარებით შესაძლებელი იქნება მოხვევთა ისტორიული სურათის აღდგენა. ამრიგად, ნივთიერი ძეგლები და დღეს ცნობილი მცირეოდენი წერილობითი ცნობები ხევის შესახებ, ფრიად შეზღუდულ წყაროს წარმოადგენს ფეოდალური საქართველოს ამ პროვინციის შესასწავლად.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეს კუთხე მხარეთმცოდნეთა და ეთნოგრაფთა შეუწელებელი ყურადღების საგანია, მისი ისტორია დღემდე არ არის საკმაოდ გამოკვლეული და შესწავლილი — ისტორიული წერილობითი ცნობები ხევის შესახებ უაღრესად მცირეა.

ამავე დროს ხევში შემორჩენილია ისტორიული ხუროთმოძღვრების ძეგლები, რომელნიც სერიოზული ყურადღების ღირსია. ამ ძეგლებში, ხუროთმოძღვრული ღირებულების გარდა, საგანგებოდ ხაზგასასმელია მათი ისტორიული მნიშვნელობაც: ძველ ნაშენთა ნანგრევები და მატერიალური კულტურის სხვადასხვა ნაშთები უტყუარი მოწმენი არიან წარსულისა და ერის შემოქმედებისა. ამ ძეგლების საშუალებით ჩვენ შეგვიძლია გავითვალისწინოთ ისეთი მხარეები პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებისა შორეულ წარსულში, რომელთა შესახებ სხვა წყაროები ან სდუმს, ან უაღრესად ძუნწად გვაწვდის რასმე.

ამდენად ხევის ისტორიული ხუროთმოძღვრების ძეგლთა გამოვლინებას და მეცნიერულ შესწავლას შეუძლია დამხმარე მასალა მოგვცეს საქართველოს ამ განაპირა კუთხის ისტორიის სათანადო გაშუქებისთვისაც. რა თქმა უნდა, როგორც საერთოდ ხელოვნების, ასევე ხუროთმოძღვრულ ძეგლთა მიმართაც თანაბრად მართებუ-



ლია ისტორიული მიდგომის პრინციპი, რომელიც ჯერ კიდევ ნ. გ. ჩერნიშევსკიმ ჩამოაყალიბა. იგი წერდა: «Все произведения искусства не нашей эпохи и не нашей цивилизации непременно требуют, чтобы мы перенеслись в ту эпоху, в ту цивилизацию, которая создала их; иначе они покажутся нам непонятными.»¹

ჩვენამდე მოღწეული ხუროთმოძღვრული ძეგლები ნანგრევების სახითაც კი ძვირფასია ჩვენთვის, ვინაიდან ისინი ორგანულ კავშირად გვევლინებიან წარსულსა და აწმყოს შორის და თვალნათლივ გვიამბობენ მათი შემქმნელი ხალხის ისტორიულ სვე-ბედსა, მსოფლმხედველობასა და კულტურის შესახებ. «Ибо каковы бы ни были разрушения культуры,—ამბობდა ლენინი,—ее вычеркнуть из исторической жизни нельзя, ее будет трудно возобновить, но никогда никакое разрушение не доведет до того, чтобы эта культура исчезла совершенно. В той или иной своей части, в тех или иных материальных остатках эта культура неустраима.»²

სამეცნიერო ლიტერატურაში ხევის ხუროთმოძღვრული ძეგლები დღემდე არ ყოფილა სპეციალური განხილვის საგანი. ყველა გამოცემულ შრომაში, რომელიც ხევს შეეხება, ხუროთმოძღვრული ძეგლები ან გამოჩენილია მხედველობიდან, ან ეძღვნება მხოლოდ გაკვრით რამდენიმე სტრიქონი³. ამ წესს არ აცდა არც 1950 და 1954 წწ. გამოცემული ი. არჯევანიძის წიგნი⁴. დამახასიათებელია, რომ წიგნის იმ ნაწილში, რომელსაც სათაურად აქვს «Историческое прошлое Хсви», ავტორი ამთავრებს რა რუსი არქეოლოგების მიერ XIX ს. მეორე ნახევარში ყაზბეგში მოპოვებული გვაროვნული (შეცდომით წინაგვაროვნულსაც წერს) ეპოქის ძეგლების შესახებ საუბარს, პირდაპირ გადადის XVIII ს. დროინდელი ამბების თხრობაზე, ხოლო ხევის საშუალო საუკუნეების ხუროთმოძღვრული ნაგებობები სათანადო ყურადღების გარეშე რჩება. ამის გამო, როგორც სამართლიანად აღინიშნა, „ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ხევის ისტორია XVIII საუკუნიდან იწყება, ხოლო ამ

¹ Н. Г. Чернышевский об искусстве, М., 1950, стр. 48.
² В. И. Ленин. VII съезд РКП(б), Доклад о пересмотре программы и изменения названия партии, Соч. изд. 4, т. 27, стр. 105.
³ საქართველოს ზოგიერთი მთიანი რაიონების ხუროთმოძღვრული ძეგლებისადმი მიძღვნილ წიგნში—М. И. Джандиери, Г. И. Лежава, Архитектура горных районов Грузии, М., 1940,—ავტორები ხევს არ ეხებიან.
⁴ И. Арджеванидзе. Военно-Грузинская дорога, Тб., 1950; 1954.

ეპოქამდე ხევს საკუთარი ისტორია არ ჰქონდეს, ანდა ყოველ შემთხვევაში მასზე მსჯელობა არც ღირდეს. რა თქმა უნდა სინამდვილეში ეს ასე არ არის⁵.

სინამდვილეში
ეპოქამდე
ხევს საკუთარი
ისტორია არ
ჰქონდეს

დღეს, როდესაც ქართული საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობის მოწინავე სპეციალისტთა მიერ ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის ძირითადი საფეხურები გარკვეულია, შესაძლებელი ხდება საქართველოს ისტორიული პროვინციის — ხევს დღემდე შეუსწავლელი ხუროთმოძღვრულ ძეგლთა გამოკვლევა და მათთვის შესაფერისი ადგილის მიჩნევა ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიულ განვითარებაში. ხევში არა ერთი შესანიშნავი ძეგლია შემორჩენილი როგორც თავდაცვითი ხასიათისა, — ციხეები, კოშკები და ციხე-სახლები, ასევე საკულტო დანიშნულების ხუროთმოძღვრული ნაგებობები.

მათი შესწავლა ნაკარნახევია, გარდა ზემოაღნიშნული მნიშვნელობისა, აგრეთვე იმ განსაკუთრებული პოპულარობით, რომელიც საქართველოს სამხედრო გზამ მოიპოვა საბჭოთა კავშირის მშრომელთა ფართო მასაში. სავსებით კანონზომიერია ის პატრიოტული ცნობისმოყვარეობაც, რომელსაც ამავე დროს სამხედრო გზის გასწვრივ მდებარე ხუროთმოძღვრულ ძეგლთა მიმართაც იჩენს ჩვენს ხალხი.

ხევს ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შესასწავლად ამ ბოლო წლებში მივიღინებულ იქნა ექსპედიციები ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ⁶. ინსტიტუტის ექსპედიციებმა, აზომეს და შეისწავლეს ხევს როგორც ტიპური ხალხური საცხოვრებელი სახლები, ასევე საკულტო ხუროთმოძღვრების ძეგლები. ჩვენ, როგორც ამ ექსპედიციების წევრმა სხვა სამუშაოებთან ერთად განვიზრახეთ საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარე სოფ. ვარბანის (ხევი) ხუროთმოძღვრული ძეგლის გამოკვლევა. ხუროთმოძღვრული აზომვისა და მთელი გრაფიკული მასალის თეთრად შესრულების გარდა, ჩვენ მიერვეა ჩატარებული ძეგლის სრული ფოტოფიქსაციაც. ძეგლი ნანგრევების სახითაა ჩვენამდე მოღწეული და,

⁵ ვ. ი თ თ ნ ი შ ვ ი ლ ი, ი. არძევანიძე. Военно-Грузинская дорога, „მნათობი“, № 8, 1950, გვ. 167.

⁶ მუზეუმის ექსპედიცია შეისწავლიდა თავდაცვითი ხასიათის ნაგებობებს. მოკლე ანგარიში მოცემულია წერილში: П. П. Закарая. Фортификационные сооружения Шидა-Картли, Краткие сообщения ИИМК, вып. XLVI, М., 1952, стр. 122—134.

სამწუხაროდ, დიდხანს დაუმსახურებლად მოკლებული იყო სათნაო
დო ყურადღებას.



1953 წ. სექტემბერში ხევის სწვა ძეგლთა შორის
ინახულა სსსრ კულტურის სამინისტროს არქიტექტურის ძეგლთა
დაცვის კომიტეტის ექსპედიციამ, რომელმაც ძეგლის შემდგომი
დაცვის ღონისძიებები დასახა.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს ერთ-ერთი ჩრდილო განაპირა პროვინცია — ხევი კავკასიონის გადაღმა მდებარეობს თერგისა და სნოს წყლის ვიწრო ხეობებში. როგორც ვხედავთ, პროვინციის ტოპოგრაფიული ხასიათი სავესებით გამოთქმულია მის სახელწოდებაში. ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით იგი კახეთის ფარგლებში შედიოდა — „ხოლო სულ ჩრდილოეთით, თერგის ხეობის დასაწყისში იყო „ქევი“⁷. თვით ტერმინი „ხევის“ მნიშვნელობა მოცემული აქვს თავის გამოკვლევაში აკად. ივ. ჯავახიშვილს, რომელიც აღნიშნავს, რომ... «хэви» обозначало не только «ущелье», но и провинцию, даже страну; это сохранилось в языке даже до настоящего времени: местность населенная горами-грузинами, называется «хэви»... იქვე, ქვემოთ აკად. ივ. ჯავახიშვილი ხაზს უსვამს „ხევის“ როგორც ჩვეულებრივ ტერმინს საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ერთეულის აღსანიშნავად, დაყოფისა, რომელიც საქართველოს ტოპოგრაფიულ პირობებზე იყო დამყარებული; ხევის სათავეში მდგომ თანამდებობის პირს კი ქვევითავე უწოდებდნენ⁸.

XVII საუკუნის დასაწყისში ვახუშტი ბაგრატიონი ხევის ასე აგვიწერს: „...მთიულეთის ჩრდილოთ არს ქევი, გარდავალს გზა ქევის, ჯადის დასავლეთიდან კავკასსა ზედა. არამედ არს დაბალი და უტყეო; ზამთარს ვერა ვლის ამას ზედა ცხენი თოვლის სიდიდითა; ზაფხულ არს ბალახიანი, ყვავილიანი“⁹.

დიდებული კავკასიონის ქედის კლდეებსა და ხეობაში მიმავალი სამხედრო გზა, თავისი სრულიად განსაკუთრებული ტოპოგრაფიულ თავისებურებათა გამო, მრავალრიცხოვან მოგზაურს იზიდავს ზაფ-

⁷ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი II (მე-2 გამოც.) თბ., 1948, გვ. 38.

⁸ И. Джавахов. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VIII, Государственный строй древней Грузии и древней Армении, т. I, С.-Петербург, 1905, гв. 35.

⁹ ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ. 1941, გვ. 66. თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით.

ხულის პერიოდში აქაური გრანდიოზული ბუნების სურათების სანახავად; მისი წარმტაცი, პირქუში და თავისებურად ცხოველბატული ხედები ყოველწლიურად იპყრობს ტურისტებისა და მკვლევარ-წვერის ხშირი სტუმრების — ალპინისტების რაზმებს. ჯერ კიდევ იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში“ მოიხსენიებს ვინმე იოსებ მოხევეს, რომელიც XVII საუკუნეში პირველი „აღვიდა მყინვარის მთასა შინა, კაცთაგან შეუფალსა“...¹⁰ ამ დროიდან მოყოლებული, არა ერთ რუს, ქართველ და უცხოელ სამეცნიერო ექსპედიციებს უცდია მეტნაკლები წარმატებით ყაზბეგის დაპყრობა.

პირველ საბჭოთა ექსპედიციებს 1923-25 წლებში ქართველი მეცნიერები გ. ნ. ნიკოლაძე და ა. ი. დიდებულოძე მეთაურობენ¹¹. შემდგომი წლების ექსპედიციები თანმიმდევრულად ამდიდრებს მეცნიერებას გაბედული იერიშების შედეგებით. საქართველოს ალპინისტებმა 1948 წ. მნიშვნელოვანი მიღწევა მოიპოვეს: აღმოჩენილ და გამოკვლეულ იქნა ვახუშტის „გეოგრაფიაში“ მოხსენიებული გამოქვაბული „ბეთლემი“, რომლის ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობი იყო¹². იმავე წელს ბრწყინვალედ ჩატარდა მასობრივი ალპინისტური ლაშქრობა მყინვარზე. წითელი ალმით დამშვენებული 5025 მეტრის სიმაღლის მწვერვალიდან ხუთასზე მეტ მოზეიმე ახალგაზრდამ უპატაკა სამშობლოს გამარჯვება¹³.

ამ კუთხის სიამაყეს მარტო მყინვარი არ შეადგენს. ხევის სრულიად თავისებურად ცხოველბატულს, ალპიური საძოვრებით მოფენილს, მკაცრ, მაღალკლდოვან არემარეს განსაკუთრებულ სიცოცხლეს ანიჭებს თერგის „ფრიალ მსწრაფლი“ დინება, რომელსაც გაბალებით ერთვიან ალაგ-ალაგ „წყალნი, მთით დაქანებულნი“.

აქ არ შეიძლება კაცს არ მოაგონდეს „მგზავრის წერილები“, სადაც თავისი მამულის დიდმა მოჭირნახულე ილიამ საქართველოს მომავალზე ოცნება თერგს დაუკავშირა: „ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ... მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“...¹⁴

¹⁰ იოანე ბატონიშვილი. კალმასობა. კ. კველიძის და ალ. ბარამიძის რედაქციით. თბ., 1948, ტ. II, გვ. 210.

¹¹ პროფ. გ. ნ. გუბტმანი. გამოჩენილი გეოგრაფები და მოგზაურნი, თბ., 1942, გვ. 109-110.

¹² Александра Джанаридзе. Пещера Бетлеми, газ. „Заря Востока“, 12/II, 1948, № 30 (7181).

¹³ „Заря Востока“, 26 IX, 1948 г., № 193 (7344).

¹⁴ ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. II, თბ., 1950, გვ. 21.

სამხედრო გზის ორივე მხარის გასწვრივ აღმართული ზვიად მთების ქედები და თოვლიანი მწვერვალები ხევის ბუნების მომწიფებლად სიდიადეს ქმნის, რაც არაერთხელ არეკლილა მხატვრული ტერატურის გამოჩენილ რუს და ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებაში. ხევის ბუნების წარმტაცი სურათების ხილვით გატაცებულ მოგზაურს აქაური მხარე მოაგონებს ალექსანდრე ყაზბეგის მოხევე-გმირთა ცხოვრებასა და ბრძოლას.

ჩვენი რესპუბლიკის ამ განაპირა კუთხის მოსახლეობას ძველ-თავანვე შეადგენდა ქართველი მთიელების ერთ-ერთი შტო, რომელიც მოხევეთა გამაერთიანებელი სახელწოდებითაა ცნობილი. ეთნოგრაფიულ გამოკვლევებში აღნიშნავენ, რომ ეს სახელწოდება ყოველგვარი ეთნონიმის გარეშეა წარმოქმნილი და დასახლების ადგილთანაა დაკავშირებული¹⁵. მის პირველ ხსენებას ვხვდებით თამარ მეფის მემატიანესთან იქ, სადაც მოთხრობილია მთის ტომთა ამბოხება, რომელიც მიმართული იყო ფეოდალური ინსტიტუტის განმტკიცების წინააღმდეგ მთაში¹⁶. მემატიანე გვატყობინებს: „იწყეს მთეულთა განდგომად, კაცთა ფხოველთა და დიდოთა“¹⁷.

თამარ მეფეს მათ დასამორჩილებლად საგანგებო ჯარი შეუყრია — „მოუწოდა მეფემან ათაბაგსა და ყოველთა მთეულთა: დვალთა, მოხევეთა, ჯადელთა... და წარავლინა მათ ზედა“¹⁸.

ჩვენთვის აქ საინტერესო ისიც არის, რომ ამ დროიდან მოყოლებული ხევის რაიონის მოსახლეობა სხვა „მთეულთაგან“ გასარჩევად მოხევეებად მოიხსენიება, ხოლო ტერიტორია — „ხევის“ სახელწოდებით. უფრო ადრინდელი, პირდაპირი ცნობები „ხევის“ შესახებ არ შემონახულა.

ვახუშტი ბაგრატიონის დახასიათებით მოხევეები „კაცნი არიან ბრძოლნი, ძლიერნი, ახოვანნი, ჰეროვანნი ვითარცა მთიულნი, გარნა ესენი უმჯობესნი ყოვლითა“¹⁹. მოხევეებს, გარდა საერთო ტერიტორიისა, რომელიც თერგისა და სნოს წყლის ხეობებშია მოქცეული, საკუთარი დიალექტიც აერთიანებს, რომელზედაც დღემდე მეტყველებენ მოხევეები.

¹⁵ რ. ხარაძე. გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციის გადმონაშთები მოხევეებში (ხელნაწერი). გვ. 1—2.

¹⁶ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია. თბ., 1946. გვ. 212—213.

¹⁷ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. კ. კეკელიძის რედაქციით. თბ., 1941. გვ. 138.

¹⁸ იქვე.

¹⁹ ვახუშტი. დასახ. შრ. გვ. 68.

უძველეს ცნობას საკუთრივ ხევის ტერიტორიის შესახებ XIV და XV სს. საბუთები-გვაწვდის.

სამების ტაძრის „სულთა მატთანში“ ჩართულია 1429 წლის დათარიღებული გერგეტელ-საყდრისშვილთა საბუთი, რომელიც მოხევეთა ყრილობის დადგენილებას წარმოადგენს. ამ ხელნაწერში აღნიშნულია ხევის ყრილობა ანუ კევობა, რომელიც მთელი ხევის გამაერთიანებელ კრებას წარმოადგენდა. საბუთში ნათქვამია: „...შევიყარნით კევი კევობით კობით და გუელეთამდი. მხეველები მოგეცით თქვენ გერგეტელთა საყდრიშვილებს“...²⁰ და სხვ.

XV საუკუნის ამ ხელნაწერის მიხედვით იგივე საზღვრებია ხევისთვის აღნიშნული, რომელიც ბოლო დროისათვისაც დასტურდება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ხევის საზღვრები კობიდან იწყებოდა, რომელიც შემდეგი დროისათვის უკვე ყანობით შეიცვალა²¹.

ერთი საუკუნით უფრო ადრინდელი საბუთი—გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“ საყურადღებო ცნობას შეიცავს ხევის ჩრდილო საზღვრის შესახებ. XIV საუკუნის სამართლის ეს ძეგლი შედგენილია მთიულთათვის და მის კანონებს ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონია. მეფეს წინასწარი სამზადისი და მუშაობა ჩაუტარებია და საქმეების შესასწავლად დარიალამდის მისულა. „...და მივედით დარიელამდის... დარიელით მობრუნებულთა ვილოცეთ ლომისის მთავარმოწამის წინაშე“²². ამის საფუძველზე „ძეგლის“ სამოქმედო ასპარეზის ჩრდილოეთის საზღვრად აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით დარიალი უნდა ყოფილიყო.

რაკი გიორგი ბრწყინვალეს სიტყვით, მცხოვრებთა იურიდიული მდგომარეობის გამოსარკვევად, იგი დარიალამდის მისულა და შემდეგ სამხრეთისაკენ უბრუნებია პირი, ამიტომ ცხადია, დარიალი უნდა მივიჩნიოთ დასახლებული რაიონის, ე. ი. ხევის ტერიტორიულ საზღვრადაც.

ამრიგად, დღევანდელი ხევის ფარგლებს თითქმის უცვლელად მოუღწევია ჩვენამდე.

²⁰ ქ. შარაშიძე. საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.) მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 245—251, 271.

²¹ რ. ხარაძე. ტერიტორიალურ-თემური მმართველობის ჭადმონაშთები ხევში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვ. II (იბეჭდება).

²² ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წ. 1, თბ., 1928, გვ. 100.

დღეს ხევი ადმინისტრაციულად ყაზბეგის რაიონში შედის. იგი შედგება სამი ძირითადი ხეობისაგან: თრუსოს, თერგისა და სნოს. თრუსოს ხეობაში ოსები მოსახლეობენ, ხოლო დანარჩენებში ქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ, ჯვრის უღელტეხილიდან ლარსამდე, ქართველი მოხევეები.

ხევის ტერიტორია საქართველოს სამხედრო გზის არამცირე მონაკვეთს შეიცავს. თავისი გეოგრაფიული მდებარეობით სამხედრო გზა ყოველთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნების ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი, ბუნებრივია, ამიერკავკასიის რკინიგზის აგებამდე, რომელიც ექსპლოატაციაში შედის გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში²³.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ რუსეთისათვის ცენტრალური კავკასიის პოლიტიკურ-სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხში, საქართველოს სამხედრო გზის როლი ყურადღებიდან არ გამოჩენია კარლ მარქსს, რომელიც 1853 წ. წერდა: «Кавказские горы отделяют южную Россию от роскошных провинций Грузии, Мингрелии, Имеретии и Гурии, отторгнутых московитянами от мусульман. Этим ноги гигантской империи отрезаны от туловища» და რომ «Единственная военная дорога, заслуживающая это название, вьется от Моздока к Тифлису через узкое Дарьяльское ущелье; она защищена непрерывной цепью укреплений и подвергается с обеих сторон беспрестанным нападениям враждебных кавказских племен»²⁴.

არავგისა და თერგის ხეობებზე მიმავალ ამ გზას ძველად ეწოდებოდა „გზა დარიელისა“ ანუ უფრო სწორად „გზაა დარიელისა“. იგი წარმოადგენდა თავდაპირველად ვიწრო გასასვლელს მთებში და გზის გაყვანამდე მასზე მოძრაობა დაკავშირებული იყო დიდ სიძნელებთან. მისი აღწერა მოცემული აქვთ უკვე ანტიკურ მწერლებს. მათ შორის უფრო სწორი აღწერილობა ბერძენ გეოგრაფს — სტრაბონს (63 წ. ძვ. წ. — 20 წ. ახ. წ.) მოეპოვება იბერიის გეოგრაფიულ მიმოხილვაში, სადაც აკად. ივ. ჯავახიშვილის თქმით ეს გზა ისე ნიშანდობლივ არის აწერილი, რომ შეუძლებელია ადამიანი ვერ მიხვდეს, რომ სტრაბონს ძველი სამხედრო საქართველოს გზა აქვს მხედველობაშიო. „ჯერ სამი დღის სავალი საძნელო გზა არისო, ამბობს სტრაბონი, მერე არავგის ვიწრო ხეობაზე ერთი

²³ Энциклопедический словарь Брокгауз-Эфрон, т. 23.

²⁴ К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. IX, стр. 533, Москва, 1933.



კაცისთვის ოთხი დღის სავალი გზაა, რომელსაც ბოლოში ცნობენ „რაჯებსო“²⁵.

ეს გზა აკავშირებდა ძველთაგანვე ხევეს როგორც ჩრდილოეთით, ისე, რასაკვირველია, აახლოებდა და აერთებდა უფრო სამხრეთ-თანაც — საქართველოს მრავალ კუთხესთან. როგორც ერთ-ერთი უმთავრესი ისტორიული გზა. იგი მიემართებოდა ჩრდილო კავკასიიდან სამხრეთით დარიალის ხეობის გავლით სომხეთსა, სპარსეთსა და შემდეგ ძველ-აღმოსავლური ცივილიზაციის აზიის მოწინავე ცენტრებისაკენ. გარდა ამისა, ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო და სტრატეგიული გზების გზაჯვარედინზე მდებარე მცხეთის საშუალებით, სამხედრო გზა უკავშირდებოდა საქართველოს მრავალ რაიონს და პირველ რიგში უმოკლესი მანძილით მოწინავე სამხრეთ პროვინციებს — თრიალეთსა და ჯავახეთს. ამის შესახებ ზედმიწევნითი ცნობები მოცემული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს: ერთხელ, როდესაც ბაგრატ კურაპალატი „იდგა დღივს“²⁶, რამეთუ განაგებდა საქმეთა ტაოსა და ქართლისათა... წარემართა... გაიარა თრიალეთი, განვლო ხიდი მცხეთისა... დადგა თიანეთს და იწყო შემუსრა კახეთისა“²⁷. იმავე საქართველოს სამხედრო გზით უძველესი დროიდან მოყოლებული საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხებს შორის დამყარებული იყო ურთიერთობა, რომელიც ხშირად სამხედრო კავშირშიც გამოიხატებოდა. ცნობილია ისიც, რომ უცხო სახელმწიფოთა (რომი, ბიზანტია, სპარსეთი) მისწრაფებებში და საგარეო პოლიტიკის ვეგმებში არამცირე როლი ენიჭებოდა დარიალის გასასვლელს — ამ ვიწრო ხეობით იყო შესაძლებელი სამხედრო მიზნებისათვის დაქირავებულ ჩრდილო-კავკასიელ მომთაბარეთა გადმოყვანა. საგულისხმოა, რომ თუ კი პირველ ხანებში იბერიელებს გადმოჰყავდათ დაქირავებული ჯარი უმთავრესად რომაელთა სამხედრო საჭიროებისათვის, მომდევნო პერიოდში იგივე სამხედრო ძალა გამოყენებულ იქნა იბერიელების მიერ თავის საკუთარ მიზნებისათვის. მაგრამ, ამასთანავე ერთად, ჩრდილო კავკასიელი ოსები, ხაზარები და სხვა მომთაბარე ტომები არა ერთხელ თვით საქართველოსთვისაც სახიფათონი გამხდარან. ამიტომ, პოლიტიკური და სამხედრო მოსაზრებით აუცილებელი იყო ქვეყნის ჩრდილოეთის საზ-

²⁵ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი 1, გვ. 422, თბ., 1951.

²⁶ დლივი—ჯავახეთშია, აწინდელი ბოგდანოვის რაიონში. იხ. სერგი იქია. სოფ. დლივის ლოკალიზებისათვის ჯავახეთში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. VII, № 3, თბ., 1946, გვ. 149—152.

²⁷ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1948,



ღერის გამავრება. მართლაც, უკვე სტრაბონის დროს საქართველოს კარი — დარიალის ვიწრო, ღრმა ხეობა, როგორც აღინიშნა, რეზუმირებული ყოფილა. ამასვე მოგვიხსრობს ერთი იმდროინდელი რომაელი მწერალი: „კავკასიის კარები უზარმაზარი ქმნილებაა ბუნებისა, მთების უცარი ვაპობის შედეგი. თვით გასასვლელი მოზღუდულია რკინით შემოჭედილი დარეებით... მდინარის გამოღმა აგებულია კუმანიად წოდებული სიმაგრე, აშენებული იმ მიზნით, რათა დააბრკოლონ მრავალრიცხოვანი ტომების გადმოსვლა“²⁸. მაგრამ, შემდგომში ეს საკმარისი არ გამოდგა და V საუკუნეში, როგორც ქართველი მემატიანე გვაცნობებს, ოსებთან ბრძოლაში გამარჯვებულმა ვახტანგ გორგასალმა „დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი, და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიალისად უწოდთ. და აღაშენა მას ზედა გოდოლნი მალალნი, და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი. არა ხელეწიფების გამოსვლად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა. თვნიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა“²⁹.

ამრიგად, ვახტანგ გორგასალს დარიალის კარი კიდევ უფრო გაუძლიერებია, კოშკებიც აუშენებია და მახლობელი მცხოვრებლები (უნდა ვიფიქროთ აწინდელ მოხევეთა წინაპრები) მცველებად დაუყენებია, ხოლო თვით დარიალის ხეობის სიმაგრეს, ზოგიერთი წყაროს მიხედვით, დარიალის კარი უწოდა³⁰. აქედან მთლიანად გზამაც ძველს ქართულ მწერლობაში ვიილო სახელწოდება — „გზაჲ დარიალანისაჲ“. დარიალის ვიწრო ხეობა ზოგჯერ სხვა სახელწოდებითაც მოიხსენიება: — „არაგვის კარი“, ანდა „ოვსეთის კარი“, ან კიდევ „დარიალის კარი“³¹. ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი (XI ს.) აგვიწერს ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გზებს და ამბობს: „არს ზღუის კარი—დარუბანდი და არაგვის კარი, რომელ არს დარიალანიო“³². უფრო ადრე, VIII საუკუნის ჰაგიოგრაფი იოანე საბანისძე თავის „მარტვილობა აბო ტფილელისა“-ში სწორედ ამავე

²⁸ ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, 1946, თბ., გვ. 78.

²⁹ ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 156.

³⁰ თ. ყორღანიძე. ქრონიკები, I, თბ., 1893, გვ. 50.

³¹ საისტორიო წყაროებში ზოგჯერ მოხსენებულია ჩრდილოეთიდან კავკასიონზე გადმომავალი გზის ჭიშკარი „კასპიის კარის“ სახელწოდებით, რაც ხან დარიალს, ხან კი დარუბანდს გულისხმობდა. იხ. გ. გოხალიშვილი, კასპიის კარი, ენიციკლოპედია V—VI, თბ., 1940, გვ. 469—477.

³² ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბ., 1948, გვ. 65.

„არაგუის კარს“ ახსენებს, როდესაც არაბების მიერ დევნილ ნერსეს ქართლის ერისთავზე ამბობს: „განვლო მან კარი იგი ოცხინესად, რომელსა დარიალან ერქუმის... და შევიდა ქუეყანასა ზენს-ჩარანს ლოასასა“³³.

ამ გზის ისტორიულ მნიშვნელობას გულისხმობს აკად. კ. კეკელიძე როცა აღნიშნავს, რომ „დარიალ-თერგ-ასტრახნის ტრაქტი, რომლითაც XVI—XVII საუკუნეებიდან ასე ხშირად მოგზაურობენ „ქუეყანასა ჩრდილოასასა“ ნერსესავით ლტოლვილნი ქართველთა მეფე-დიდებულნი, ჯერ კიდევ მერვე საუკუნეში და საფიქრებელია, უფრო ადრეც, ყოფილა ქართველების მიერ გატყეპნილი“-ო³⁴.

საკუთრივ ხევის ტერიტორიაზე გაშლილ შემოქმედებით მოღვაწეობაზე მიგვითითებენ ხუროთმოძღვრული ძეგლები, რომელთა შორის უძველესია ს. სიონისა და ს. ახალციხის IX—X ს. არა დიდი ზომის სამნავიანი ბაზილიკები, თავისი მშენებლობით, მტკიცედ დამაკავშირებელი ამ კუთხისა საქართველოს სხვა კუთხეებთან³⁵. არქეოლოგიური მონაცემები რამდენადმე ავსებს ჩვენს წარმოდგენას ხევის იმავე პერიოდის წარსულზე. ასე, მაგალითად, არქეოლოგ ა. პ. კრუგლოვის ცნობებში აღნიშნულია, რომ დარიალის ხეობაში ჩატარებულმა დაზვერვითი ხასიათის მცირე გათხრებმა დიდი მასალა გამოავლინა, უმთავრესად კერამიკისა და მინისა, რომლის უმეტესობა VIII—X საუკუნეებს მიეკუთვნება³⁶.

თავისთავად ცხადია, რომ ხევის, როგორც საქართველოს სამხედრო გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთის შემცველი კუთხის ისტორიულ მნიშვნელობას განსაკუთრებით ხელს უწყობდა ის მიმოსვლა, რომელიც პოლიტიკურსა და სავაჭრო ნიადაგზე იყო გამართული საქართველოსა და მის ჩრდილოეთით მდებარე მეზობელ ქვეყნებს შორის.


საგრძნობლად გაიზარდა ფეოდალური საქართველოს აღმავლობისა და ძლიერების ხანაში (XI — XIII სს. დასაწყ.) „დარიალანის გზის“ როლი, რაც შეპირობებული იყო ერთი მხრივ გაცხოველებული ურთიერთობით საქართველოსა და მის მეზობელთა, განსაკუთრებით ჩრდილო ოსეთს შორის, ხოლო მეორე მხრივ, საქარ-

³³ კ. კეკელიძე. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბ., 1935, გვ. 64.

³⁴ იქვე, გვ. 22.

³⁵ В. Долидзе, Р. Шмерлинг. Военно-Грузинская дорога, Путеводитель по архитектурным памятникам, Тб., 1956, стр. 41—42; 48—51.

³⁶ А. П. Круглов. Археологические работы на реке Терек, Советская археология, № 3, М.—Л., 1937, стр. 247.



თველოს მისწრაფებით — დაემყარებია მეგობრული დამოკიდებულება ფეოდალურ რუსეთთან. მაგრამ უკვე XIII საუკუნეში ლოლთა შემოსევამ დაარბია და დაასუსტა საქართველო. დაუძლებულმა ქვეყანამ შეწყვიტა ურთიერთობა ჩრდილოეთთან.

მშფოთვარე ისტორიულ ხანაში ხევის ძნელად მისადგომი მთები და სოფლები მტრისგან საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ ეს მომენტი არ გამოჩენია ვახუშტის იმ რამდენიმე სტრიქონშიც, რომელსაც იგი სოფელ გერგეტის აღწერას უძღვნის: „ამის (სოფ. სტეფანწმიდის — ვ. დ.) დასავლით არს გერგეთი, არაგვს იქით კიდესა. ზეით ამისსა არს, მყინვარის კალთასა ზედა, მონასტერი სამებისა, გუნბათიანი, მცხეთის სამკაულის სახიზრად (ხაზი ჩვენია — ვ. დ.). სადაცა ესვენა ნინოს ჯვარი, შვენიერ ნაშენი, შვენიერს ადგილს“³⁷.

ვახუშტის მსგავსად ილია ჭავჭავაძეც თავის „მგზავრის წერილებში“ გერგეტის ტაძარს იხსენიებს მონასტრად, „უწინდელ განძთა საფარად“³⁸.

XIV—XV სს. ისტორიულ საბუთებში ხევი მჭიდროდ დაკავშირებული ჩანს საქართველოს სხვა კუთხეებთან. ამას ადასტურებს გერგეტის სამების ტაძრის მოხსენიება მცხეთის საეკლესიო მამულების თ. ყორდანიას მიერ 1392 წლით დათარიღებულ სიგელში³⁹.

საბუთი მოწმობს, რომ სოფელი გერგეტი, თავისი სამების მონასტრით XIV ს. მიწურულში, და ალბათ გაცილებით უფრო ადრეც, მცხეთის მდიდარი საკათალიკოსოს მამულთა რიცხვში ითვლებოდა⁴⁰. საგულისხმოა, რომ მცხეთას ეკუთვნოდა არა მარტო ერთი ეკლესია, არამედ ეკლესიები, „არაგუზე ციხე გერგეტაული“, „სოფელნი, აგარაკნი და ქუაბნი და დარანნი (ჩასასაფრებელი ადგილები) და სიმაგრენი“⁴¹. მკვლევარნი იმ დასკვნამდე მიდიან, რომ მცხეთის საკათალიკოსოს ამ სამფლობელოზედაც იგივე ფეოდალუ-

³⁷ ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 67.

³⁸ ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. II, თბ., 1950, გვ. 25.

³⁹ თ. ყორდანია, ქრონიკები, II, თბ., 1897, გვ. 195—196.

⁴⁰ ქ. შარაშიძე. საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 225.

⁴¹ იქვე.

რი წესები ვრცელდებოდა, რომელიც ცენტრში იყო ჩამოყალიბებული⁴².

ეროვნული
არქივი

თვით გერგეტის სამების ტაძარი, ყაზბეგის წინ მდებარე წვერს აგვირგვინებს და მისი დიდოსტატური დაყენება ხაზს უსვამს გარემომცველი ზვიადი მთების მასშტაბს, მაგრამ ამასთანავე ტაძარი თვითონაც არ იკარგება: ნაგებობის გეომეტრიული ფორმები და მკვეთრი მოხაზულობა თვალსაჩინოდ გამოყოფს მას პეიზაჟში. უცნობი ქართველი ხუროთმოძღვრის ეს ნაწარმოები კარგად გათლილი ქვითაა მოპირკეთებული და იუქურთმითაა მდიდრულად მორთული. ძეგლის მხატვრულ-ხუროთმოძღვრული ნიშნები მას გარკვეული ხანის ქართული ძეგლების წრეში აყენებს. ხევში ერთადერთი გუმბათიანი ეს ტაძარი აგებულია XIII ს. მიწურულსა — XIV ს. პირველ ნახევარში⁴³, ე. ი. როდესაც საქართველოში მონღოლთა ბატონობამ ქვეყანა მძიმე ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებში მოაქცია. ასეთ ვითარებაში მთის წვერზე ამაყად აზიდული ნაგებობის შექმნა ქართული მრავალსაუკუნოვანი ეროვნული კულტურის დაცვისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მაჩვენებელია.

ძეგლის სახელთან დაკავშირებულია ხევის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი საბუთი — გერგეტის სამების „მატიანე მოსაქსენებელი სულთაჲ“, რომელიც XV ს. პირველი ათეული წლებიდან მოყოლებული XVIII ს. მიწურულამდე დაცული ყოფილა ხევში, გერგეტის სამების ტაძარში⁴⁴.

მატიანეში მოხვედრილ XV—XVI სს. ცნობებიდან გარკვევით ჩანს ხევის ურთიერთობა სამხრეთ საქართველოსთან. გერგეტის მატიანის პიროვნებათა და სხვა მსგავსი წყაროების მოსახსენებლების პიროვნებათა დაპირისპირება საფუძველს აძლევს მკვლევართ დასკვნან, რომ „გერგეტის ძეგლი ამჟღავნებს საკმარისად მჭიდრო კავშირის ქსელის არსებობას ხევისა და საათაბაგო — სამხრეთ-საქართველოს ადამიანებს შორის“⁴⁵.

მომდევნო ხანიდან დარიალის გზა ჩრდილოეთთანაც აცხოველებს კავშირს. XVI საუკუნის შუა წლებში რუსეთის გამოსვლამ წინა აზიის პოლიტიკურ სარბიელზე კვლავ აღადგინა დარიალის გზის მნიშვნელობა. მოსკოვმა ფეხის მოკიდება სცადა ჩრდილო კავ-

⁴² ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 250.

⁴³ В. Долидзе, Р. Шмерлинг. დასახ. ნაშრ., გვ. 68—71.

⁴⁴ ქ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), გვ. 220.

⁴⁵ იქვე, გვ. 236.



კასიის აღმოსავლეთ ნაწილში; მდინარე თერგის შესართავთან ააგო და შიგ ჯარი ჩააყენა⁴⁶. მაგრამ უკვე ამ დროს ოსმალეთს მტკიცებული ჰქონდა თავისი დამპყრობი პოლიტიკა ამიერკავკასიაში და მის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა ქართველების მიერ ამ მომენტში გაბმული ურთიერთობა რუსეთთან. 1564 წელს მოსკოვის მეფე ივანემ მფარველობის ხელი გადააფარა კახეთის მეფე ლევანს და მეციხოვნე ჯარიც კი ათხოვა მას. მაგრამ შემოფოთებულ ოსმალეთისა და ირანის მუქარის გამო, რუსეთი იძულებული იყო გაეყვანა თავისი ჯარი როგორც კახეთიდან, ასევე თერგის ციხიდანაც.

რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობის განსაკუთრებულმა გამწვავებამ იმავე XVI საუკუნის ბოლოს, რამდენადმე გამოაცოცხლა დარიალზე მიმავალი გზა. მოსკოვი პოლიტიკურ კავშირს აღადგენს კახეთთან და 1585 წელს მეფე თევდორე ალექსანდრე კახთა მეფეს უგზავნის თავისი ელჩის დანილოვის ხელით სიგელს, რომელშიც კავშირსა და მფარველობას სთავაზობს საქართველოს. ამ ხნიდან მოყოლებული. ვიდრე XVII საუკუნის პირველ წლებამდე, აღინიშნება მრავალი დიპლომატიური მისვლა-მოსვლა, მათ შორის დარიალის გზითაც. დაახლოებით ამ დროის შემდეგ რუსეთ-კახეთის ურთიერთობა და მაშასადამე, მოძრაობა დარიალის გზით კარგა ხნით შეწყდა, ვინაიდან კახეთს შაჰ-აბასის ურდოები დაეპატრონა, ხოლო რუსეთი გლეხთა აჯანყებებმა მოიცვა. რუსეთ-ოსმალეთის ომის პერიოდში (1768 — 1774) რუსეთი ბალკანეთისა და ამიერკავკასიის ქრისტიანი ხალხების მიმხრობას ცდილობდა. თავის მხრივ, საქართველო რუსეთთან კავშირზე დიდ იმედებს ამყარებდა მუსლიმანურ დამპყრობლების ქვეყნიდან გაძევებისა და მომავალში მათ თავდასხმებისაგან დაცვის საკითხში. XVIII საუკუნე, საერთოდ, რუსეთთან დაახლოების ზრდის ხანა იყო.

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში დიდმნიშვნელოვანი ცვლილება ჩაისახა: რამდენიმე საუკუნის წინ მიყრუებული დარიალის სავაჭრო გზა გაიხსნა. ამ გზით საქართველო ეკონომიურად უშუალოდ დაუკავშირდა რუსეთს. რუსეთთან ეკონომიური ურთიერთობა XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და იგი არ შეწყვეტილა საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე. რუსეთის ჯარის მიერ გაყვანილი საქართველოს სამხედრო გზა დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა ერთადერთ სახმელეთო კომუნიკაციას, რომელიც აკავშირებდა ამიერკავკასიის რუსეთთან. რუსეთთან შეერთების პირველ დღეებიდანვე საქართველო ვა-

⁴⁶ ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია. თბ., 1946. გვ. 313.

ნიცდის რუსული კულტურის კეთილმოქმედ გავლენას. საქართველოს სამხედრო გზამ XIX საუკუნეში დიდი როლი შეასრულა კულტურულ-პოლიტიკური კავშირის განვითარებაში რუსეთსა და მისი ერკავკასიას შორის, რამაც თავისი ანარეკლი პოვა ლიტერატურაშიც. საქართველოს ცხოვრება, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ჰეროიკით მოცული მისი ისტორიული წარსული, ამ ბრძოლის სულისკვეთებით გამსჭვალული ხალხური შემოქმედება, და ბოლოს, საქართველოს ცხოველხატული ბუნება — ყოველთვის იზიდავდა რუს პოეტებსა და მხატვრებს, უღვივებდა მათ ახალ აზრებსა და შემოქმედების წყურვილს. დიდი რუსი კრიტიკოსი ვ. გ. ბელინსკი მკვეთრად ახასიათებს ჩვენი მხარის როლს რუსული პოეზიის იმ კორიფეთა შემოქმედებაში, რომელთაც საქართველოს სამხედრო გზით იმოგზაურეს.

«Странное дело!—წერს ვ. გ. ბელინსკი,—Кавказу как будто суждено быть колыбелью наших поэтических талантов, вдохновителем и пестуном их музыки, поэтической их родиной! Пушкин посвятил Кавказу одну из первых своих поэм—«Кавказского пленника», и одна из последних его поэм—«Галуб» тоже посвящена Кавказу; несколько превосходных лирических стихотворений его также относятся к Кавказу. Грибоедов создал на Кавказе свое «Горе от ума»: дикая и величавая природа этой страны, кипучая жизнь и суровая поэзия ее сынов вдохновили его оскорбленное человеческое чувство на изображение апатического, ничтожного круга Фамусовых, Скалозубов... И вот является новый великий талант (Лермонтов)— и Кавказ делается его поэтической родиной, пламенно любимую им; на недоступных вершинах Кавказа, венчанным вечным снегом, находит он свой Парнас; в его свирепом Тереке, в его горных потоках, в его целебных источниках находит он свой Кастальский ключ, свою Ипокрену»⁴⁷.

ძველთაგანვე არსებული კულტურულ-პოლიტიკური კავშირი რუს და ქართველ ხალხთა შორის კიდევ უფრო განმტკიცდა XIX საუკუნის 60-იან წლებში, რასაც მნიშვნელოვნად ხელს უწყობდა ქართველობა, რომელიც რუსეთში დებულობდა განათლებას. ქართველი ახალგაზრდობა დარიალის გზით მიდიოდა რუსეთში მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტებში სასწავლებლად.

⁴⁷ В. Г. Беллинский. Избранные сочинения, ОГИЗ, М., 1948, стр. 158.

60-იან წლებში რუსეთში შეიქმნა ქართველი სტუდენტების „თერგ-დალეულია“ წრე, რომლის მეთაური და იდეური ხელმძღვანელი ილია ჭავჭავაძე იყო. მის გარშემო შემოკრებილი ქართველი სტუდენტობა ეცნობოდა და ითვისებდა რუსეთის რევოლუციონერი დემოკრატების დიად იდეებს, რუსულ მწერლობას, მეცნიერებას და განათლებული უბრუნდებოდა სამშობლო ქვეყანას. ამ სტუდენტა წრისაგან შეიქმნა ის ბირთვი, რომელმაც საქართველოში დაბრუნების შემდეგ შეადგინა ინტელიგენციის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის „პირველი დასი“. მას სათავეში ედგა როგორც იდეური ბელადი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი კლასიკოსი — ილია ჭავჭავაძე. რუსმა მწერლებმა გარკვეული როლი ითამაშეს რუსულ და ქართულ კულტურას შორის კავშირის განმტკიცებასა და თანამეგობრობაში.

„თერგ-დალეული ადიზარდა რუსულ მწერლობასა და მეცნიერებაზე და შეითვისა, შეიხორცა ნათელი აზრები რუსეთის განათლებულის საზოგადოებისა და ხელსავეს მოვიდა სამშობლო ქვეყანაში“⁴⁸.

საქართველოს ისტორიის, ხალხისა და მისი ყოფის, ხალხური შემოქმედების ახლო გაცნობამ უხვი მასალა მისცა გამოჩენილ პოეტებსა და მწერლებს ქართველი ხალხისადმი სიყვარულის იდეებით გამსჭვალული მრავალრიცხოვანი ნაწარმოებნი შეექმნათ. სწორედ ამიტომ, სავსებით გასაგებია პოეტ-დეკაბრისტის ა. ბესტუჟე-მარლინსკის სინანული, რომელსაც იგი გამოთქვამს იმის გამო, რომ ცნობები საქართველოს შესახებ უცხოელებიდან მოდისო და რომ ეს ცნობები არაა სწორითი „... мы осуждены читать сказки какого-нибудь Рейнегса, родословную каких то языков Гюльденштедта или историю завтраков кавалера Гамбы“⁴⁹.

პოეტი, რომელიც კარგად იცნობდა საქართველოს ცხოვრებას, ეთნოგრაფიას, ისტორიას, ხალხურ შემოქმედებას, აკრიტიკებს მეცნიერებს უყურადღებობისათვის ქართველი ხალხის ცხოვრებისა და შემოქმედების მიმართ. რასაკვირველია, ეს მთლიანად შეეხება არქიტექტურის ძეგლებსაც. მართლაც არ შეიძლება გაცეხება არ იწვევდეს, რომ ი. გიულდენშტეტს, რომელმაც ორჯერ იმოგზაურა საქართველოს სამხედრო გზით 1771—72 წწ. ყურადღება არ მიუქცევია არც ერთ ხუროთმოძღვრულ ძეგლისათვის; მისი მგზავრობის

⁴⁸ ილია ჭავჭავაძე. თხულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი III გვ. 306. თბ., 1953.

⁴⁹ Русские писатели о Грузии. Изд. «Заря Востока», თბ., 1948, გვ. 143.



ჩანაწერები არაფერს აძლევს სამხედრო გზის ძეგლებით დაინტერესებულს⁵⁰.

საქართველოს სამხედრო გზით იმოგზაურეს აგრეთვე ი. რეინეგსმა⁵¹, ი. კლაპროტმა⁵², შ. გამბამ⁵³, ფ. დიუბუამ⁵⁴, გ. მერცბახერმა⁵⁵ და ნაკლებად ცნობილმა სხვა პირებმა. ყველა ისინი შენიშვნებსა და ცნობებს გვაწვდიან გზის შესახებ, ლეგენდებსა და საეკლესიო დღესასწაულებზე, ეთნოგრაფიულ საკითხებზე, მაგრამ ძალიან ძუნწად მოიხსენებენ ჩვენთვის საინტერესო ხევის ხუროთმოძღვრულ ძეგლებს.

დაკვირვებული და განსაკუთრებით ქართული ხუროთმოძღვრებით დაინტერესებული, მხატვრული შეგრძნებით, დაჯილდოებული შვეიცარიელი მოგზაური და არქეოლოგი — ფ. დიუბუა, ხევის ძეგლების შესახებ მხოლოდ ძუნწ ცნობებს გვაწვდის. ამასთანავე იგი დაწვრილებით აღწერს თერგის ხეობასა და სამხედრო გზას, მოჰყავს ყველა არსებული ცნობები, გადმოცემები, ლეგენდები. ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებით საინტერესოა, რომ როგორც კლაპროტი, დიუბუასაც ყურადღებიდან არ გამოორჩა ეკლესია, რომელსაც იგი „ისნოს“ უწოდებს⁵⁶, მაგრამ ნამდვილად კი სოფ. გარბანის ძეგლს გულისხმობს. ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი.

დიუბუას შემდეგ, პ. უვაროვაც იმავე არასწორი სახელწოდებით მოიხსენიებს აღნიშნულ ძეგლს⁵⁷. საერთოდ, ხევის ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა საკითხში, პ. უვაროვა არ გასცილებია ი. კლაპროტსა და ფ. დიუბუას.

⁵⁰ I. G. Güldenstädt. Reisen nach Georgien und Imerethi, Berlin, 1815 ი. კლაპროტის წინასიტყვაობით.

⁵¹ I. Reineggs. Allgemeine historisch—topographische Beschreibung des Kaukasus, II, Hildesheim und St. Petersburg, 1797. ხევის ძეგლებიდან აღნიშნავს მხოლოდ გერგეტის სამებას (გვ. 81—82).

⁵² Reise in den Kaukasus und nach Georgien unternommen in den Jahren 1807 und 1808 von Julius von Klaproth, B. 1—II, Halle und Berlin, 1812—1814. გერგეტის სამება „ბერძნული გემოვნებითა აგებული, თამარ მეფის მიერ“ (I გვ. 681). ახსენებს აგრეთვე გარბანის ეკლესიას (გვ. 686—7).

⁵³ Ch. Gamba. Voyage dans la Russie méridionale, et particulièrement dans les provinces situées au delà du Caucase, II, Paris, 1826.

⁵⁴ Dubois de Montpéroux. Voyage autour du Caucase..., t. IV, Paris, 1840.

⁵⁵ G. Merzbacher. Aus den Hochregionen des Kaukasus, t. II, Leipzig, 1901.

⁵⁶ Dubois de Montpéroux, დასახ. შრ., გვ. 264.

⁵⁷ И. С. Уварова. Кавказ, путевые заметки, М., 1887, гв. 100—101.

უნდა ითქვას, რომ ხევის ხუროთმოძღვრული ძეგლები, როგორც წესი, ლიტერატურაში არაა დაყენებული მათ კუთვნილებით. გილზე ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა შორის, ანდა მათგან ლებითაც არ მოიხსენიება. გამონაკლისს შეადგენს ხევის ერთადერთი გუმბათიანი ტაძარი — გერგეტის სამება, რომელიც შეტანილია ქართული და სომხური ძეგლების მიმოხილვისადმი მიძღვნილ, დ. ბაქრაძის წიგნში⁵⁸. იგივე ძეგლი, როგორც „საშუალო საუკუნეების“ ქართული ხუროთმოძღვრების წარმომადგენელი, მოყვანილია A. Buxton-ის ნაშრომშიც⁵⁹, სადაც ძეგლი ავტორის მიერ მიჩნეულია როგორც რამდენადმე უფრო გვიანი ნაწარმოები, ვიდრე საფარის მონასტრის ტაძარია. მაგრამ ამასთანავე დაუსაბუთებლად თარიღდება X ან XII საუკუნით (?). უკვე ეს გარემოება ნათლად გვიჩვენებს ავტორის გაურკვევლობას ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის საკითხებში. ამრიგად, აღნიშნულ ავტორთა შრომები არ უზასუხებს ხევის ხუროთმოძღვრულ ძეგლთა საკმაო დახასიათების ამოცანას, მათი სწორი დათარიღების საკითხს და აქედან საქართველოს ამ კუთხის ისტორიული ცხოვრების ეტაპების გამოვლენას.

საბჭოთა მკვლევართაგან ცალკეული ძეგლისა და ნაგებობების მთელ ჯგუფთა (სიმაგრეები, კოშკები) დაკვირვებულ კვალიფიციურ დახასიათებას, თუმცა არა ყოველთვის ზუსტს დათარიღების მხრივ (გარბანი), ა. პ. კრუგლოვი იძლევა თავის წერილში, რომელიც აშუქებს ГАИМК-ის ექსპედიციის მიერ 1934-35 წწ. ხევიში ჩატარებული მუშაობის შედეგებს⁶⁰. სამწუხაროდ, უფრო გაშლილი ანგარიშის გამოქვეყნება ექსპედიციის ორწლიანი მუშაობის შესახებ ა. პ. კრუგლოვს აღარ დასცალდა — იგი დაიღუპა ლენინგრადის დაცვისათვის ბრძოლაში.

ხევის ცალკეული ხუროთმოძღვრული ძეგლების შოკლე აღწერა გაკვრით და ზოგიერთის ფოტორებროდუქცია ს. მაკალათიას წიგნშიც არის მოცემული. აქ მოტანილია უმთავრესი საკულტო და თავდაცვითი დანიშნულების ნაგებობები⁶¹. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა აღწერა არა საკმაო სისრულითაა

⁵⁸ Д. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства, тб., 1875, 83. 127—128.

⁵⁹ A. Buxton. Russian mediaval architecture, Cambridge, 1934, 83. 95—96, ტაბ. 92, 93, 102, 105.

⁶⁰ А. П. Круглов. Археологические работы на р. Терек. Советская археология, № 3, М.—Л., 1937, 83. 245—250.

⁶¹ ს. მაკალათია. ხევი. თბ., 1934, 83. 111 — 128, სურ. 34—50, 83. 208—236, სურ. 68, 70—83.

მოცემული. მათი ხუროთმოძღვრების დახასიათების ნაცვლად ზოგადი, საერთო ხასიათის ცნობებია. ამასთანავე, ძეგლთა აღწერების მხრივ თავს იჩენს საკითხის ნებისმიერი გადაწყვეტა. ავტორი იძლევა არასწორ თარიღებს, რომელთა დასაბუთებას არც ცდილობს. მაგალითად, გერგეტის სამებას იგი X—XI ს. მიაკუთვნებს⁶². წიგნში ვხვდებით სხვა ხასიათის შეუსაბამობასაც, როგორცაა, მაგალითად, სიონის ბაზილიკის მოხსენიება „ორნეფიან ბაზილიკად“⁶³ და სხვ.

ამ ბოლო ხანებში გამოცემული წიგნებიდან ნ. სევეროვის ხუროთმოძღვრულ ალბომში მოთავსებულია გერგეტის სამების ტაძრისა და სამრეკლოს ზოგადი ხედი და გეგმები. მოკლე ანოტაციით⁶⁴. ორიოდ წლის წინათ გამოიცა მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის გზამკვლევი — „Военно-Грузинская дорога“, სადაც მოცემულია მოკლე ცნობები საქართველოს სამხედრო გზისა და მას მახლობლად მდებარე ისტორიული ძეგლების შესახებ; ხევის უმნიშვნელოვანეს ნაგებობათა მოკლე, ხელოვნებათმცოდნეობითი დახასიათების პირველი ცდაც აქაა მოცემული⁶⁵. ამ ნაშრომშივეა პირველად აღწერილი მოხეური კოშკური ტიპის სახლი და ციხესახლები⁶⁶. ნაშრომს ახლავს 30 ილუსტრაცია, მათ შორის ხევის ძეგლებს დაეთმო 13 ნახაზი და 6 ფოტოსურათი.

თავისთავად ცხადია, რომ ის შეცდომები და ხარვეზები, რომელსაც არა ერთი ავტორის შრომებში შევხვდებით ჩვენთვის საინტერესო საკითხში, უმთავრესად გამოწვეულია ხევის ხუროთმოძღვრულ ძეგლებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიული გამოკვლევების უქონლობით. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, უმნიშვნელო არაა ხევის ისტორიული სურათის სწორი წარმოდგენისთვის. ხევის ტერიტორიაზე შემონახულია ქართული ხუროთმოძღვრების საეკლესიო ნაგებობათა თითქმის ყველა ძირითადი ტიპი: დარბაზული ეკლესია გვერდითი სათავსოებით, სამნავიანი ბაზილიკა, გუმბათიანი ტაძარი

⁶² ს. მაკალათია. დასახ. ნაშრომი, გვ. 227.

⁶³ იქვე, გვ. 215.

⁶⁴ И. П. Северов. Памятники грузинского зодчества, М., 1947, стр. 184, таб. 62.

⁶⁵ В. Долидзе, Р. Шмерлинг. Военно-Грузинская дорога, Путь-водитель по архитектурным памятникам, Тб., 1956, гв. 39—75. იხ. რეცენზია — ვ. ითონიშვილი — ტურისტის გზამკვლევი. ვახ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, № 156, 29/XII—1956.

⁶⁶ დასახ. ნაშრ. გვ. 47—48, 51—58. ხევის საცხოვრებელი სახლების ტიპების შესახებ უფრო ვრცლად იხ. ვ. დოლიძე. საცხოვრებელი სახლი ხევში, ქართული ხელოვნება, ტ. 5.

და ბოლოს, სრულიად უბრალოდ და უპრეტენზიოდ ამენებულ
მცირე ზომის ცალნავიანი ეკლესია. ეს უკანასკნელი ტიპი, რომელიც
აგება ხელმისაწვდომი და ტექნიკურად უმარტივესი იყო, ხევის ეკ-
ლესიათა ძირითად მასას შეადგენს, იმ დროს როცა სიონის ბაზი-
ლიკა, ახალციხის ბაზილიკა და გერგეტის გუმბათიანი ტაძარი („სა-
მება“) ამ ხუროთმოძღვრული ტიპების ერთადერთი წარმომადგენ-
ლებია. ხუროთმოძღვრულ ძეგლთა მრავალსახეობა და მათი ინდი-
ვიდუალური მნიშვნელობა თვალსაჩინოდ განასხვავებს ხევის ზოგი-
ერთ მთიან რაიონისაგან (ზემო სვანეთი, ლეჩხუმი). რომელთაც
არც ერთი ბაზილიკური ან ცენტრალურ-გუმბათიანი ტიპის ძეგლი
არ გააჩნიათ, თუმცა ფართოდ გაშლილი ჰქონიათ დარბაზული ეკ-
ლესიების მშენებლობა მინაშენებით, ან მათ გარეშე. ხევის დარბა-
ზული ეკლესიების უმრავლესობა მხატვრული თვალსაზრისით ინ-
ტერესის აღმძვრელი არაა. მხოლოდ დამატებითი სათავსოებით
გართულებული, მოზრდილი ზომის, უგუმბათო, დაუთარიღებელი
ეკლესია სოფ. გარბანში, თავისი დროის მხატვრულად გააზრებულ-
სა და დასრულებულ ხუროთმოძღვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს,
რომელიც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

თავი პირველი

სოფ. გარბანის სურთომოდვრული ძეგლის აღწერა

სოფ. გარბანი რაიონული ცენტრის ყაზბეგის სამხრეთით მდებარეობს და მისგან 8 კილომეტრითაა დაშორებული. იგი საქართველოს სამხედრო გზის ორივე მხარეზეა გაშენებული, სოფ. სიონსა და ანდეზიტს შორის.

აკად. ივ. ჯავახიშვილი სოფ. გარბანს მეორე ადგილზე მოიხსენიებს სოფ. სტეფანწმინდის (აწინდელი ყაზბეგი) შემდეგ, როგორც ისტორიული კახეთის უკიდურეს ჩრდილოეთ ადგილს⁶⁷. სხვა წყაროებში სოფელი გარბანი XV საუკუნის გერგეტელ-საყდრის შვილთა საბუთშია ნახსენები⁶⁸.

1. საგნის ლიტერატურა. ქართულ მატრიანებში არავითარი ცნობა არ მოიპოვება გარბანის ტაძრის შესახებ. არც ვახუშტის „გეოგრაფია“ ახსენებს მას. ძეგლის მოკლედ მოხსენიებას ვხვდებით როგორც XIX საუკუნის თბილისის პრესაში, ისევე კავკასიის ცალკეულ მკვლევარ-მოგზაურთა წიგნებშიც. ავტორთა ყურადღებას ხევში იპყრობდა მოხვევები და მათი ცხოვრება, ბუნება, რელიგიური დღესასწაულები, ლეგენდები და ზოგჯერ, ძალიან იშვიათად, სურთომოდვრული ძეგლებიც.

ძველი თბილისის პრესაში არც თუ ისე ცოტა წერილები და კორესპონდენციებია დაბეჭდილი ხევის შესახებ⁶⁹, მაგრამ ეს ნაწე-

⁶⁷ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბ. 1948, გვ. 41.

⁶⁸ მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ. 1954, გვ. 272.

⁶⁹ „სასოფლო გაზეთი“, 1875, № 14; 1876, № 14; 1877, № 24.

„დროება“, 1880, №№ 156, 157, 159, 161, 164, 167, 169, 174, 177.

„ივერია“, 1888, № 209; 1893, № 83; 1897, № 68.

„მწყემსი“, 1898, №№ 10, 22.

„მოგზაური“, 1901, №№ 8, 9.

რები ცოტას გვაწვდის გარბანის ძეგლისათვის; იგი მოხსენიებულია რამდენიმეჯერ საეკლესიო დღეობათა აღწერასთან დაკავშირებით, როგორც ხევის ძეგლი, სათემო ეკლესია. ვინაიდან სოფ. გარბანი შუა ადგილია ხევის მცხოვრებთათვის, ამიტომ ხალხი თავს იყრიდა აქ, ეკლესიასთან — ყველა მძიმე სასისხლო დანაშაულობათა განსახილველად და სათემო, საზოგადო საქმეებზე მოსალაპარაკებლად⁷⁰. ამ წერილებში აღნიშნავენ ეკლესიის თლილი ქვით კარგად ნაგებ კედლებსა და მის წარწერებს. იგი კამარაჩაოქცეული იხსენიება და სხვა დაზიანებებსაც აღნიშნავენ, რომელთა მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ იმდროინდელი გარბანის ეკლესია იმაზე უკეთესად დაცული არ ყოფილა, რა სახითაც მან ჩვენამდე მოაღწია.

წერილების ავტორებს ზოგჯერ ეკლესიის სიძველეც აინტერესებს: მოჰყავთ ხალხის გადმოცემები, რომელნიც ეკლესიის აგებას ვახტანგ გორგასალს, ან კიდევ თამარ მეფეს მიაწერენ. ერთი ავტორი ამის გამო სინანულით დასძენს, რომ „მარტო ხალხის ლაპარაკით ნამდვილის გამორკვევა ერთობ ძნელია, რადგან ამის შესახებ დამამტკიცებელი საბუთი არ გვიპირავს—რა ხელშიო“⁷¹.

მკვლევართაგან პირველი ავტორი, რომელმაც XIX ს. დასაწყისში თავის წიგნში გარბანი მოიხსენია, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი იულიუს კლაპროტია. იგი სწორად იძლევა სოფ. გარბანის ადგილმდებარეობას ხევის სოფლების განლაგებაში. თვით ძეგლის შესახებ მოკლედ შენიშნავს, რომ იგი „ძველი ეკლესიაა ფრიად რეგულარულად ნაგები თლილი ქვით და მასაც გარბანი ეწოდებაო“⁷². ი. კლაპროტმა ყურადღება მიაქცია ეკლესიის სამხრეთ შესასვლელის თავზე მოთავსებულ წარწერას, რომლის გადმონახატსაც იქვე იძლევა ტექსტში, მაგრამ ვერ კითხულობს.

უფრო გვიან ამავე წარწერას ი. კლაპროტზე მითითებით დიუბუაჟ ახსენებს, რომელიც თვით ეკლესიას რატომღაც „Isno“-ს უწოდებს. აღსანიშნავია, რომ ავტორის თქმით კამაროვანი ეკლესია ქვითაა აგებული კირის ხსნარზეო, ე. ი. იმ დროს ნაგებობას ჯერ კიდევ ჰქონია კამარა. დიუბუას მოკლე ცნობაში აგრეთვე აღნიშნუ-

⁷⁰ „ივერია“, 1893, № 83; „მწყემსი“, 1898, № 10. ზოგიერთი საბუთის მიხედვით საყდრის წინაშე „კრებულობის“ გამართვის პრაქტიკას ადრეც ჰქონია ადგილი ხევი. გერგეტის მატჩანეში ჩართულ საბუთში განმარტებულია, რომ კრებას ყოველ ცალკე შემთხვევაში საერთო, საზოგადო საკითხი უნდა ჰქონოდა საგნად „...სოფელს თუ იქნას ჰირი თუ რა...“ იხ. ქ. შარაშიძე. საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.), გვ. 253—254, 271.

⁷¹ ს. გარბანის წმიდა გიორგი და მისი დღეობა, „ივერია“, 1893, № 83.

⁷² I. Klaproth. Reise in den Kaukasus, I, გვ. 687.

ლია დიდი ზომის ქვებით ნაწყობი გალენის კედლები და ბაზალტის
შედგმული, ჯვრით დაგვირგვინებული და ორნამენტით მორთული
სვეტები — საფლავის ქვები⁷³. როგორც ჩანს, დიუბუა იმ სტრუქტურაში
ზე ლაპარაკობს, რომელთა ფრაგმენტები ახლაცაა დაყრილი გარ-
ბანის ეკლესიის ეზოში.

გარდა ამისა თავისი ალბომის მეორე ნაწილში დიუბუა ეკლე-
სიის ჩანახატსაც იძლევა სამხრეთ-დასავლეთიდან⁷⁴. უკანასკნელი
გვარწმუნებს იმაში, რომ დიუბუას დროს ეკლესიას კამარა და ორ-
ქანობიანი სახურავი ჯერ კიდევ მთლიანად შერჩენილი ჰქონია. ალ-
ბომის მესამე ნაწილში კი ეკლესიის სქემატური გეგმაცაა, მხოლოდ
დამატებითი სათავსოების გარეშე — ერთადერთი ნავის სახით⁷⁵. ეს
გარემოება გვაფიქრებინებს, რომ გარბანის ჩრდილო და სამხრეთი
სათავსოები დიუბუას დროსაც ძლიერ დანგრეული იყო და ისინი
აღუნიშნავი დარჩა მას. პ. უვაროვა, რომელიც ადგილმდებარეობის
აღწერისა და ი. კლაპროტის მიერ აღნიშნული წარწერის მოხსენიე-
ბის მიხედვით აშკარად გარბანს გულისხმობს, დიუბუასთან თანხმო-
ბით აგრეთვე „Исно“-ს უწოდებს ეკლესიას და მის ხუროთმოძ-
ღვრებას შეცდომით სოფ. სიონის ბაზილიკასთან აიგივებს...
«церковь, Исно, с шатровой крышей, и вообще одной архи-
тектуры с Сионской»⁷⁶.

საბჭოთა პერიოდის მკვლევართაგან გარბანის პირველ ხსენე-
ბას ს. მაკალათიას წიგნში ვხვდებით. ავტორი მრავალ ეთნოგრაფი-
ულ ცნობებთან ერთად ზოგ რაიმეს ხევის ნევთიერი კულტურის
ძეგლების შესახებაც ვაწვდის, მაგრამ გაკვირვებით და მოკლედ. გარ-
ბანს იგი სულ რამდენიმე სტრიქონს უძღვნის, სადაც აღნიშნავს,
რომ „ტაძარი თავის ფორმით და ნაგებობის ტექნიკით საყურადღე-
ბოა“⁷⁷. ამასთანავე ავტორს რამდენიმე წარწერა მოჰყავს, რომელ-
თაც ვერ კითხულობს.

ა. პ. კრუგლოვმა თავის წერილში, რომელიც 1935 წელს ხევში
ჩატარებული არქეოლოგიური მუშაობის შედეგებს აშუქებს, გარ-
ბანს მოკლე შენიშვნა მიუძღვნა, სადაც სხვათა შორის, ტაძარი და-
უსაბუთებლად VI—VII სს. მიაკუთვნა⁷⁸. არქეოლოგიურ და ეთნო-

⁷³ Dubois de Montpéreux. Voyage autour du Caucase... IV, Paris, 1840, გვ. 264—5.

⁷⁴ მისივე, Atlas. II serie. Pittoresque. Paris, 1843, ტაბ. VI.

⁷⁵ Dubois de Montpéreux... Atlas, III serie. Architecture. Neucha-
tel en Suisse, 1840, pl. IV, fig. 15.

⁷⁶ П. С. Уварова. Кавказ, Путевые заметки, გვ. 100.

⁷⁷ ს. მაკალათია. ხევი. გვ. 218.

⁷⁸ А. П. Круглов. Археологические работы на реке Терек. გვ. 248.

გრაფიულ დაკვირვებებთან ერთად ა. პ. კრუგლოვის ხევის ხუროთმოძღვრული ძეგლებიც აუწერია და მათი სქემატური აზომკვლევები ჩაუტარებია... «некоторые из них, — აღნიშნავს იგი, — представляют значительный интерес, как, например, церковь у сел. Гарбани (VI—VII вв.) с большим количеством грузинских надписей, видимо, особенно почитавшаяся в древности, так как камни от карнизов этой церкви были обнаружены в кладке стены башни Гудушаурского укрепления и на столпообразном святилище в честь св. Георгия, на вершине горы над сел. Сно»⁷⁹. სხვა რაიმე ცნობას კიდევ, ან თვალსაზრისო მასალას ჩვენთვის საინტერესო ძეგლის შესახებ, ა. პ. კრუგლოვის წერილში ვერ ვპოულობთ.

აღნიშვნის ღირსია, რომ გარბანის კარნიზმა ნ. მ. ტოკარსკის ყურადღებაც მიიპყრო, რომელმაც თავის წიგნში VI—VII სს. სომხეთში გავრცელებული თაღებით დამუშავებული კარნიზის ევოლუციის საფეხურად, მცირე აზიიდან მოყვანილი მაგალითის გვერდით, გარბანის კარნიზიც დაასახელა და იგი VI—VII საუკუნეების კარნიზთა სქემაში მოათავსა⁸⁰. ქვემოთ ჩვენ დავუბრუნდებით ამ სქემას თავის ადგილზე, აქ კი მხოლოდ შევნიშნავთ, რომ ტოკარსკის მოსაზრებები, გარბანის კარნიზის სადაურობისა და ქრონოლოგიის შესახებ, აშკარად მცდარია.


მოკლე ცნობას გარბანის ძეგლის შესახებ არქ. მ. ლორთქიფანიძის სადისერტაციო ნაშრომში ვხვდებით. ავტორი ძეგლს ასახელებს როგორც კამარულ კრონშტეინული კარნიზის შემცველს ბაზილიკურ ეკლესიას და საბუთის მოტანის გარეშე წერს, რომ „ეს ძეგლი აზომილია არქიტ. მ. ჩხიკვაძის მიერ და დათარიღებულია VIII საუკუნით“⁸¹... ბოლოს, გარბანი მოკლედ დახასიათებულია 1956 წ. გამოცემულ გზამკვლევაში — «Военно-Грузинская дорога»⁸², სადაც ძეგლის მხატვრულ-არქიტექტურულ მონაცემ-

⁷⁹ А. П. Круглов. Археологические работы на реке Терек, გვ. 248.

⁸⁰ Н. М. Токарский. Архитектура древней Армении, Ереван, 1946, გვ. 120, სურ. 22.

⁸¹ არქიტექტორი მ. ლორთქიფანიძე. ქართული კარნიზები. სადისერტაციო შრომა წარმოდგენილი არქიტექტურის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. გვ. 18, დაცულია ს. მ. კირიკის სახელობის საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენისანი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 1950 წ.

⁸² В. Долидзе, Р. Шмерлинг. Военно-Грузинская дорога, стр. 43—47.

თა და დეკორატიული ელემენტების შესრულების ხასიათის სიღრმე-
ველზე წამოყენებულია მისი აგების თარიღად IX და X სს.  სს.
რომლის დასაბუთებაც სხვა საკითხთა შორის მოცემულია წმინდა
ბარე გამოკვლევაში.

2. ძეგლის აღწერა. გარბანის ეგრეთ წოდებული „ქ-
როს ბებერი წმიდა გიორგის ეკლესია“ სოფლის სამხრეთ-აღმოსავ-
ლეთის კიდის, შედარებით უფრო შემადლებულ ადგილზე მდებარეობს. სამარხებიან პატარა გორაკიდან, რომელზედაც ეკლესიაა
აგებული, ყოველ მხარეს მეტად საინტერესო მრისხანე უმცენარო
ლანდშაფტი იშლება (იხ. ტაბულა ტექსტის წინ). თუმცა აქ ხევი
უფრო ფართოა, ვიდრე, ვთქვათ, დარიალი. იგი მაინც მკაცრ, პირ-
ქუს შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან შემოზღუდულია მცენარეუ-
ლობას მოკლებული ცივი და „იდუმალი“ ტონის გრანიტისა და
პორფირის მაღალი კლდეებით. პირისპირ გადაჭიმული მთაგრეხი-
ლები ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ავიწროებენ დაცემულ ადგილს.
სადაც აჩქარებული თერგის მარჯვენა ნაპირს მოასფალტებული
სამხედრო გზა მისდევს. მთაგრეხილთა ზვიად პერსპექტივაში, შორს,
ყუროს მთის მოლურჯო ფონზე ყაზბეგის ნაგებობები მოჩანს. უფ-
რო ახლოს მარცხნივ მთების კალთებზე მოხუერი სოფლებია შე-
ფენილი: ფანშეთი თავისი კოშკით, ქვის კარიერებით ცნობილი სოფ.
ანდუხიტი, ხოლო უფრო ახლოს სოფ. გაიბოტენია. მისგან ჩრდი-
ლოეთით კი — მაღლა, მთის მწვეანე ფერდობზე, განმარტობითაა
სოფ. თოთი. სამხრეთ დასავლეთით, შეგჯუფულ მთებს შორის,
უზარმაზარი, ტერასებად აზიდულ ქაბარჯინას მთის კალთის ფონ-
ზე ნათელი სილუეტით გამოიყოფა სოფ. სიონის ბაზილიკა და სოფ-
ლის კიდეში აღმართული კოშკის მკვეთრი მოხაზულობა.

თითქმის უტყეო ხევში, რომლის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონ-
იც შენიშნავს, რომ „არა არს ტყე აქა, არამედ ზიდვენ გველეთის
ქვემოდამ“⁸³, უშუალოდ სოფლების მახლობლად ტყე შერჩენილია
მხოლოდ სოფ. სიონთან და ცალკეული ხეები სოფ. გარბანთან.

თვით გარბანის ეკლესიის ეზოს ერთ დროს ზღუდავდა ახლა
უკვე ძლიერ დანგრეული, სწორკუთხოვანი მოხაზულობის გალავა-
ნი, რომელიც ჯერ კიდევ 1893 წ. უნახავთ ნახევრად შერჩენილი⁸⁴.
იგი მშრალად ნაწყობია საკმაოდ მოზრდილი ქვებისაგან, რომელთა
შორის კარგად შერჩეული, საშუალო და მცირე ზომის ქვებიც არის.
ჩვენამდე მოღწეული გალავნის ნაშთი გვიჩვენებს რომ ეკლესიას

⁸³ ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 68.

⁸⁴ გ. ბ-შვილი. ს. გარბანის წმიდა გიორგი და მისი დღეობა, „ივერია“,
1893 წ., № 83.

ეზო სამხრეთით ჰქონდა: გალავნის ჩრდილო კედელი ძეგლის ჩრდილო ფასადის ხაზზეა და ორივე კიდიდან ეკვრის მას, ხოლო გალავნის სამხრეთის კედელი კი 30—35 მეტრის მანძილითაა დასავლეთისაკენ ეკლესიას. მთლიანად გალავანი თავისი დიდრონი ქვებისაგან მზრუნველობით ნაგები კედლებით მკვეთრად განსხვავდება ეზოსთან მომიჯნე სასაფლაოს ტლანქად ნაწყობი ქვა-ყორის ღობისაგან და გარკვეულად სიძველის ნიშნებს ატარებს. გალავანში შესასვლელის ერთადერთი ნაშთი დასავლეთის კედელშია, რომელზედაც ამჟამად დიდი, ფართობოლოებიანი ქვის ჯვარია დადგმული.

არქიტრავიანი შესასვლელი ვიწროა და დაბალი. ძნელია იმის თქმა, იყო თუ არა სწორედ ეს შესასვლელი თავდაპირველად. ის კი უდავოა, რომ მისასვლელებისა და გალავნის შერჩენილი ნაწილის მიხედვით, შესასვლელი მხოლოდ დასავლეთის კედელში უნდა ყოფილიყო გაჭრილი. თვით ეკლესიის ნანგრევების გლუვისიბრტყეებიანი, მაღალი, სახურავ-კამარა ჩამოქცეული ასახულობა ზოგიერთ გზამკვლევის ავტორს კოშკად მიაჩნდა⁸⁵. სინამდვილეში კი იგი წარმოდგენდა ჩრდილო და სამხრეთის მინაშენებით გართულულს დარბაზულ ეკლესიას. კედლის გარეპირისათვის ძირითად მასალად მოყვითალო-მოყავისფრო პორფირიტული ტუფი და მონაცრისფრო ტუფოგენური ქვიშაქვა გამოყენებული. ტაძრის ძირითადი კორპუსი განსაკუთრებით გამოირჩევა მთელ ხევში თავისი კედლების ოსტატური წყობით. მისი გეგმა წესიერ სწორკუთხედს წარმოადგენს (7,15×14,50 მ.), რომელსაც შიგნით, აღმოსავლეთით, საკმაოდ ენერგიული მხრებით გამოყოფილი, ფართო, ნახევარწრიული აბსიდი აქვს (ტაბ. 1). ნავის ორი წყვილი პილასტრი გრძივ კედლებს ყოფს სამ ნაწილად, რომელთა შორის შუა მეტია განაპირებზე. ჩრდილო კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, აბსიდთან ახლოს შესასვლელია გაჭრილი, რომელიც ჩრდილო სათავსოს აკავშირებდა აბსიდთან. გარდა ამისა კიდევ ორი შესასვლელი აქვს ეკლესიას: დასავლეთის კედელში და სამხრეთის კედლის დასავლეთ ნაწილში. ყველა ამ შესასვლელიდან თავისი სიდიდით გამოირჩევა სამხრეთისა.

შენობა უხვად ყოფილა განათებული: ხუთ სარკმლიდან ერთი აბსიდშია, ორი სამხრეთ კედელში და თითო-თითო დასავლეთისა და ჩრდილოეთის კედლებში.

⁸⁵ Н. Д. Казанцев. Военно-Грузинская дорога. Владк. 1913. 51 გვერდზე ავტორი წერს: «...влево от шоссе, против с. Горбани, возвышается старинная банья с продольными трещинами, разрушенная некогда упавшим снежным завалом».

ჩრდილო მინაშენი დღეს ძლიერ დანგრეულია. სადგომის კედლების მხოლოდ ქვემოთა ნაწილის შიგა მოხაზულობაა შერჩენილი. გარეპირის ხაზი თითქმის მთლიანად დაშლილია და ზოგან მხოლოდ დაფარული. შერჩენილი აბსიდის მოხაზულობისა და კედლების შიგა ხაზის მიხედვით ნათლად იკითხება ღრმა აბსიდიანი ვიწრო სადგომი. აღმოსავლეთის მხარეს იგი ტაძრის ძირითადი კორპუსის გარე ხაზს უსწორდება, ხოლო დასავლეთით ტაძრის კორპუსზე უფრო მოკლეა და ამიტომ შენობის საერთო აბრისში საფეხურადაა შეწყული.

სადგომის ჩრდილო კედლის სისქე ძირითადი კორპუსის კედლების ტოლია (1 მ), ხოლო დასავლეთის მოკლე კედელი რამდენადმე უფრო ვიწროა (90 სმ). მინაშენის კედლების წყობაში არაა დაცული სიზუსტე და რიგი, რომელიც ძირითადი კორპუსის სამშენებლო ხერხებს ახასიათებს; არც ქვებია საკმაოდ კარგად გათლილი. გამოჩვენის წარმოადგენს აბსიდი, რომლის ნახევარწრე თანაბარი ზომისა და უკეთესად გათლილი ქვების რიგებითაა გამოყვანილი.

ჩრდილო სათაესოსაგან განსხვავებით, სამხრეთის სადგომი ფასადის მთელ სიგრძეზე იყო აგებული. ამ სადგომიდანაც მხოლოდ აბსიდის მოხაზულობამ და კედლების მონაკვეთებმა მოაღწია ჩვენამდე.


აღსანიშნავია, რომ კედლების სისქე აქ გაცილებით ნაკლებია ძირითადი კორპუსის კედლებთან შედარებით და არ აღემატება 60 სანტიმეტრს.

სამხრეთის კედლის ნანგრევთა მონაკვეთებს შორის ყურადღებას იქცევს მრგვალი სვეტი, რომლის წყვილი ეკლესიის აბსიდში გდია. სვეტების ადგილისა და დანიშნულების შესახებ ქვემოთ შევჩერდებით გეგმის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით.

შინაგანი სივრცე. წაგრძელებული გეგმის მიუხედავად, მთავარი კორპუსის სიგანის თანაფარდობა სიმაღლესთან ისეთია, რომ შერჩენილი ნაწილის მიხედვითაც აშკარად იგრძნობა სივრცის მშვიდი და ჰარმონიული ამართულობა ზვევითკენ (ტაბ. 2). ამ შთაბეჭდილებას ხელს უწყობს მარტივი, მკვეთრად მოხაზული პილასტრების ისეთი განლაგება, რომელიც გრძივი კედლების ცენტრალურ ნაწილში უდიდეს მონაკვეთს გამოყოფს, რითაც რამდენადმე ხაზი ესმება კედლების შუა ნაწილს (ტაბ. 3).

ინტერიერის კონსტრუქციულ ელემენტთა ერთ-ერთ თავისებურებას კამარის საბრჯენი თაღების პილასტრებთან დაკავშირება წარმოადგენს. უკაპიტელო პილასტრებს უშუალოდ ეყრდნობოდა

ვიწრო თაღები, რასაც ამ უკანასკნელთაგან შემორჩენილი ქუსლები
in situ მოწმობს.



ამრიგად, ადვილი წარმოსადგენია, რომ თავის დროს კამარით გადახურულ ნავში მყოფი თვალს შეუჩერებლად აავლებდა უკაპიტელო პილასტრებს, მზერას გააყოლებდა თაღებსა და კამარას და ისევ მშვიდად თვალს ჩამოავლებდა მოპირდაპირე კედლის პილასტრებს.

სამხრეთის შესასვლელის მაღალი, თაღოვანი ხვრელობი და მის ზემოთ პილასტრებთან ახლოს განლაგებული ორი დაგრძელებული სარკმელი, ჩრდილო კედლის მსგავს სარკმელთან ერთად, საერთო მხატვრულ განააზრებს ამჟღავნებს, ხოლო აბსიდის ქვედა ნახევარში გაჭრილი სარკმლის მოყვანილი ვერტიკალი ძეგლის შინაგანი სივრცის ზომიერი ამართვის საერთო სურათს აძლიერებს.

ნავის მთელ სივრცეზე სამსაფეხურიანი, ამალეებული ბაქანი გაკეთებული, რომელიც აბსიდის წინაა რამდენადმე წამოწეული, თითქმის ჩრდილო შესასვლელის ღერძამდე. შესასვლელი ამოშენებულია ქვემოდან რამდენიმე რიგით და ნიშადაა გადაქცეული. (ტაბ. 4). ეკლესიის სამივე შესასვლელს სწორკუთხოვანი მოხაზულობა აქვს, რომელსაც შიგნიდან ღრმა, თაღოვან მოხარჩობებაში ჩასმული, ტიმპანის ფილა აგვირგვინებს, ხოლო გარედან — არქიტრავის გრძელი ქვა ადგია.

ინტერიერი ხასიათდება ყველა შემადგენელი ნაწილის მკაცრი ტექტონიკური სიწმინდითა და ლაკონიურობით, რაც მიღწეულია, უმთავრესად, საპასუხისმგებლო ელემენტების (თაღები, ხვრელობების წიბოები, პილასტრები, კარ-სარკმლების წირთხლები) განსაკუთრებული გულდასმით გამოყვანით, კარგად გათლილი, თითქმის თანაბარი ზომის ქვებით.

აბსიდი შერჩენილია კონქის დასაწყისამდე. სატრიუმფო თაღის სამხრეთის იმპოსტს გამოყოფილი აქვს მოჩუქურთმებული თარო. ზუსტად ასეთივეა ჩრდილოეთის იმპოსტიც, რომელიც ახლა ჩამოვარდნილია და ეზოში გდია. (ტაბ. 5). სამაგიეროდ უვნებლადაა შერჩენილი ორივე მხარეს, კედლებზე, უშუალოდ აბსიდთან, მყოფებისკენ მცირედ დახრილი კონსოლები, რომელთაც მცირე სისქის, გამეორებული სატრიუმფო თაღი ებჯინებოდა. ზვენამდე ამ თაღის მხოლოდ დასაწყისმა მოაღწია. კონსოლების თაროს მოჩუქურთმების მოტივი აბსიდის იმპოსტის ჩუქურთმის ანალოგიურია. იგი წარმოადგენს თაროს ზედაპირის საერთო დონეზე გამოყვანილ ორ რელიეფურ ტალღოვან ზოლს, რომელთა გადაკვეთით მიღებულ წრეებში როზეტებია ჩასმული (ტაბ. 6).

ინტერიერის მორთულობას, ამასთან ერთად, დასავლეთის კედლის ზემოთა ნაწილში მოთავსებული სარკმლის სათაურიც კმეცხეულია — ელემენტი, თავისთავად იშვიათი ქართულ ძეგლთა რისათვის. სათაური წარმოადგენს ორ ლილვს შორის მოქცეულ რელიეფურ ზოლს, რომლის თაღოვანი ნაწილი პორიზონტული მონაკვეთებით ბოლოვდება და ზედანის ქვედა კიდეს მისდევს (ტაბ. 7), სხვა რაიმე მორთულობა ნავს არ გააჩნია. ამ ეკლესიაში პილასტრები მოკლებულია კაპიტელებს⁸⁶. თუ როგორ ბოლოვდებოდა ყველა პილასტრი ქვემოთ, დანამდვილებით ძნელი სათქმელია, რადგან ნავის მთელ შიდა პერიმეტრზე ბლომადაა დაყრილი მიწა და ჩამონგრეული კამარის ქვები. სამხრეთის კედლის აღმოსავლეთის პილასტრის გასუფთავებამ დამატებითი ვერაფერი გამოავლინა.

თუ დასავლეთის კედლის გადაწყვეტაში მკვეთრად ჩანს შესავლელისა და მის ზემოთ მოთავსებული სარკმლის მკაცრი სიმეტრიული განლაგება, გრძივ კედლებზე განლაგებული სარკმლები ხუროთმოძღვრის საწინააღმდეგო მისწრაფებას ამჟღავნებს. ხუროთმოძღვარი ამკარად გაურბის სიმეტრიას და პილასტრებით შექმნილ კედლის მონაკვეთებში, როგორც ჩრდილოეთით, ასევე სამხრეთით, სარკმლებს ასიმეტრიულად ათავსებს — მათ პილასტრებთან აახლოებს. სწორედ ამგვარად განზრახულ მიდგომას ჩრდილო კედლის ერთადერთი სარკმელიც ადასტურებს, რომელიც თითქოს ბუნებრივად სიმეტრიულად უნდა ყოფილიყო ორივე პილასტრის მიმართ, მაგრამ იგი გადაადგილებულია აღმოსავლეთ პილასტრისაკენ. ეს გადაადგილება განსაკუთრებით ენერგიულია სამხრეთის კედელზე, სადაც ორივე სარკმელი დასავლეთისკენაა გადატანილი თითქმის უშუალო მიახლოებით შესაბამის პილასტრასთან. ამავე დროს ყველა არქიტექტურული ელემენტი მოყვანილია, მკვეთრად მოხაზულია ერთ ქვაში გამოკვეთილი სარკმლების წესიერი, ნახევარწრიული, დამაგვირგვინებელი თაღი; კედლის შიგაპირის მასალად გამოყენებულია კარგად გათლილი, ძირითადად თანაბარი ზომის, ღია ფერის ქვის ფილები, ყველგან დაცულია პორიზონტული ნაკერების სწორხაზოვნება.

თუმცა ყველა კედელი და აბსიდი შეუღლესავთ (შეღლესვა ორფენიანია), მხატვრობის კვალი არ ჩანს.

⁸⁶ ეს მოვლენა გამონაკლისს არ უნდა წარმოადგენდეს. მთიულეთის „ცეცხლის ჯვარში“ ზოგიერთი მასალის მიხედვით აგრეთვე უკაპიტელო პილასტრებია, უკაპიტელო პილასტრებს ადგილი აქვს აფხაზეთის ძეგლშიც „ქიაჩ-აბა“. იხ. ლ. რჩეულიშვილის მოხსენება ქართ. ხელოვნ. ისტ. ინსტიტუტში, 24.XII—1951 წ.



შელესილობა გვიანდელი უნდა იყოს, რადგან კარგად გათლილი, მზრუნველობით დალაგებული ქვეები და ბოლოს მორთული (აბსიდის იმპოსტებზე, დასავლეთის სარკმლის ზედანზე) არ ყოფილიყო გათვალისწინებული შელესილობის ქვეშ მოსაქცევად.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ სარკმლებისა და შესასვლელების ხერელობები ამოშენებულია ან მთლიანად, ან ნაწილობრივ, რაც გვიანდელ ცვლილებას წარმოადგენს. გარდა ამისა ტაძრის ფასადების თავდაპირველი ხუროთმოძღვრული სახეც დარღვეულია. ნანგრევები არ იძლევა დღეს მთლიანი, დასრულებული ნაწარმოების შთაბეჭდილებას. მაგრამ, ყველა ფასადის უმეტესი ნაწილი მაინც შერჩენილია და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გადაუკეთებლად არის მოღწეული ჩვენამდე.

აღმოსავლეთის ფასადი. თავისი საერთო აგებულებით აღმოსავლეთის ფასადს თავდაპირველად ბაზილიკური მოხაზულობა უნდა ჰქონოდა: ფრონტონით დასრულებული მთავარი კორპუსი, მინაშენებით ორივე მხრიდან. ამჟამად მინაშენების მხოლოდ მცირე ნაშთიღა შემორჩენილი. შუა, მთავარ ნაწილს ჩამონგრეული აქვს ფრონტონი (ტაბ. 8, 9). ამოვარდნილი ქვების გამო კარგად ჩანს ერთი მხრიდან გათლილი და ერთმანეთთან მჭიდროდ მიწყობილი კვადრები, რომელნიც კედლის „პერანგს“ ქმნიან. იგი ამოვსებულია კირის ხსნარში ჩაფლული ყორე თუ ფლეთილი ქვით, ამგვარად, კედლები ამოყვანილია ქართული მონუმენტალური ხუროთმოძღვრებისათვის ჩვეულებრივი ტექნიკით.

წყობა შესრულებულია თლილი, სწორკუთხოვანი ქვებისგან შედგენილი, არათანაბარი ზომის რიგების გამოყვანითა და ჰორიზონტალური ნაკერების სწორხაზოვნების მტკიცე დაცვით კედლის მთელ სიმაღლეზე. რიგების წყობა შესრულებულია ცალკეული ქვების ჰორიზონტალურად დალაგების პრინციპით.

მთავარი კორპუსის მშენებელი კედლის სიბრტყე განსაკუთრებით კონტრასტულად იკითხება მინაშენებთან შედარებით, რომლებშიც შემორჩენილი ნაწილი უფრო ტლანქადაა ნაწყობი და შეკეთებულის შთაბეჭდილებას ტოვებს.

სამხრეთის მინაშენს წყობის მხოლოდ სამი რიგია შერჩა, სადაც საკმაოდ მსხვილი ზომის ფილებია გამოყენებული. მსახველს თვალში ეცემა ჩრდილოეთის მინაშენის (აღმოსავლეთის კედლის) წყობისა და სამშენებლო მასალის აგრეთვე განსხვავებული ხასიათი. აქ გვაქვს ფიქალისა და მსხვილი, ტლანქად დამუშავებული ქვების მონაცვლეობის ადგილობრივი, ჩვეულებრივი სისტემა, ფართოდ გავრცელებული მთელს ხევში.

როგორც აღინიშნა, მთავარი კორპუსის მშვიდად ამალეობულ მოხაზულობას ჩამოქცეული აქვს ფრონტონი. მისგან შერჩენილია მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხის ფრაგმენტი, რომელიც პორიზონტალურ გადანაკეცზე დაბჯენილს, დახრილი კარნიზის დასაწყისის ორ ქვას შეიცავს. კედლის ქვედა ნახევარში გაჭრილი ერთადერთი მაღალი, ვიწრო სარკმელი თავისი სუფთა და ზუსტი მოხაზულობით კედლის სიმეტრიის ღერძის აღქმას აძლიერებს. სარკმელი დაგვირგვინებულია ნახევარწრიული ხვრელობის მქონე ზედანით, რომლის შემკულობას რელიეფური ზოლისა და გრეხილი ლილვის ოდნავად აზნექილობოლოებიანი შეწყვილებული რკალი წარმოადგენს (ტაბ. 12₂). დანარჩენი კედლის სიბრტყე სრულებით გლუვია. მისი მორთვა მიზნად არ დაუსახავს ხუროთმოძღვარს. როგორც ჩანს მისი ყურადღება მიმართული იყო სადა, მონუმენტური საფასადო კედლის შესაქმნელად. ამიტომაც, რომ კედლის წყობის საკითხს განსაკუთრებული მზრუნველობა ეტყობა. ყველგან ერთი სიმაღლის ქვებია შერჩეული ცალკეულ რიგებში. ასევე შერჩეულია ქვები სიგრძის მხრივაც. საგრძნობი სიგრძის ქვები სათანადო რიგშია თავმოყრილი და თითქმის გამორიცხულია ამ წესის დარღვევის შემთხვევა. მაგალითად, სარკმლის ზედანიდან ზემოთ მეთერთმეტე რიგში თავმოყრილია ოთხი ისეთი სიგრძის ქვა, რომელთა ზომებია: 1) 0,9 მ; 2) 1,55 მ, 3) 1,75 მ და 4) 2,00 მ. ასევე გამოყოფილი ზოლის სურათს იძლევა სარკმლის ზედანის ზემოთ პირველი რიგიც. ის რაც ზემოთ აღინიშნა წყობის შესახებ სხვა ფასადებზედაც შეინიშნება, სადაც რიგების გამოყოფაში, ზოგჯერ ქვის ფერიც თამაშობს როლს. ამგვარად, ძველის კედლის წყობის დამახასიათებელ მხარედ უნდა ჩაითვალოს — რიგების მკვეთრი გამოყოფა ალაგ-ალაგ ქვის ზომებისა და ზოგჯერ, მასთან ერთად, ფერის შერჩევის გზით.

აღსანიშნავია, რომ გარბანში გამოყენებული სამშენებლო ქვა იშვიათია ხევში. ეს გარემოება ადრეც აღუნიშნავთ⁸⁷.

ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით ამგვარი ქვა თერგის გაღმა მდებარე სოფ. ფანშეთში მოიპოვება.

აღმოსავლეთის სარკმლის ხვრელობი თავისი სიმაღლის ნახევარზე ცოტა მეტით, კარნიზის ქვებითაა გვიან ამოშენებული. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გაუმართლებელ ადგილზეა ფასადის კედლის წყობაში სარკმლის ორი ცალი ზედანი: ერთი — კარნიზის სამხრეთ აღმოსავლეთის კუთხის ქვემოთ და მეორე — სარკმლის მარ-

⁸⁷ გ. ბ-შვილი. ს. გარბნის წმიდა გიორგი და მისი დღეობა, „ივერია“

ცხნივ, მეხუთე ქვის ადგილზე. შესაძლებელია, რომ ეს ფრაგმენტები მინაშენებს ეკუთვნოდნენ და დანგრევის შემდეგ, მთავარ კოორდინატებთან დაკავშირებით, მათი ადგილი დაკარგა. ამის დასადასტურებლად, მთავარ კოორდინატებთან დაკავშირებით, მათი ადგილი დაკარგა. ამის დასადასტურებლად, მთავარ კოორდინატებთან დაკავშირებით, მათი ადგილი დაკარგა.

აღმოსავლეთის ფასადი შედარებით უფრო თავისუფალია მიწყარისა და ნანგრევებისაგან. ამიტომ, აქ ადვილად მოვახერხებთ ჩრდილო აღმოსავლეთის კუთხის გასუფთავება საძირკვლამდე. აღმოჩნდა, რომ კედლის წყობა საძირკვლამდე ერთგვაროვანია და მას ცოკოლი არ გააჩნია. ამიტომ, შესაძლებელია, რომ ნაგებობას მთლიანად ცოკოლი არც ჰქონოდა.

სამხრეთის ფასადი. ეზოსკენ მიმართული სამხრეთის ფასადი მთავარი იყო. დღეს მას აკლია მინაშენი მთელ სიგრძეზე (ტაბ. 10, 11). ამ ჩამონგრეულ სათავსოდან ჩვენამდე სამხრეთის კედლის მცირე ნაწილი მოაღწია, რომელიც მიწითა და ნაყარი ქვითაა დაფარული. უფრო კარგად ჩანს მინაშენის აბსიდის ნაშთის წყობა და მისი წესიერი ნახევარწრიული მოხაზულობა. ასევე ნათლად გამოიყოფა ნანგრევებიდან მინაშენის სამხრეთ დასავლეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთის კუთხეები. როგორც გამოყენებული მასალის დამუშავებით, ისე წყობის სისტემით, ყველა ეს ნაწილები ტაძრის მთავარი კორპუსის მონათესავეა და ექვს გარეშეა, რომ მასთან ერთდროულად უნდა იყოს აგებული, ყოველ შემთხვევაში, მათი აგება დიდხანს არ უნდა დაეყოვნებიათ ძირითადი კორპუსის დასრულების შემდეგ.

გამონაკლისს წარმოადგენს მინაშენის სამხრეთ-აღმოსავლეთის ის ნაწილი, რომელიც მშრალად ნაწყობი და ტლანქად მორგებული ქვებითაა ამოყვანილი კედლის ძველ ნაშთზე. აშკარაა, რომ ეს კედლად დალაგებული ქვები გვიანდელი მოვლენაა.

საკუთრივ ეკლესიის ზოგადი მოხაზულობა სამხრეთიდან მშვიდი, გაწონასწორებული პროპორციების წაგრძელებულ სწორკუთხედს წარმოადგენს, რომელიც თაღებით დამუშავებული და ენერგიულად გამოშვებული კარნიზით არის დავიერგვინებული.

კედლის ზემოთა ნაწილში, მისი სიგრძის დაახლოებით შუა მესამედის კიდეებში არათანატოლი სიგანის ორი მაღალი, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. კედლის დასავლეთ მესამედში, სარკმლის ქვემოთ, მოთავსებულია შესასვლელის ფართო და საკმაოდ მაღალი;

სწორკუთხოვანი ხვრელობი, რომელზედაც გრძელი არქიტრავის ქვაა გადადებული. შესასვლელი იმდენად შემცირებულია გვიანდელი ამოშენებით, რომ დღეს ადვილად ვერც კი შევა კაცი. ბულია აგრეთვე სარკმლებიც მათი სიმაღლის ნახევარზე მეტათ. ტაძრის ყველა ხვრელობის ასეთი შემცირება თავდაცვითი საჭიროებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული⁸⁸.

კედლის სიმაღლის დაახლოებით ქვედა მესამედის დონეზე, შესასვლელს არქიტრავის ზემოთა კიდის ხაზზე, ჩატოვებულია კედლის ამოყვანის დროს თანაბარი ინტერვალებით დაშორებული ოთხი სწორკუთხოვანი ბუდე. მათ შორის ორ პირველში მარტივპროფილიანი კრონშტეინია შერჩენილი. მესამე ბუდეში კრონშტეინი კედლის ზედაპირამდეა ჩამოტეხილი, ხოლო მეოთხედან სრულიად ამოვარდნილია. ეს კრონშტეინები მინაშენის კამარის ქუსლის საყრდენად უნდა ყოფილიყო გაკეთებული. მინაშენის სახურავის კვალი ნათლად ჩანს კედლის სიბრტყის მუქი და ღია ფერის განსხვავებაზე, რომლის ზღვარი სარკმელთა ქვედა დონეს მიჰყვება კედლის კიდიდან კიდემდე. სტოას ფრაგმენტებზე ჩვენ ქვემოთ შევჩერდებით რეკონსტრუქციის საკითხთან დაკავშირებით, აქ კი წინასწარ აღვნიშნავთ, რომ სტოა სამი თალით იყო გახსნილი ეზოსაკენ. თვით ეკლესიის კედლის სიბრტყე კარგად გათლილი, მოყვითალო-მოყავისფრო ქვების ჰორიზონტულად დაწყებისა და ჰორიზონტული ნაკერების სწორხაზოვნების დაცვის პრინციპზე აგებული, მოკლებულია რაიმე დამატებით მორთულობას. ისევე როგორც დასავლეთის ფასადზე ვნახავთ, აქაც ფერად-ფერადი ქვების შემოტანა აცოცხლებს კედლის ზედაპირს. აქაც ერთ მთლიან გლუვ ზედაპირს მხოლოდ დამაგვირგვინებელი ჰორიზონტალი — კარნიზი აქვს ხაზგასმული. ერთი შეხედვით, დაგრძელებული ნალის ფორმის თალებით დაწილადებული ეს კარნიზი, რომელიც დანარჩენ ფასადებსაც შერჩა ფრაგმენტულად, აქ მოღწეულია ჩვენამდე თავისი უმეტესი ნაწილით. იგი ღრმად ამოკვეთილი თალების შედეგად მზიან დღეს ჩრდილ-სინათლის მოთამაშე სურათს იძლევა, ხოლო კედლის სიბრტყეზე კი ეფექტურ, დაკბილულ ჩრდილს ისვრის. სავსებით მოურთველი არც სარკმლებია, — ოდნავად აქცენტირებულია მათი თაღოვანი ნაწილი. მარცხენა სარკმლის ზედანში ამოკვეთილ თაღს ხუროთმოძღვარი შეწყვილებულ ლილვს ავლებს, რომლის ჰორიზონტული გადანაკეცები ზედანის კიდეებამდეა მიყვანილი.

⁸⁸ გვიანდელ ამოშენებას, რომელიც ფოტოსურათებზე ჩანს, ჩვენ ნახაზებში არ აღვნიშნავთ.

იგივეა მარჯვენა სარკმლის ზედანზედაც, მხოლოდ აქ თაღის კიდურ
დამატებით, მესამე, უფრო მცირე ლილევი მისდევს (ტაბ. 12).
ზედანს ზემოთ, სარკმლის მიმართ სიმეტრიულად პატარა
რატული, თეთრი ქვა ადგია, რომელზედაც ამოკვეთილია გრებილი
ლილევაკის წრიულ ჩარჩოში ჩასმული ტოლმკლავებიანი და ფართო-
ბოლოებიანი ჯვრის გამოსახულება.

ყველა ამ მცირეოდენი შემკულობის გარდა კედლის მშვიდი ზე-
დაპირის სისადავეს არაფერი არღვევს.

დასავლეთის ფასადი. ალბური საძირვებით მოფენი-
ლი მთების ფონზე, დასავლეთის ფასადი თავისი მოყვითალო აკვა-
რელური ფერის სიბრტყით, რომელსაც ფრონტონის წვეროც შერ-
ჩა, პროპორციებში დამახასიათებელ, მშვიდ, გაწონასწორებულ სი-
ლუეტს იძლევა (ტაბ. 15, 16), ფასადის სიმეტრიის ღერძზე შესას-
ვლელი და მალა ატანილი პატარა თაღოვანი სარკმელია გაჭრილი.

ამ უკანასკნელის ადგილი მოფიქრებულ ურთიერთკავშირშია
ფრონტონის შემკულობის ელემენტებთან, ხოლო საკმაო სივანე
მოხდენილ თანაფარდობაშია სიმაღლესთან. ფრონტონის დამაგვირ-
გვინებელი კარნიზი კუთხეებზე ჰორიზონტალური შემონაკვეციით
გადადიოდა. თაღებით დამუშავებული ეს კარნიზი თითქმის მთლი-
ანად ჩამონგრეულია. იგი შერჩენილია მხოლოდ სამხრეთ-დასავლე-
თის კუთხეზე და მონაკვეთის სახით — ფრონტონის წვეროდან მარ-
ცხენა ქანობის ნახევარ სიგრძეზე.

ფასადის შემკულობა უაღრესად ძუნწი და თავშეკავებულია,
თუმცა ამასთანავე კედლის ზედაპირი მოკლებული არაა ეფექტუ-
რობას ფერადი ქვების შემოტანით. სარკმლის ზემოთ, სიმეტრიის
ღერძზე ფართობოლოებიანი, ოდნავ დაგრძელებული ჯვარია. იგი
შედგმულია სარკმლის სადა ზედანზე მოთავსებულ ვიწრო, სწორ-
კუთხოვან წითელ ქვაზე, რომელიც კოლორისტულადაა დაპირის-
პირებული ჯვრის მომწვანო ქვასთან. ასევე აცოცხლებს კედლის
ზედაპირს მოზრდილი ღვინისფერი და მონაცრისფრო ქვები აქა-იქ
მოფანტული წყობაში. ყურადღების გარეშე არ რჩება თავისი ზო-
მების წყალობით აწ ვიწრო სარკმლად გადაკეთებული შესასვლე-
ლის ნაცრისფერი არქიტრავი. მას წყობაში სიმაღლით ქვედის ორი
რიგი უჭირავს. მთელი სიგრძე კი 2 მეტრსა და 18 სანტიმეტრს აღ-
წევს. შესასვლელის ზვრელობზე ძლიერ გადაცილებული არქიტრა-
ვის სიდიდე მით უფრო ხაზგასმულია, რომ იგი ერთადერთი დიდი
ზომის ქვაა კედლის ქვედა ნაწილში.

კედლის წყობა არათანაბარი რიგებითაა შესრულებული, ამას-
თანავე, შედარებით მეტი ზომის ქვების მწკრივები, დაწყებული მი-

წიდან, აყვანილია იმ დიდი ზომის ღვინისფერი ქვების დონეზე, რომელნიც ფასადის დაახლოებით ზედა მესამედიდან, მცირე ზომის ქვების მწკრივებთან მონაცვლეობით, სარკმლის შუა სიმაღლეზეა დეა დალაგებული. უფრო ზემოთ კი მთელი ფრონტონი ისევ მცირე ზომის ქვებითაა ნაწყობი.

რაც შეეხება სულ ქვემოთა ნაწილს, უნდა აღინიშნოს, რომ ძველს მიყრილი აქვს მიწა და ჩამონგრეული ქვები, ამიტომ ქვედა ნაწილის პირველი რიგები დამალულია.

ფასადს შელესვის კვალი ემჩნევა. აქა-იქ შერჩენილია ნალესობის ფენა უფრო შესამჩნევად, ვიდრე სხვა ფასადებზე. საფიქრებელია, რომ დროთა ვითარებაში მოინდომეს ეკლესიის მოპირკეთება შელესვით, რაც ხევში იშვიათ მოვლენად არ ჩაითვლება. ამის მეტყველი მაგალითია გარბანის მეზობელი სოფლის — სიონის ბაზილიკა, რომელიც აგრეთვე შეუღესიათ და შეუთეთრებიათ გვიან. გარბანის დასავლეთის ფასადის ფრონტონის უკვე აღნიშნულ დაზიანებას, უნდა დავუმატოთ ორი ვერტიკალური ბზარიც, რომელიც კიდებებიდან მცირე დამორებით, მთელ სიმაღლეზე მისდევს ფასადს.

ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს ფ ა ს ა დ ი. თავდაპირველად ჩრდილოეთის ფასადი ორ საფეხურად იყო ორგანიზებული, ოღონდ მინაშენის სიგრძე, როგორც შემორჩენილი ნაშთი გვიჩვენებს, არ აღემატებოდა მთავარი კორპუსის სიგრძის ორ მესამედს.

მთავარი კორპუსის კედლის წყობაში მტკიცედაა დაცული იგივე წესი, რომლითაც დანარჩენი განხილული ფასადების კედლებია ამოყვანილი.

ეკლესიის კედლის შუა ნაწილი მთელი სიმაღლითაა შერჩენილი, კარნიზის ჩათვლით. ეს ნაწილი დაგვირგვინებულია 10 ქვისაგან შემდგარი კარნიზის მონაკვეთით *in situ*. იგი ანალოგიურია დანარჩენ კედლებზე შემორჩენილი კარნიზისა.

რაც შეეხება კედლის კიდევს, აქ ჩამონგრეულია როგორც კარნიზი, ასევე ქვების რამდენიმე რიგიც.

კედლის ზედაპირი სრულიად გლუვია და მოკლებული ყოველგვარ მორთულობას. მხოლოდ აწ ამოშენებული სარკმლის ერთ ქვაში გამოთლილ ზედანს შეწყვილებული ლილვი ამკობს. ეს ზედანი მთლიანად სამხრეთის ფასადის დასავლეთის სარკმლის ზედანის განმეორებას წარმოადგენს.

ამოშენებულია აგრეთვე, კედლის აღმოსავლეთის ნაწილში გაჭრილი, შესასვლელის სწორკუთხოვანი ხვრელობი.

სამხრეთისა და დასავლეთის შესასვლელების მსგავსად იგი აქვე რუხი ფერის დიდი არქიტრავითაა დასრულებული. არქიტრავი ზევით, მესამე რიგში, ორი მარტივპროფილიანი, მკვეთრი კონსოლის კრონშტეინია ჩატანებული წყობაში. ისინი სიმეტრიულადაა შესასვლელის მიმართ და წინ წამოწეულია კედლის ზედაპირიდან. კრონშტეინების წინა პირის ქვედა წიბო ჩამოთლილია. ექვს გარეშეა, რომ კრონშტეინები ჩრდილო მინაშენის კამარის ქუსლის დასაბრჯენად იყო გაკეთებული.

მინაშენის ნანგრევებში ნათლად გამოიყოფა კედლების ნაშთი, რომელიც ამჟამად მიწის ზედაპირიდან 2—3 რიგითაა ამძლეული. მინაშენის განივი კედლები მიკრულია მთავარ კორპუსზე და წყობით არაა გადაბმული.

აღმოსავლეთის კედლისაგან განსხვავებით, რომელიც როგორც აღნიშნული გვქონდა, ფიქალისა და ტლანქად გათლილი ქვის მონაცვლეობითაა აგებული, ჩრდილო და დასავლეთის კედლები იგივე ქვით არის აგებული, რომლითაც ძირითადი კორპუსი, მაგრამ სამშენებლო მასალის იგივეობასთან ერთად მინაშენის წყობა მოზრდილი კვადრების გამოყენებით გამოირჩევა და ამასთანავე ქვის ზედაპირის დამუშავებაც აქ უფრო ტლანქია. აღმოსავლეთის კედელი, მკვეთრად განსხვავებული როგორც მასალით, ასევე წყობითაც, გვიანდელი ხნისა ჩანს და ჩამონგრეული გარეპირის აღდგენის ნაშთი უნდა იყოს. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ აქვე აღმოსავლეთით, კედლის შიგა მხარე კარგად გათლილი, სწორკუთხოვანი ქვით აგებულ აბსიდს გვაძლევს, მონათესავეს სამხრეთის მინაშენის აბსიდისა.

წარწერები. ჩვენი ძეგლის კედლებზე შემორჩენილია წარწერები, მათ შორის რამდენიმე მხოლოდ დაქარაგმებულ საკუთარ სახელს წარმოადგენს, ხოლო სამხრეთისა და აღმოსავლეთის კედლებზე გარედან, და აგრეთვე ჩრდილო შესასვლელის წირთხლზე, წინადადებიანი წარწერებიც არის. აღსანიშნავია, რომ სამხრეთის კედელზე მოთავსებული წარწერა პირველად თითქმის ამ ასორმოცდაათი წლის წინათ იყო აღნიშნული ი. კლაპროტის მიერ, რომელმაც მისი არა სავსებით ზუსტი გადმონახატიც გამოაქვეყნა⁸⁹. მაგრამ წარწერის შინაარსი კლაპროტისათვის გაურკვეველი დარჩა, თუმცა ცალკეული ასოები მას წაუკითხავს. „მაგრამ ამ სიტყვების აზრი ვერაინ განმიმარტა ჩემ მხლებელთაგანო“ წერს ი. კლაპროტი⁹⁰. იგივე წარწერა ფ. დიუბუასაც გადმოუხატავს, მაგრამ მისი

⁸⁹ I. Klaproth. Reise in den Kaukasus und nach Georgien, B. I. 33. 687.

⁹⁰ იქვე.

ცნობით, მ. ბროსემ ვერ შესძლო აზრის პოვნა წარწერის ცხრა ასო-
შიო⁹¹. გაცილებით უფრო გვიან იმავე წარწერას პ. უვაროვაც მო-
იხსენიებს და აღნიშნავს მხოლოდ, რომ ი. კლაპროტისა და მ. ბროსეს
ბუას მიხედვით მასში არავითარი აზრი არაა ქართულ ენაზეო⁹².

აღმოსავლეთის ფასადის ორსტრიქონიანი, ადვილად წასაკითხი
წარწერა გარბანისადმი მიძღვნილ წერილშია მოხსენიებული ერთ
ძველ ქართულ ქურნალში⁹³. ბოლოს, გარბანის წარწერების წაკით-
ხვის ცდას ს. მაკალათიაც იძლევა. იგი სწორად კითხულობს სამ-
ხრეთის კედლის წარწერის თითქმის ყველა ასოს, მაგრამ ქარაგმებს
ვერ ხსნის⁹⁴.

1. სამხრეთის შესასვლელის ზემოთ, გარედან, ერთსტრიქონი-
ანი, ასომთავრული წარწერაა (ტაბ. 18). იგი მოთავსებულია არ-
ქიტრავიდან ზემოთ პირველ რიგში, ორ ქვაზე. წარწერა ჩაჭედებულია
ქვების სიმაღლის შუაზე და განუწყვეტლად გადადის პირველ ქვი-
დან მეორეზე, სადაც მისი გაგრძელება დაზიანებული და შემოქერ-
ცილია.

წარწერის არაჩვეულებრივ თავისებურებას მისი ზედა საერთო
ხაზი შეადგენს, რომელზედაც „ჩამოკიდებულია“ ორი პირველი
ასოს გამოკლებით, თანაბარი ზომის ასოებისაგან შედგენილი სტრი-
ქონი. სწორედ ეს ერთი საერთო თავხაზი განსაკუთრებით ართუ-
ლებს წარწერის გახსნას და იგი, როგორც აღვნიშნეთ, წაუკითხავი
დარჩათ ი. კლაპროტსა და მ. ბროსეს. ამ წარწერაში ადვილად იკით-
ხება პირველ სამ ასოდან შედგენილი სიტყვა — **უსუ**. სტრიქონის
შუა ადგილზე შეიძლება გაიჩქეს **ნფუზუ** ე. ი. ქარაგმის გახ-
სნით — „ნაფუშევი“⁹⁵, რაც ნიშნავს დაშლილს, მოშლილს⁹⁶. ამ ორ
ამოკითხულ სიტყვას შორის გვაქვს ასოები **ნ** რაც შესაძლებე-
ლია დაქარაგმებული სიტყვა „ნავი“ (ან „ნაგები“, „ნიში“?) იყოს.
სიტყვა **ნფუზუ**-ს შემდეგ კიდევ ოთხი ასო გაიჩქევა: საერთო
ზომისა — **შ** და მცირე ზომის **უ**, **ღ** და **ნ**. ეს ასოები ორი სიტ-
ყვის შემადგენელი ჩანს **შუ** ე. ი. „მე“ და **ღნ** — „უღირსმან“.
მეტი აღარაფერი ჩანს ქვის დაზიანების გამო. ამრიგად, რაც შე-
მორჩენილია შემდეგნაირად შეიძლება წავიკითხოთ:

⁹¹ Dubois de Montpéroux. Voyage... IV, პარიზი, 1840, გვ. 264.

⁹² П. С. Уварова. Кавказ, Путевые заметки, М., 1887, გვ. 100—101.

⁹³ გ. ბედოშვილი ი. „მწყემსის“ კორესპონდენცია (ხევიდან) „მწყემსი“,
1898, № 10, გვ. 11—12.

⁹⁴ ს. მაკალათია. ხევი, გვ. 218.

⁹⁵ წაკითხვაში თ. ვ. ბარნაველი დავგვხმარა.

⁹⁶ სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა ქართული რომელ არს
ლექსიკონი, თბ., 1949, გვ. 476.

„ესე ნავი ნაფუშევი მე უღირსმან“... მაგრამ წარწერის შინაარსს დაკავშირება ძეგლის ხუროთმოძღვრებასთან გაურკვეველი გვეჩვენებს.

2. სრულებით შეუნიშნავი დარჩათ გარბანის მნახველს წერა ეკლესიის შიგნით, რომელიც ჩრდილო შესასვლელის დასავლეთის წირთხლის ერთ ქვაზეა მოთავსებული. სამსტრიქონიანი ნუსხური ამოკაწრული წარწერა დღეს ძნელი წასაკითხია ცალკე ადგილების შემოქერცილობის გამო (ტაბ. 19). სავსებით გარკვევით შემდეგი იკითხება (მხედრული ტრანსკრიპციით):

... ღირს მყო წნ
გი მე ... ე .
სა დწყბთ ...

ე. ი.:

...ღირს მყო წმიდამან
გიორგი მე ... ე
სა დაწყებათ ...

3. წარწერა აღმოსავლეთის კედელზე სარკმელთან (გადაბრუნებულ ქვაზე) **მ-ი** ე. ი. თევდორე (ტაბ. 20₁).

4. იმავე სარკმლიდან მარჯვნივ ზემოთ მეექვსე რიგში **ღ-ს** ე. ი. გრიგოლ.

5. ჩრდილო ფსაღის აღმოსავლეთ ნაწილში იგივე წარწერაა გამეორებული **ღ-ს** (ტაბ. 20₂).

6. აღმოსავლეთის ფსაღზე, მის მარცხენა ნაწილში, ქვევიდან ზემოთ, მეხუთე რიგში, ორსტრიქონიანი ნუსხური წარწერაა (ტაბ. 20₂):

წდის გიორგის
ოქრო

აქ, როგორც ჩანს, შეწირულობის შინაარსის წარწერაა, შესრულებული ვინმე ოქროს მიერ. ეს მოსაზრება იქნებ ეთანხმებოდეს ამ ნაგებობის სახელწოდებას „ოქროს ბებერი წმიდა გიორგის ეკლესია“, რომელიც ძველთაგანვეა გავრცელებული მოხვევებში.

ზემოთ მინაშენების აღწერის დროს აღინიშნა არა მარტო ის საერთო ნიშნები, რომელნიც მათ ძირითად კორპუსთან აკავშირებს, არამედ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებულიც — წყობის ხასიათი, ქვის დამუშავება. ეს მონაცემები მეტად საგულისხმოა, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ გარკვეული ეპოქის ძეგლთათვის დამახასიათებელ ნიშნებს: შენობის სათავსოებისათვის იმთავითვე გათვალისწინებული განსხვავებული საშენი მასალისა და წყობის წესის გა-

მოყენება უჩვეულო როდია. ე. წ. გარდამავალი ხანის (VIII—IX ს. დასაწყ.) ძეგლებისათვის. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ქვაბის — ხევის ხეობის VIII—IX ს. ბაზილიკა, სადა გილი აქვს გათლილი და დაუმუშავებელი ქვის გამოყენება⁹⁷. მეათე საუკუნის დასაწყისის სამეკლესიანი ბაზილიკის — ერედვის (906 წ.) ზედა მასივისათვის ოთხივე მხრიდან თლილი ქვა გამოყენებული, ხოლო ქვედა მასივისათვის (გარშემოსავლებისათვის) გამოყენებულია, როგორც თლილი ქვის, ასევე ყორე ქვის წყობაც⁹⁸. აქვე შეიძლება დავასახელოთ IX და X სს. გუმბათოვანი ძეგლებიც — ოზიზა, შატბერდი, დოლისყანა და სხვ., რომელთა გუმბათის ყელი თლილი ქვითაა მოპირკეთებული, ხოლო კედლები ნაწყობია ყორე ქვისაგან. საინტერესოა აგრეთვე VIII ს. წირქოლის ძეგლიც, რომელსაც დასავლეთის ფასადის კედლის წყობა შემთხვევითი ფორმისა და ზომების ქვებით აქვს ამოყვანილი, იმ დროს, როდესაც დანარჩენი ფასადები მკვეთრად გამოირჩევიან კარგად დამუშავებული შირიმის ქვის მოხდენილი, მხატვრულად გაანგარიშებული წყობით. გარდამავალი ეპოქის ძეგლებისათვის, ვიმეორებთ, სხვადასხვა სამშენებლო მასალისა და წყობის გამოყენება ჩვეულებრივი მოვლენაა. რაც შეეხება გარბანის გვერდითი სათავსოების მთავარ კორპუსთან მიკავშირების საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ განივი კედლების მიშენება წყობის გადაუმეღლად, აგრეთვე არ იძლევა საფუძველს ეჭვის შესატანად იმაში, რომ ნაგებობა თავის მინაშენებიანად ერთდროულადაა შექმნილი. ძეგლები გვიჩვენებს, რომ ნაგებობის იმთავითვე გათვალისწინებულ დამხმარე სათავსოების მიშენება ძირითად კორპუსთან ხდებოდა როგორც წყობის გადაბმით, აგრეთვე მიშენების წესითაც. ამის მეტყველი მაგალითებია VIII—IX სს. ე. წ. „დედა-ღვთისა“ (თეთრი წყაროს რ-ნი) და 1002 წლით დათარიღებული ხცისის ძეგლი⁹⁹. ორივე ნაგებობაში გვერდითი სათავსოს დასავლეთის კედელი გადაბმული წყობითაა დაკავშირებული ძირითად კორპუსთან, ხოლო მოპირდაპირე აღმოსავლეთის კედელი კი — მიშენებულია. უბისის IX სა-

⁹⁷ გიორგი ჩუბინაშვილი. ქვაბის-ხევის ხეობის ძველი ბაზილიკა, სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XXXIV, გვ. 391—398, თბ., 1948.

⁹⁸ რ. მეფისაშვილი. ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, 4, გვ. 103—109, თბ., 1955.

⁹⁹ Ренэ Шмерлинг. Древний Пшимоетский храм близ села Хциси, ქართული ხელოვნება, 4, გვ. 143, სურ. 10, თბ., 1955.



უკუნის ძეგლს მიშენებული აქვს ჩრდილო და სამხრეთის საგლელები¹⁰⁰.

მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, მაგრამ ყველა აქ აღნიშნული მოწმობს, რომ გვერდითი სათავსოს მიშენება ანდა სამშენებლო მასალისა და მისი დამუშავების განსხვავებული სახე ძირითად კორპუსში გამოყენებულთან შედარებით, საგლებით მოსალოდნელია იმთავითვე ერთიანი ხუროთმოძღვრული გადაწყვეტით გააზრებულ ნაგებობაში, გარდამავალ ეპოქაში, რომელსაც მიეკუთვნება გარბანიც (ამის შესახებ ქვემოთ). ამიტომ, აღნიშნული ნიშნები რომელთაც ადგილი აქვს ჩვენ ძეგლშიც, არ იწვევს შეფერხებას იმ საკითხის დადგენისათვის, რომ გარბანის ნაგებობა თავის მინაშენებიანად სწორედ ამ სახით იყო გათვალისწინებული, ე. ი. ძეგლმა ეს სახე შემთხვევით კი არ მიიღო, არამედ აქ მთლიან მხატვრულ კონცეფციასთან გვაქვს საქმე. ამას, რასაკვირველია, სხვა მონაცემებიც ასაბუთებს. გარბანის ხუროთმოძღვრული სახის გამორკვევისა და დადგენის საკითხს ეძღვნება მეორე თავი — „ძეგლის რეკონსტრუქცია“, რომელშიც თავმოყრილია და განხილული ყველა ნაშთები, დეტალები, ფრაგმენტები. იქვეა გამორკვეული სათავსოთა ფუნქციური დანიშნულება; ყველაფერი მოზიდულია და გათვალისწინებულია ნაწილებიდან მთლიანის დადგენის ამოცანის გადასაწყვეტად.

¹⁰⁰ რ. შმერლინგი. უბისის ტაძრის დათარიღების საკითხისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVI, № 2, გვ. 171, სურ. 1, თბ., 1955.

თავი მეორე


მეგლის რეკონსტრუქცია

გარბანის ეკლესიამ ნანგრევების სახით მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ იგი არაა დამახინჯებული გვიანდელი გადაკეთებებით, რის გამო მისი თავდაპირველი სახის გრაფიკული რესტავრაცია უნდა გაგვიადვილდეს.

ამისათვის კი საჭიროა პირველ რიგში გავერკვეთ ჩამონგრეული ნაწილების ფრაგმენტებში, რომელნიც დაყრილია როგორც ბოთლ ეკლესიაში, ასევე მის ირგვლივ.

მთავარი ფასადის მინაშენის ფრაგმენტებიდან ჩვენი ყურადღება პირველ ნახვისთანავე კარგად გათლილმა მრგვალმა სვეტმა მიიპყრო, რომელიც მიწითა და ქვებით იყო მჭიდროდ გარშემოყრილი (ტაბ. 22). შემოსუფთავების შემდეგ მისი სიგრძე 1 მეტრი და 4 სანტიმეტრი აღმოჩნდა, დიამეტრი კი 52 სანტიმეტრისა. ზუსტად ასეთივე დიამეტრიანი მეორე სვეტი ეკლესიის აბსიდში ვდია. სიგრძით იგი ხუთი სანტიმეტრით უფრო გრძელია პირველ სვეტზე.

ნანგრევებშივე იქნა ნაპოვნი ორი ერთნაირი კაპიტელიც (ტაბ. 23). თითოეული კვადრატულ ფილას წარმოადგენს, რომლის ზედა სიბრტყის ზომებია 67×67 სმ, ხოლო ფილის მთელი სიმაღლე 29 სანტიმეტრს უდრის. მას ათსანტიმეტრიანი თარო აქვს გამოყოფილი, რომელიც მცირეოდენ ფოსოსა და დახრილ სიბრტყესთან ერთად მძიმე, მასიური კაპიტელის მარტივ პროფილს შეადგენს. კაპიტელის ქვედა კვადრატული სიბრტყის ზომებია 57×57 სმ. ერთ კაპიტელს ამ ქვედა ნაწილში დამატებითი ელემენტი აქვს გამოყოფილი — ესაა 5 სანტიმეტრის სიმაღლისა და 52 სანტიმეტრიანი დიამეტრის მქონე წრიული ნაზრდი („მედალიონი“). ამრიგად, სვეტისათვის ზომები სავსებით შეესაბამება მათ სვეტებს და რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, სვეტების განსხვავება სიგრძეში (5 სმ) ოსტატმა აანაზღაურა ნაზრდიანი კაპიტელის გამოთლით. ორივე სვეტი თითქმის დაუზიანებელია. რაც შეეხება კაპიტელებს, ორივეს ჩამოტეხილი აქვს თითო კუთხე.



სამხრეთის მინაშენის ნანგრევებში ნაპოვნია აგრეთვე დაუზი-
ანებლად შემორჩენილი, კარგად გათლილი, თაღებშორისი ქვედა
მისი ქვედა სიბრტყის ზომებია 57×57 სმ, რაც სავსებით უპასუხებს
სვეტისთავებს, რომელზედაც იგი შედგმული იქნებოდა. რაკი სვე-
ტისთავის შესაბამისი სიბრტყის ზომა 67×67 სმ, ამიტომ, მასზე
ქუსლის შედგმის შემდეგ, ცხადია, 5 სანტიმეტრიანი თავისუფალი
კიდე დარჩებოდა ოთხივე მხრიდან. ამრიგად, განხილული ხუროთ-
მოძღვრული ფრაგმენტების ზუსტი თანხვედრა, რასაკვირველია
შემთხვევითი არაა და ჩვენ საქმე გვაქვს ერთი ნაგებობის ნაწილებ-
თან. თაღებშორისი ქუსლის სიმაღლე 78 სანტიმეტრს უდრის. მისი
მკვეთრად შეღრმავებული გვერდების მოხაზულობა აშკარად მოწ-
მობს, რომ იგი ნალისებური თაღების შემადგენელი ნაწილი იყო.

ყველა გაცნობილი ელემენტის თანაფარდობის შემოწმების
შედეგად თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სათავეს ორ
სვეტზე დაყრდნობილი, სამმალიანი არკატურა ჰქონია. ჩვენ არ
შეგვიძლია, სამწუხაროდ, დაბეჯითებით ვთქვათ რაიმე ამ არკატუ-
რის ქვემო ნაწილის შესახებ, კერძოდ, ჰქონდა თუ არა სვეტებს ბა-
ზები, ვინაიდან გათხრების წარმოება არ შეგვიძლო. რაც შეეხება
მინაშენისა და მთავარი კორპუსის დამაგვირგვინებელ ნაწილებს,
მათ შესახებ სრულ წარმოდგენას მოგვცემს მიწის ზედაპირზე დაყ-
რილი და ნაგებობის კედლებზე შერჩენილი კარნიზის ფრაგმენტე-
ბი. ამ ფრაგმენტების გამაერთიანებელ ნიშნებიდან პირველ რიგში
უნდა აღინიშნოს კონსტრუქციული აღნაგობა. ადგილზე თითოეუ-
ლი წარმოადგენს კედლის სიბრტყიდან წინ წამოწეულ ფილას, რო-
მელიც ღრმა ნალისებრი თაღებით დაკავშირებულ კბილთა მწკრი-
ვითაა დამუშავებული და მტკიცედ ეკვრის ანალოგიურ მეზობელ
ფილას. ერთნაირია აგრეთვე თვით ქვაც. იგი ოდნავ ბაცი მწვანით
გადაკრული, მონაცრისფრო ტუფოგენური ქვიშაქვაა. გარდა ამისა,
ფრაგმენტების სიმაღლის ერთნაირი ზომა (25—26 სმ), ცხადია, იმა-
ვე სიმაღლის კარნიზს შეადგენდა ფასადზე.

მიწაზე დაგდებული კარნიზის ქვები ყველა სავსებით ერთნაირი
არაა. განსხვავება შესამჩნევია მორთულობაში. ნაწილი ქვებისა
ზუსტად იმეორებს ეკლესიის ძირითად კორპუსზე შემორჩენილ
კარნიზის შედარებით მარტივ გაფორმებას და ამიტომ ისინიც ძი-
რითად კორპუსს უნდა ეკუთვნოდეს. ეს მით უფრო დასაშვებია,
რომ კარნიზის შემორჩენილი მონაკვეთები ყველა ფასადზე (სამხრე-
თის კედელზე კი კარნიზი თითქმის მთლიანადაა მოღწეული), მხო-
ლოდ ერთი და იგივე გეომეტრიული სახის ელემენტებითაა გა-
ფორმებული, ანდა მათი ოდნავ შეცვლილი ვარიანტებით.



ვარიანტების ნიმუშები მიწაზე დაგდებულ ფილებისა შემდეგია: პირველი ფილის (ტაბ. 24) სიგრძეა 70 სმ, სიგანე უდრის ნაწილში 50 სანტიმეტრია, სიმაღლე 25 სმ უდრის. დამუშავებულია წინა პირის ზემო ნაწილში გამოყოფილია მთელ სიგრძეზე თარო, რომლის ქვეშ მოთავსებულია 4 თაღს შორის სამი მედალიონი. მორთულობის საერთო სიბრტყეშივეა ვიწრო რელიეფური ზოლი, რომელიც განუწყვეტლად მისდევს ყველა თაღოვანი ხვრელობისა და კბილის კიდეს. თვით ხვრელობის სიღრმე ორსაფეხურიანია.

მეორე ფილაში სხვაობა იმაშია, რომ მორთულობას დამატებითი მედალიონები აქვს კბილზე. შემდეგ ფილაზე, შეწყვილებული მედალიონების მაგივრად მხოლოდ ზემო მედალიონებია დაცმული აწვეტილ სწორკუთხედებზე. ხვრელობების პროფილი ამ ფილაში იმით განსხვავდება წინა მაგალითებისგან, რომ იგი აქ საფეხურებიანი კი არაა, არამედ ერთიან მრუდს წარმოადგენს (ტაბ. 25).

ეკლესიის ნანგრევებში ნაპოვნი კარნიზის სხვა ქვები, როგორც აღვნიშნეთ, ყურადღებას იპყრობს უფრო გართულებული მორთულობით, რის გამოც მნახველი მათ უფრო აკვირდება, ვიდრე ზემოთ მოყვანილ ნიმუშებს. ფილის დაწილადების ძირითადი სქემა უცვლელია. მაგრამ ერთ ფილაზე (ტაბ. 26) მედალიონების ადგილი რელიეფურმა როზეტებმა დაიკავეს. როზეტები მართობულადაა ამოყვანილი ფონის მიმართ, გამოყოფილი აქვთ შუაგული, გარშემოკრული გარეთ გაგანიერებული ბრტყელი ფოთლებით. ყოველი წყვილი როზეტებისა ერთ ვერტიკალურ ღერძზეა დალაგებული და სიმეტრიულადაა მოთავსებული მისთვის განკუთვნილი ფართობის შემომსაზღვრელი ელემენტების მიმართ.

შემდეგი ფილა (ტაბ. 27), ზომებით თითქმის ტოლი წინა ქვისა, გეომეტრიული და მცენარეული მოტივის ელემენტების მონაცვლეობის სურათს გვაძლევს.

ფილის შუაზე, თაღებშორის არეებში, მოთავსებულია მედალიონი, ხოლო მისგან ორივე მხარეს, ყურძნის მტევანი ავსებს შესაბამის არეებს.

მცენარეული მოტივის უფრო საინტერესო ვარიანტი გამოსახულია საკმაოდ დიდ ფილაზე, რომლის ზომებია 119×46×26 (ტაბ. 28). ფილა დაწილადებულია ისევ ნალისებრი თაღებით დაკავშირებული 7 კბილით, რომელთა შორის ორ მარცხენაზე წინა მაგალითებიდან ცნობილი ორ-ორი მედალიონია გამოსახული, ხოლო დანარჩენებზე (მარჯვენა კიდურის, გლუვად დატოვებულის გამოკლებით) გამოყოფილია თითოეულზე თითო მცენარე. ამრიგად, ფი-

ლაზე გვაქვს მცენარის ოთხი გამოსახულება. მათ შორის სამი მარჯნიდან, ვიწრო ღეროზე წყვილ-წყვილად აკეცილ, ბრტყელ და მახვილობლოიანი ფოთლების სურათს წარმოადგენს. ღეროს წვერო ჩაკეტილია ზედა წყვილ ფოთლებს შორის. ამ სამი სიმეტრიული, მშვიდი გამოსახულების შესრულებისათვის, შესაძლებელია, რომ ოსტატი ითვალისწინებდა უხსოვარი დროიდან მომდინარე მოტივს, რომელმაც თავისი ანარეკლი ბოლნისის იერატიულ, მცენარეულ გამოსახულებაში პოვა¹⁰¹.

მეოთხე მცენარის გადმოცემა მკვეთრად განსხვავდება გამოცოცხლების უეცარი შეჭრით. აქ, ქვემოდან ზევითკენ, შევიწროებულ ღეროზე ვიწრო განშტოებება პატარა ფოთლებით. მთლიანად მცენარის აგებულება უფრო თავისუფალი და ბუნებრივია.

ხუროთმოძღვრის მოუსვენარი ზრუნვა კარნიზის მორთულობის მრავალსახეობისათვის არ შეჩერებულა მხოლოდ გეომეტრიული და მცენარეული მოტივების გამოყენებით. მორთულობაში შემოტანილია ადამიანის ფიგურის გამოსახულებაც (ტაბ. 29). აქ მცენარეული მოტივისათვის განკუთვნილია ყველა თაღებშორისი არეერთის გამოკლებით, რომელზედაც ადამიანის გამოსახულებაა. მცენარის მოტივი — სამყურა ფოთოლია, რომელსაც შუა ნაწილი უფრო მოზრდილი და გამწვანებული აქვს. ფოთლები თავისი ყუნწიფთაღის კიდეზე გაყოლებულ რელიეფურ ზოლიდანაა ამოზრდილი, ამასთანავე, თითოეულ არეში მოცემულ ორ ფოთლიდან, მარცხენა ქვევითაა მოხრილი, მარჯვენა კი ზემოთაა მიმართული. გაბრტყელებული ფოთლები სრულიად გლუვია და დაუნაწევრებელი. რაც შეეხება ადამიანის ფიგურის გადმოცემას, ისიც სიბრტყობრივი გადაწყვეტით ხასიათდება.

ადამიანის კიდევ ერთ გამოსახულებას ვპოულობთ კარნიზის პატარა ფრაგმენტზე, რომლის სიგრძეა 32 სანტიმეტრი (ტაბ. 30). ფრაგმენტი ძლიერ დაზიანებულია; მას შერჩა მხოლოდ ორი თაღოვანი ზვრელობი, რომელთა შორის მთელი არე ადამიანის ფიგურის იმდაგვარადვე მარტივად შესრულებულ გამოსახულებას უჭირავს, როგორც წინა მაგალითში ვნახეთ.

¹⁰¹ Г. Н. Чубинашвили. Болнисский Сион, Известия Института языка, истории и материальной культуры, IX, Тб., 1940, გვ. 166, სურ. 98.

გარბანის აღნიშნული მცენარეული მოტივები მცენარის სტილიზაციის თავისებურ სახეს წარმოადგენს: ხომ არ არის ეს გამოსახულებები შორეული ამოძახილი სიცოცხლის ხის მოტივისა, რომელიც ძველთაგანვე გავრცელებული ხალხურ შემოქმედებაში? იხ. გ. ჩიტაია. სიცოცხლის ხის მოტივი ლახურ ორნამენტში. ენიმკის მოამბე, IX, თბ., 1941, გვ. 303—320.

კარნიზის ქვის უკანასკნელი ხუთი განხილული ვარიანტი შე-
საძლებელია სამხრეთის სათავსოს ეკუთვნოდეს, რომელიც საგრძნობ-
ლად უფრო დაბალი იყო ვიდრე მთავარი კორპუსი, და ამიტომ
ყურებლამდე ნაკლები მანძილით დაშორებული კარნიზის შემკუ-
ლობისადმი მეტი მზრუნველობის გამოჩენა ხუროთმოძღვრის მი-
ერ, უფრო ლოგიკური გვეჩვენება.

განცალკევებით დგას ყველა აღნიშნულ ფრაგმენტისაგან კარ-
ნიზის კიდევ ორი ქვა, რომელთა ერთნაირი სიმაღლე, ტოლი 20
სანტიმეტრისა, გვიჩვენებს, რომ ქვები განკუთვნილი უნდა ყოფი-
ლიყო ისეთი კარნიზის შესადგენად, რომელიც ზემოგანხილულ
კარნიზებთან შედარებით 5—6 სანტიმეტრით უფრო დაბალი იქ-
ნებოდა. აქედან ცხადია, რომ ორი უკანასკნელი ფრაგმენტი ეკლე-
სიის მთავარი კორპუსისა და სამხრეთ სათავსოს კარნიზისათვის შე-
უსაბამოა სიმაღლით. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ეს ქვები წი-
ნაპირის დამუშავებითაც განსხვავდებიან დანარჩენებისაგან. თუმცა
თაღოვანი ხვრელობები აქაც არის, მაგრამ არეები მათ შორის
("კბილები") ძალიან მოკლეა და მოურთველი (ტაბ. 31). ამიტომ სა-
ფიქრებელია, რომ საქმე გვაქვს ჩრდილო სადგომის კარნიზის ქვებ-
თან. ყოველ შემთხვევაში, ამის შესაძლებლობა გამორიცხული არაა.
ამნაირად, ჩვენ აღვნიშნეთ ნაგებობის ჩამონგრეული ნაწილების
ყველა საგულისხმო ფრაგმენტი და ახლა შეგვიძლია ტაძრის თავდა-
პირველი სახის აღდგენას შევუდგეთ.

გარბანის ეკლესიის, როგორც მხატვრული ნაწარმოების, აღ-
სადგენად, ჩვენ იძულებული ვართ მივმართოთ ნაგებობის გრაფი-
კული რესტავრაციის ხერხს.

ძეგლის ფასადებმა, როგორც ნაჩვენები იყო აღწერით ნაწილ-
ში, იმდენად სრულად შეინარჩუნეს თავისი თავდაპირველი აღნა-
გობა, რომ ხუროთმოძღვრის მიერ ჩამოყალიბებული კომპოზიცი-
ისა და მხატვრული სახის აღდგენა სავსებით შესაძლებელი ხდება.
იგივე უნდა ითქვას გეგმის მიმართაც.

დავუბრუნდეთ ნაგებობის გეგმას.

ძირითადი კორპუსის მოხაზულობას შერჩენილი აქვს თავდა-
პირველი სახე. აღდგენას მოითხოვს გვერდითი მინაშენები.

ჩრდილოეთის მინაშენის დათვალიერების დროს, ბუნებრივია.
მისი განათების საკითხი ისმება, რამდენადაც, შემორჩენილია კედ-
ლების მხოლოდ ქვემოთა ნაწილი და სარკმლების ხვრელობის კვა-
ლი არ ჩანს. რა თქმა უნდა, ამ ვიწრო, დაგრძელებულ სათავსოსათ-
ვის მხოლოდ კარებიდან შესული მეორე შუქი საკმაო არ იქნებოდა.
გარდა ამისა, როგორც ჩვენი ძეგლის ყველა პარალელი გვიჩვენებს,

ვერდიო სათავსოებს, აღმოსავლეთით აუცილებლად აქვს სარკმელი. მის არსებობაზე გარბანში შეიძლება მოწმობდეს აღმოსავლეთის ფასადთან დაგდებული ზედანიც; რომლის თაღოვანი ხერხელოები შეწყვილებული ლილვითაა შემკობილი. ეს მორთულობა კი დამახასიათებელია ჩვენი ძეგლის სარკმლებისათვის.

ამრიგად, ჩრდილოეთის სათავსოს აღსადგენად საჭიროა კედლების შემორჩენილი გარეპირის ხაზების გაგრძელება და აბსიდის სარკმლის ჩახაზვა, რომლის ხერხელობის გარეთა ზომას (18 სმ) აღმოსავლეთის ფასადთან დაგდებული ფრაგმენტი გვაძლევს. რაც შეეხება კამარულ გადახურვას, მთავარი კორპუსის ჩრდილო კედელზე შემორჩენილი კრონშტეინების მიხედვით აღვადგენთ კამარის ქუსლის ხაზს, ხოლო მოპირდაპირე მხრისათვის ვგულისხმობთ, რომ კამარის ქუსლი მინაშენის კედლის წყობასთან იყო გადაბმული. ანალოგიურადვე ვიქცევით სამხრეთის მინაშენის მიმართაც და სვეტების ადგილს ვნიშნავთ შუა კრონშტეინების პირდაპირ, მინაშენის კედლის ხაზზე (ტაბ. 32).

სვეტებს შორის მიღებული მანძილი კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ეთანხმება, თაღების ქუსლის საფუძველზე მოხაზული თაღების მალს და მინაშენის სამხრეთის კედლის მიღებულ სიმაღლეს.

ამრიგად, სამხრეთის მინაშენი აღდგენილი სახით ჩვენს გეგმაზე აბსიდიან ვიწრო სადგომს წარმოადგენს, რომელიც ორ სვეტზე დაყრდნობილი სამშალიანი თაღებითაა გახსნილი სამხრეთით, ხოლო ჩრდილოეთით — შესასვლელით უკავშირდება მთავარი კორპუსის სივრცეს.

მთავარი ფასადის აღდგენამდე საჭიროა განვიჭრილის თავდაპირველი სახის წარმოდგენა, რაც ფასადის რეკონსტრუქციისათვის აუცილებელ ვერტიკალურ ზომებს მოგვცემს. ძეგლის ჩვენამდე მოღწეულ ნაშთზე შერჩენილია ჩვენთვის ამ შემთხვევაში საინტერესო ყველა ეჭვმიუტანელი საყრდენი წერტილი¹⁰².

ეკლესიის აბსიდის მარჯვენა იმპოსტისა და მასზე შერჩენილი სატრიუმფო თაღის ქუსლის საფუძველზე აღვადგენთ აბსიდის სატრიუმფო თაღს, ხოლო კედლის ორივე მხარეზე უცვლელად მდებარე კონსოლები საშუალებას იძლევა ეკლესიის კამარა ავაგოთ და სატრიუმფო თაღს გამეორებული, თხელი თაღი შემოვახაზოთ, უკანასკნელის ნაშთის მიხედვით (ტაბ. 33).

კამარის მიღებული სიმაღლე არ ეწინააღმდეგება როგორც დასავლეთის კედლის სიმაღლეს, ასევე კეხის ხაზსაც, რომლის დონე

¹⁰² იხ. განივი ჭრილი ტაბ. 2.

დასავლეთის ფასადის წვეროზე უცვლელად მდებარე კარნიშის ქვის საშუალებით მიიღება¹⁰³.



კეხის წერტილი აღდგენილ განივ ჭრილში შემოწმებულია გვერთვე გვერდითი ფასადების ფრონტონის შემორჩენილი ნაწილების დახრილობასთან დამთხვევაზე.

არანაკლები სიზუსტით ხერხდება მინაშენების განივი ჭრილის რეკონსტრუქციაც. საქმეს გვიაღვილებს კამარის ქუსლის კონსტრუქციები, რომელნიც ძირითადი კორპუსის ჩრდილო და სამხრეთ კედლებზეა შემონახული და კამარის ქუსლის დონეს გვაძლევს, ხოლო მათგან მოპირდაპირე კედლამდე მანძილის ნახევარი კი — კამარის რადიუსს.

ჩვენი ძეგლის გრაფიკული რეკონსტრუქციის პროცესში, რათქმა უნდა, ვერ ავცდებით ზოგიერთი ელემენტის პირობითად მიღებას.

ასე მაგალითად, რადგან გვერდითი სათავსოების აბსიდის იმპოსტის არც ერთი ქვა არ იქნა ნაპოვნი, ამიტომ ნახაზზე მას ისეთივე მარტივ პროფილიანს ვიძლევი, როგორც ძირითადი კორპუსის აბსიდის იმპოსტებს აქვს.

გარდა ამისა, გვერდითი სათავსოების სარკმლებისათვის იძულებული ვართ სავარაუდო სიმაღლე და განლაგება მივიღოთ, რადგან ხელთა გვაქვს სარკმლის მხოლოდ ზედანის ქვა.

გვერდითი სათავსოების სახურავების ქანობი განსაზღვრულია ერთი მხრივ ზედა წერტილით, რომელიც ძირითადი კორპუსის გრძივი კედლების სარკმელთა ქვედა დონიდან ოდნავად ძირს უნდა დაენიშნოთ, თანახმად სამხრეთის კედელზე არსებული კვალისა, ხოლო მეორე მხრივ ქანობი გაპირობებულია გადახურვის საკმაო სისქის მიღებით. ძეგლებზე დაკვირვების შედეგად, გარბანის მინაშენებისათვის პირობით ავიღეთ, როგორც საშუალო სისქე კვეთის უმცირეს ადგილში, 30 სანტიმეტრი.

აღდგენილ სამხრეთ სათავსოს ჭრილში თავის უდავო ადგილს პოულობს სვეტი, კაპიტელი და თაღებშორისი ქუსლი. სრული დაზუსტების გარეშე გვრჩება სვეტის ბაზის არსებობის საკითხი. ყოველ შემთხვევაში, ძეგლის ტერიტორიაზე, ნანგრევებში, ჩვენ იგი ვერ აღმოვაჩინეთ. გათხრების წარმოება კი, რასაც შეეძლო სხვა საკითხების დაზუსტებაც (ცოკოლი, დამატებითი ფრაგმენტების აღმოჩენა და სხვ.), ჩვენ სამწუხაროდ, არ შეგვეძლო.

¹⁰³ იხ. გრძივი ჭრილი ტაბ. 3.


ქველის სახურავი ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, ფიქალის ფილებისაგან უნდა ყოფილიყო მოწყობილი. ამაზე რამდენიმე გარემოება მიგვითითებს: 1) ხევის ნაგებობათა გადახურვისათვის ფართოდ გავრცელებულია (თუ ერთადერთი არაა ქველი დროისათვის) ადგილობრივი, ბუნებრივი სამშენებლო მასალის — ფიქალის ფილების გამოყენება; 2) გარბანის ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეზე, კარნიზის ზემოთ, შემორჩენილია საგრძნობლად გამოშვერილი ფიქალის ფართო ფილა (ტაბ. 9, 10). ასეთი ფილა სამხრეთის ფასადის კარნიზსაც შემოენახა რამდენიმე ადგილზე; 3) ქველის ტერიტორიაზე ვერ ვიპოვეთ კრამიტის ვერც ერთი ნატეხიც კი. ყველა აღნიშნულის გამო ეჭვს გარეშეა, რომ გარბანის ტაძრის სახურავი ფიქალის ფილებისაგან იყო გაკეთებული. ამიტომ რეკონსტრუქციის ნახაზებში სწორედ მას ვგულისხმობთ.

აღდგენილი გეგმის, კრილებისა და ადგილზე ნაპოვნი ფრაგმენტების საფუძველზე, ჩვენ მიერ შესრულებულია დაგეგმილების წესით სამხრეთის ფასადის რეკონსტრუქციის ნახაზი (ტაბ. 34). იგი წარმოადგენს ქართული უგუმბათო ხუროთმოძღვრების სრულიად გარკვეული მხატვრული მიდგომით აგებულ ქველს, რომელიც ორგანიზებულია მცირე ქანობის საბურავების მქონე ორი გრძელი, საფეხურებად გამოშვერილი მასივისაგან.

ფასადის ზემოთა ნაწილში გაჭრილია ორი ვიწრო სარკმელი, რომელთა ზომები, რა თქმა უნდა, ვერ არღვევს კედლის სიბრტყის მთლიანობისა და მონუმენტურობის შთაბეჭდილებას. ფასადის ქვედა ნაწილი — მინაშენი, გახსნილია ორ საკმაოდ მასიურ სვეტზე დაბჯენილი, ძლიერად ხაზგასმული სამი ნალისებრი თალით, რაც დაკბილულ ეფექტურ კარნიზთან ერთად მთლიანად ფასადს საზეიმო ელფერს ანიჭებს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ხუროთმოძღვარი დაკმაყოფილებულა მთლიანი ხუროთმოძღვრული ორგანიზმის შექმნით ზოგად მოხაზულობაში — მასათა მხოლოდ ძირითადი დანაწილების პრინციპით. ამავე დროს ცალკეული ელემენტების ხაზგასმულობა (კარნიზი, თაღები ქვემოთა გამოწეულ ნაწილში) გარკვეული ექსპრესიულობის დაღს ასვამს ნაგებობას.

ამრიგად, აღდგენილი ნაგებობა (ტაბ. 50) აშკარად გამოირჩევა იმ მარტივ, მცირე ზომის, უბრალოდ აშენებულ სამლოცველოებისაგან, რომელთაც ხევში ხშირად შევხვდებით.

გარბანი გამოირჩევა, როგორც ძირითადი კორპუსისა და მინაშენების მოცულობებით შედგენილი რთული კომპოციზია. ნაგებობა მხატვრულად გააზრებულია თავის დროის შესაძლებლობათა მიხედვით. ამასთანავე ყურადღებას იქცევს გარბანში მისი შემად-



გენელი სათავსოები. გარდა საკუთრივ ეკლესიისა, საკურთხევლოთა და მოღვწელობათვის განკუთვნილი ადგილით, გარბანის ეკლესიის დებზე ახლავს განსაკუთრებული ნაწილები (მინაშენები) ფუნქციური დანიშნულებაა ახლა აღსანიშნავი. ეს მით უფრო საჭიროა, რომ გარბანის ტიპის ნაგებობის შესახებ ლიტერატურაში არაფერი თქმულა. ამავე დროს გარბანის მსგავსი ძეგლები, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, მთელ ჯგუფს შეადგენს საქართველოს ტერიტორიაზე. ჩვენთვის საინტერესო ნაგებობის ნაწილების დროთა ვითარებაში ცვლილების საკითხს შესაფერ ადგილზე განვიხილავთ, აქ კი საჭიროდ მიგვაჩნია ლიტერატურაში ცნობილი შენობათა სათავსოების სათანადო ტერმინებიდან, შესაფერისი შეფურჩიოთ გარბანის ჩრდილო, მოკლე მინაშენს და მეორეს — სამხრეთის ფასადის მთელ სიგრძეზე აგებულს.

საკულტო ნაგებობათა ნაწილებიდან, უსათუოდ ჩრდილოეთით იყო „სამკუთელო“, სადაც ეკლესიის მსახურნი „კვეთა“-ს აწარმოებდნენ (სეფისკვერისგან ნაწილის ამოღებას ნიშნავდა)¹⁰⁴. ეს ცერემონია, ჩვეულებრივ, საკურთხევის ჩრდილოეთის განყოფილებაში უნდა მომხდარიყო. ამიტომ აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით სწორედ ამ განყოფილებისათვის უნდა ყოფილიყო ტერმინი „სამკუთელო“¹⁰⁵.

შესაძლებელია, რომ გარბანის ჩრდილო სადგომი იმავე დანიშნულებას ასრულებდა, რასაც „სამკუთელო“, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ მოგვეპოვება მასალები, რომელთა საფუძველზე, შესაძლებელი იყოს ჩვენთვის საინტერესო სადგომისათვის სხვა სახელწოდების შერჩევა.

რაც შეეხება გარბანის მინაშენს სამხრეთიდან, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ხუროთმოძღვრებაში ეკლესიასთან ხშირად აგებდნენ სტოას.

აკად. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით „სტოვას“ დამახასიათებელ თვისებას ის შეადგენდა, რომ იგი სვეტებიანი, გვერდებზე ღია კამაროსანი შენობა იყო და ტაძრის ან სასახლის („კართა სტოვანი“) შესავალად ან გარემოსავლელად ითვლებოდა“¹⁰⁶.

არსებითად იგივე ნიშნები ახასიათებს გარბანის სამხრეთის მინაშენსაც, და ტერმინი სტოა, ვფიქრობთ, მას სავსებით შეეფერება. მართლაც, ზარზმის ეკლესიაზე მიდგმული ორსვეტიანი, სამი

¹⁰⁴ ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1946, გვ. 117.

¹⁰⁵ იქვე.

¹⁰⁶ იქვე, გვ. 104.



თალით გახსნილი სტოა გეგმის პრინციპული გადაწყვეტითაც კი ახლოს დგას გარბნის მინაშენთან¹⁰⁷.

ჩვენი ტაძარი, როგორც ხევის წარსულის ხუროთმოძღვრული ნაგებობა, მხატვრული შემოქმედების საბუთია და ისტორიულ საბუთსაც წარმოადგენს. მას, სამწუხაროდ, როგორც აღნიშნული გვაქვს, არ შემოენახა პირდაპირი დამათარიღებელი წარწერა. არც წერილობითი ცნობები მოგვეპოვება მისი აგების შესახებ.

საკითხი დათარიღებისა და გაგება ისტორიული ვითარებისა, რომელმაც „სიცოცხლე“ მიანიჭა ამ კონკრეტულ ძეგლს, ცხადია გამახვილებულ ყურადღებას მოითხოვს.

ასეთ შემთხვევაში გარკვევისათვის, როდესაც მოკლებული ვართ წერილობით ცნობებს, წინა პლანზე ძეგლის მხატვრულ-არქიტექტურული ფორმები და მათი კვლევის ისტორიულ-შედარებითი მეთოდი გვევლინება.

საბჭოთა ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა მიერ ჩატარებულია დიდი მუშაობა, რომელიც იძლევა უმდიდრეს მასალას მრავალსაუკუნოვანი ეროვნული ხელოვნების ისტორიული განვითარების შესახებ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა მტკიცე საფუძველი შეგვიქმნა ქართული ხელოვნების ნაწარმოებთა მეცნიერულ-ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევისათვის, მხატვრულ მოვლენათა ისტორიული ცვლის პროცესის ჩვენების თვალსაზრისით. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების დღევანდელ ეტაპზე დაუბრკოლებელ შესაძლებლობას იძენს ხელოვნებათმცოდნეობაში აკად. გ. ჩუბინაშვილის თანმიმდევრულად მკაცრი მეცნიერული დებულების მომარჯვება: «...все заметнее приобретает право гражданственности и в нашей научной дисциплине установка на выяснение вопросов развития форм и явлений, т. е. закономерного движения, переработки и создания новых форм и выражения в связи с новыми требованиями культуры и жизни вообще»¹⁰⁸. ამასთან დაკავშირებით ჩვენს პირველ ამოცანას წარმოადგენს გამოკვლევა იმ ადგილისა, რომე-

¹⁰⁷ МАК IV, М., 1894, ტაბ. XX, სურ. 41, 43.

ვახტანგ ბერიძე. სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, გვ. 94, სურ. 26, 34, ტაბ. 39.

¹⁰⁸ Г. Н. Чубинашвили. Памятники типа Джвари, Тб., 1948, стр. VII.

ლიც გარბანს უჭირავს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა შორის. ამის გადაწყვეტა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც მკაფიოდ გარკვეული გვექნება ისტორიული უპროცესი, მხატვრულ მოვლენათა განვითარების მოძრაობა¹⁰⁹. ამისათვის კი მიმართავენ მხატვრულ-ისტორიულ ანალიზს, რომელზედაც ჩვენ ახლა გადავდივართ.

¹⁰⁹ გ. ჩუბინაშვილი. კიდევ არუქის ტაძრის დათარიღების საკითხისათვის (ხუროთმოძღვრულ ძეგლთა შესწავლის მეთოდოლოგიისათვის), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 8, თბ., 1946, გვ. 549.

თავი მეხამე.

მსატვრულ-ისტორიული ანალიზი

ძეგლის ტიპისათვის. ქართული ისტორიული ხუროთ-მოძღვრების არსებობის მთელ მანძილზე მის ძირითად ხაზს გუმბათოვანი თემების სხვადასხვაგვარი ვარიაციები წარმოადგენს. მაგრამ ამასთან ერთად, როგორც ცნობილია, არანაკლებად გავრცელებული იყო უგუმბათო ხუროთმოძღვრების შენობებიც: სამნავიანი ბაზილიკები; შემდეგ აკად. გ. ჩუბინაშვილის მიერ „სამეკლესიან ბაზილიკად“ წოდებული ტიპი, რომელიც მისივე აზრით წმინდა ქართული წარმოშობისა უნდა იყოს, და დასასრულ ერთნავიანი დარბაზული ეკლესიები. ყველა ამ შენობათა შორის განსაკუთრებით სიცოცხლისუნარიანი და პოპულარული გამოდგა მთელ საქართველოში ფართოდ გავრცელებული, ხოლო ზოგიერთ პროვინციისათვის (სვანეთი, ზ. რაჭა) ერთადერთი თემა — დარბაზული ეკლესია. მრავალ მნიშვნელოვან გამოცემაში ამ ტიპის ნიმუშების შესახებ საყურადღებო აღწერა-მიმოხილვები დაიწერა¹¹⁰, ხოლო ბოლო ხანებში გამოკვლევებიც გამოქვეყნდა¹¹¹. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ

¹¹⁰ Д. Бакрадзе. Археологическое путешествие по Гурии и Аджаре, СПб, 1878.

П. Уварова. Христианские памятники, МАК IV, М, 1894, Экскурсия Е. Такайшвили 1902 года, МАК XII, М., 1909.

Е. Такайшвили. Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии, Тб., 1952.

¹¹¹ აღრინდელ ნაშრომებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია:

Г. Н. Чубинашвили. Саорбисская церковь, Христианский восток (изд. Акад. наук), т. IV, Пг., 1915.

Г. Н. Чубинашвили. Группа зальных церквей X—XI веков в Джавахетии, Тезисы VII сессии Отделения Общественных наук АН ГССР, Тб., 1942.

ვახტ. ბერიძე. ეხვევის ტაძარი „დედაღვთისა“, სვანე, ქართული ხელოვნება, ტ. I, თბ., 1942.

Ник. Чубинашвили. Клики-Джвари в Карталиннии и Гвиара в Нижней Рача, Тезисы I научной сессии Института истории грузинского искусства АН ГССР, 17.1.—1946.

ტიბის ნაგებობათა განვითარება საქართველოს ნიადაგზე ჯერ კიდევ
საკმაოდ შესწავლილი არ არის. ამ მხრივ მეტად მეტყველი მკვლევარ-
თია სწორედ ჩვენი განხილვის ობიექტი — გარბანის ეკლესია, რომელიც
უკვე ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვითაც თავის
მსგავს ნიმუშებთან ერთად საგულისხმო ჯგუფს შეადგენს ქართულ
უგუმბათო ხუროთმოძღვრებაში.

ჩვეულებრივად, გეგმის ზოგადი მოხაზულობის მიხედვით —
დარბაზული ეკლესიების ორ უმთავრეს ჯგუფს აღნიშნავენ: სწორ-
კუთხედში ჩაწერილ აბსიდიანსა და სწორკუთხედიდან ნახევარ-
წრედ, ან მრავალწახნაგად გამოშვებულ აბსიდიანს. საქართველოს
მრავალრიცხოვან დარბაზულ ეკლესიებიდან, რომელთაც ყველა რა-
იონში შევხვდებით. მხოლოდ რამდენიმე ვიცით გამოშვებული აბ-
სიდიით, როგორცაა — აკაურთა¹¹², დმანისის სიონი¹¹³, დავით-გა-
რეჯის უდაბნო, ველისპირი, სარკინეთი¹¹⁴, ვაშლობი¹¹⁵, აზაკრეთი
(ტაბ. 47), სხალთა¹¹⁶, ეილაგამი¹¹⁷ და სხვ.

შვერილაბსიდიანი ნაგებობების სიმცირე მკვეთრად შეინიშნე-
ბა არა მარტო საქართველოში. სირიაშიც აგრეთვე მხოლოდ ერთე-

ლ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი. ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი
ძეგლი; Н. Чубинашвили и Р. Шмерлинг. Храмы в древних селе-
ниях Триалетии-Олтиси и Тетри Шкаро; Р. Шмерлинг. Постройка мо-
нарет-ухунеса царя Георгия Блистательного в сел. Даба Боржомского рай-
она, ქართული ხელოვნება, 2, თბ., 1948.

ნიკ. Чубинашвили. Развитие зальных сооружений Джавахетии
с VI—VII вв. до середины XI века. Тезисы III научной сессии Института
истории грузинского искусства АН ГССР, Тб., 1948.

ლ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი. თრიალეთის საერისთავოს ერთ-ერთი ძეგლი X
საუკუნისა, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის III სამეცნიერო
სესია, თეზისები, თბ., 1948.

¹¹² ლ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი. ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი
ძეგლი, „ქართული ხელოვნება“, 2, თბ., 1948, გვ. 28, სურ. 1—5, ტაბ. 13, 14.

¹¹³ შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა. პროფ. ივ. ჯა-
ვახიშვილის რედაქციით, თბ., 1938, გვ. 364, ნახ. 8, სურ. 24, 26.

¹¹⁴ ამ სამი ძეგლის გეგმა მოცემულია ჩვენს წერილში, მოთავსებული
„საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში“, ტ. XI, № 9, თბ., 1950,
გვ. 609, სურ. 1.

¹¹⁵ МАК XII, М., 1909, გვ. 61, სურ. 33, ტაბ. XI 21.

¹¹⁶ МАК IV, М., 1894, გვ. 41, სურ. 36—40. ლ. მეფისაშვილი. სხალთის
ხუროთმოძღვრული ძეგლი. ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭა-
რაში, ბათუმი, 1955, გვ. 86—103.

¹¹⁷ МАК IV, М., 1894, გვ. 32, სურ. 30.

ული მაგალითები იძლევა გარეთ გამოწეულ აბსიდიან შენობებს¹¹⁸. განსხვავებულ სურათს ვხვდავთ მცირე აზიაში, სადაც გამოშვებულ აბსიდიან დარბაზული ეკლესიები დამახასიათებელია მხარისაღმართის ვიგანდის მიერ შედგენილ ტაბულაზე¹¹⁹ ლატმოსის ოლქის 24 ძეგლის გეგმა წარმოდგენილი. მათ შორის ყველას, ერთის გარდა, გამოშვებული აბსიდი აქვს. ამასთანავე ძეგლთა დიდი უმრავლესობა დარბაზულ ეკლესიას წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ გამოშვებულ აბსიდიან დარბაზულ ეკლესიებში, როგორც საქართველოში, ისე სხვაგანაც, გვერდითი სადგომები, როგორც წესი, საკურთხეველთან არ იხმარება¹²⁰, იმ დროს როცა სწორკუთხედში მოქცეულ აბსიდიან ნაგებობებს ისინი ხშირად ახლავს.

გარბანსაც გვერდითი სადგომი აქვს, მაგრამ მთლიანად გეგმის პრინციპული გადაწყვეტით მას ვერ მივაკუთვნებთ დარბაზულ ეკლესიათა ვერც ერთ ზემოთ მოტანილ ჯგუფს. ჩვენი ძეგლი, რომელსაც აბსიდიან ფუნქციონალურად დაკავშირებული, საგანგებო სათავსო ეკვრის, არაა ერთ სწორკუთხედში ჩაწერილი; მას სწორკუთხოვანი გამოწვევა აქვს ჩრდილო აღმოსავლეთით. ამიტომ გარბანის გეგმას ვერ მივაკუთვნებთ „სუფთა“ სწორკუთხოვანი მოხაზულობის გეგმის მქონე დარბაზულ ეკლესიებს. მას, ცხადია, ვერც გამოშვებულ აბსიდიან გეგმის მქონე ძეგლთა წრეს მივაკუთვნებთ, რამდენადაც მისი აბსიდი აღმოსავლეთის კედლიდან არ გამოდის. ამრიგად, გეგმის ზოგადი მოხაზულობის მიხედვით გარბანს ძეგლთა სხვა, აქამდე გამოუვლინებელ ჯგუფში უნდა მოეძებნოს ადგილი.

გარდა აღნიშნულისა, გარბანის გეგმაში განსაკუთრებით საყურადღებოა საკურთხეველის კომპოზიციური გადაწყვეტაც.

3. ბეიერის მიხედვით მაგალითად, აღრიხდელ IV ს. და უფრო გვიანდელი სირიული ეკლესიებისათვის კულტის მოთხოვნის შესაბამისად დადგენილი იყო ეკლესიის შემდეგი ძირითადი შემადგენელი ნაწილები: ნავი, საკურთხეველი ტრაპეზით, ორი პასტოფორია¹²¹ (გვერდითი სადგომები). რაც შეეხება საქართველოსა და სომხეთს, გვერდითი სადგომების გამოყოფა ადრევე შეინიშნება, მაგრამ ეს

¹¹⁸ Heinrich Glück. Der Breit und Langhausbau in Syrien. Heidelberg 1916.

Hermann Wolfgang Beyer. Der syrische Kirchenbau. Berlin, 1925.

¹¹⁹ Theodor Wiegand. Der Latmos. Berlin, 1913. Beilage 6.

¹²⁰ ერთადერთი გამოწვევის შენიშვნა—H. Glück... ტაბ. II 26—

Umm-idy-Djimal.

¹²¹ H. W. Beyer. დასახ. შრ., გვ. 33.

მტკიცედ ხდება მხოლოდ VI საუკუნეში¹²². სამნაწილადი საკურთხეველი შემდგომ ხანებშიც გამოიყენება როგორც საქართველოს ასევე სომხეთის ბაზილიკური ტიპის ნაგებობათა განვითარების გზებზე. ამასთანავე, სამნაწილადი საკურთხეველის თითოეული გვერდითი სათავსო შეიძლება უშუალოდ იხსნებოდეს შესასვლელით ნავისაკენ, როგორც მაგალითად ოთხთა ეკლესიის „მცირე ბაზილიკაში“ გვაქვს¹²³ (ტაბ. 35₁). ასეთ გადაწყვეტას შეიძლება ღია სამნაწილადი საკურთხეველი ვუწოდოთ, ჩაკეტილ სამნაწილადი საკურთხეველისაგან განსასხვავებლად, სადაც გვერდითი სათავსოები უშუალოდ აბსიდის კედლებში იხსნება და ნავისაგან იზოლირებულია. უნდა აღინიშნოს, რომ თუ პირველი ტიპის სამნაწილადი საკურთხეველის მქონე ცალნავიანი ნაგებობებიდან მხოლოდ ერთეულები ვიცით, და, როგორც ჩანს, ასეთი ნაგებობები ვერ გავრცელდა საქართველოში, სამაგიეროდ, ჩაკეტილი სამნაწილადი საკურთხეველი რამდენიმე ათეულ ძეგლშია დამოწმებული. მათ შორის აბსიდთან უშუალოდ დაკავშირებული გვერდითი სათავსოები სამი ძირითადი ფორმისაა.

1) ნახევარწრიული (მაგ. დისევი, ტაბ. 35₂),

2) სწორკუთხოვანი ან მრავალკუთხოვანი (მაგ. ზემო ყარაბულახი, ხოზიტა მარიამი, ტაბ. 35₃, 4).

3) სწორკუთხოვანი, აბსიდური მომრგვალებით (მაგ. ეხვევი, ტაბ. 35₅).

ქართულ დარბაზულ ტაძრებიდან გარბანი განსაკუთრებით იმით გამოიყოფა, რომ აბსიდთან ფუნქციონალურად დაკავშირებული სათავსო მხოლოდ ერთ მხარეზეა (ჩრდილოეთით) მოცემული¹²⁴. დამაკავშირებელი შესასვლელი გაჭრილია აქ არა აბსიდის კედელში, როგორც ეს ჩვეულებრივია ჩაკეტილი სამნაწილადი საკურთხეველისათვის (დისევი, ზ. ყარაბულახი, ხოზიტა-მარიამი, ეხვევი), არამედ ნავის კედელშია, აბსიდის მხართან ახლოს. ამნაირად მიღებულ ორ ნაწილად საკურთხეველში აბსიდის დაკავშირება გვერდით სადგომთან (სამკუთხედოსთან) არაა უშუალო. ამიტომ, აბსიდის სამსაფეხურიანი ბაქნის წინ წამოწევა ნავში — ჩრდილო სადგომის შესასვლელამდე, ცხადია, შემთხვევითი არ უნდა იყოს. როგორც

¹²² Г. Н. Чубинашвили. Болнисский Сион, გვ. 126.

¹²³ Е. Такайшвили. Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии, Тб., 1952, გვ. 87, ტაბ. 115.

¹²⁴ ასეთი სათავსო, როგორც წინა თავში აღინიშნა, ქართულ ძეგლებში „სამკუთხედო“ უნდა იყოს. ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი გრისმატიკალური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1946, გვ. 117.

ადვილი შესამჩნევია, რიტუალთან დაკავშირებული სამღვდელმსახურო პროცესი ტერიტორიულად მლოცველთათვის განკუთვნილ ნავში იქნებოდა რამდენადმე შექრილი, რაც შესაძლებელია მოწმობდეს, რომ საერთოდ, თუ კანკელის გამოყენებას არ ჩავთვლით, მტკიცედ დადგენილი, ერთადერთი წესი საკურთხეველის ნავისგან გამიჯვნის საკითხში არ არსებობდა. მართლაც, სომხეთის ძეგლები, რომელთაც აგრეთვე აბსიდიდან ერთ მხარეზე (სამხრეთით) გამოშვერილი სათავსო აქვთ — დირაკლარისა და ტანაატის ეკლესიები, სხვანაირ დაგეგმარებას გვიჩვენებს¹²⁵. დასახელებულ ძეგლებში გამოშვერილი სათავსო უშუალო შესასვლელით უკავშირდება აბსიდს, რის გამო უკანასკნელი მთლიანად განკერძოებულია ნავისგან (მეტადრე ტანაატის გეგმაში). გარდა აღნიშნულისა ამ ძეგლებში სივრცითი გადაწყვეტაც არ გავს გარბანისას, რომელსაც აღმოსავლეთი ნაწილი ბაზილიკურ ნაგებობას ემსგავსება, მაშინ როცა დირაკლარის სამხრეთ-აღმოსავლეთით გამოშვერილი სადგომი ძირითადი კორპუსის მთელ სიმაღლეზეა ამართული¹²⁶.

უნდა ითქვას, რომ მთლიანად ორივე სომხური ძეგლი პრინციპულად იმდენად დაშორებულია გარბანისაგან, რომ მის პარალელულად ვერ გამოგვადგება. ისინი საინტერესო აღმოჩნდა ჩვენთვის როგორც აბსიდის გვერდით გამოწეული სათავსოს მქონე ეკლესიების მაგალითები.

გარბანის ეკლესიის გეგმის გარეგნულად მსგავს მაგალითებს სირიის ხუროთმოძღვრებისადმი მიძღვნილ შრომებშიც ვპოულობთ. ასეთ მაგალითებად უნდა დავასახელოთ ჩრდილოეთ სირიის ორი ძეგლი: Kfer და Rbeah¹²⁷. მაგრამ მსგავსება ამოიწურება დარბაზული ეკლესიის აბსიდის ერთ მხარეს (ჩრდილოეთით) მოკლე, გამოშვერილი სადგომის მოწყობით ისე, როგორც გარბანში გვაქვს. უფრო არსებითია განსხვავება. გარდა იმისა, რომ სირიის ძეგლების გეგმებს მეტისმეტად წაგრძელებული პროპორციები ახასიათებს, რაც მთავარია, მათი საკურთხეველი სამნაწილადია — ჩრდილოეთით გამოშვერილი სადგომის სიმეტრიულად სამხრეთის მინაშენ-

¹²⁵ В. Арутюнян и С. Сафарян. Памятники армянского водчества, М., 1951, гб. 37—38, სურ. 10, 11.

¹²⁶ J. Strzykowski. Die Baukunst der Armenier und Europa. Wien, 1918, В. 1, гб. 140, სურ. 151, 152.

¹²⁷ Н. С. Butler. Early churches in Syria. Princeton, 1929, гб. 77, სურ. 80, 81.

Н. Glöck. დასახ შრ., ტაბ. III, 49, 53.

შიც სათავესა გამოყოფილი. აბსიდა, ამნაირად, ორივე მხრიდანა უზრუნველყოფილი პასტოფორიებით.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, არც მოყვანილი სირიულნი ძეგლები გამოგვადგება გარბანის ტიპის ძეგლების განვითარება ჩამოყალიბების გასაგებად.

ყველა ზემოხსენებული ძეგლი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად ქრისტიანული ხელოვნების საერთო იდეოლოგიური წანამძღვრებისა და იმ საერთო მოთხოვნებისა, რომელსაც ეს იდეოლოგია ხუროთმოძღვრების წინაშე აყენებდა, სომხეთში, სირიასა და საქართველოში ჩვენ ვხედავთ საკუთარ ტრადიციებზე დამყარებულ მიდგომას თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ კონკრეტულ ხუროთმოძღვრული თემის გადაწყვეტაში.

ვფიქრობთ, აქ უადვილო არ იქნება აკად. გ. ჩუბინაშვილის განმარტების მოტანა ქრისტიანული ქვეყნების ხელოვნების ურთიერთობის თაობაზე. იგი წერს: „...ყოვლად შეუძლებელია ქრისტიანობის დროს ხელოვნების ნაწარმოებთ რომსა და მცირე აზიაში, აფრიკასა და ირანში, კონსტანტინეპოლსა და საქართველოში და სხვაგან ფორმალური და სტილისტიკური მხრით მოვუძებნოთ მათი შექმნის ერთნაირი ზოგადი გამოსავალი ფორმები. პირიქით, მიუხედავად კულტურულ ღირებულებათა ფართო გაცვლა-გამოცვლისა, ... მიუხედავად მხატვრული შემოქმედების საზოგადო ხელმძღვანელი იდეების სრული ერთობისა (ფორმალობისა და შინაარსის მხრივ), მათი გამოვლენის კონკრეტული ფორმები... მაინც სრულიად სხვადასხვანაირია და ცხადად ტიპიური. ეს აიხსნება საერთოდ მაღალი ხარისხით კულტურისა, რომელიც, როგორც ცნობილია, რეალურად ხორციელდება ამა თუ იმ ეროვნულ ფორმებში“¹²⁸.

გარბანი რომ მართლაც ეროვნული ხუროთმოძღვრების ტიპობრივი ძეგლია, ამას ამტკიცებს ერთი მხრივ ის გარემოება, რომ საქართველოს გარეთ არ გვეგულება გარბანის ტიპის ძეგლები, ხოლო მეორე მხრივ — ასეთი ძეგლების მთელი რიგი ვიცით საქართველოში. აი, ამ ძეგლების არასრული სია: ხცისი, ხვილიშა, სარო, კაბერი, უბისი, ყვარშა, ბრეთი, ურიათუბანი, ლელიანი, დამალა. ეს ძეგლები, რასაკვირველია, ყველა ერთნაირი არ არის. ამ ტიპმა ისეთი ნიმუშებიც მოგვცა, რომელნიც რიგითი ძეგლების მნიშვნელობას აღემატება, ხოლო ერთ-ერთი მათგანი — ხცისი, თავისი დროისათვის მოწინავე ნაწარმოები, ქართული ხუროთმოძღვრების

¹²⁸ გიორგი ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბ., 1936, გვ. 21-22.

საუკეთესო წარმომადგენელთა გვერდითაც შეიძლება იდგეს. ყველა დასახელებულ ძეგლზე თვალის გადავლება გვაფიქრებინებს, როგორც ქრონოლოგიურად სხვადასხვა საფეხურზე აგებული ეს ეკლესიები თავისი გეგმის პრინციპული გადაწყვეტით განვითარების თანმიმდევრობის შედეგი უნდა იყოს.

ჩვენთვის საინტერესო ძეგლთა შორის უგვიანესია ხცისი (1002 წ), რომელიც თავისი სტილისტიკური განვითარების დონით აღნიშნულ ძეგლთა ჯგუფს აგვირგვინებს (ტაბ. 361).

გეგმის გადაწყვეტის მიხედვით ხცისის ძეგლთან ერთ მწკრივში გვაქვს ტაბულაზე გარბანი და ხვილიშა (ჯავახეთი). ხვილიშა VIII—IX ს. მიეკუთვნება¹²⁹, გარბანი კი ამ ორ ძეგლთა თარიღებს შორის უნდა იყოს აგებული, რასაც ქვემოთ ვაზუსტებთ. სამივე გეგმის გადაწყვეტა მსგავსია, როგორც ჩრდილო მოკლე მინაშენის მოწყობით, ასევე სამხრეთის სტოითაც ფსადაის მთელ სიგრძეზე. ხვილიშას ამ უკანასკნელი ნაწილის მხოლოდ მცირე ნაშთიღა შერჩა სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში. არც ხცისის სამხრეთის მინაშენს მოუღწევია ჩვენამდე დაუზიანებლად; მისი ცენტრალური ნაწილი გადაკეთებულია. შეკეთებული კედლის წყობაში ვერტიკალურად ჩატანებული მრგვალი სვეტი გვაფიქრებინებს, რომ ადრე ხცისის სტოაც სვეტებზე (ან სვეტზე) გადაყვანილი თაღებით იყო გახსნილი, როგორც ეს გარბანის, საროს და დამალას გეგმებშია. ერთი სიტყვით, როგორც დეტალებში, ასევე ზოგადი გადაწყვეტით მსგავს გეგმებთან გვაქვს საქმე.

გარკვეულად უფრო გართულებული გამოიყურება ქრონოლოგიურად გარდამავალ ეპოქაზე არა უგვიანესი ძეგლების — საროს, ურიათუბნისა და ტამალას გეგმები (ტაბ. 364, 5, 6), სადაც სამხრეთის სტოას დასავლეთის გარშემოსავლელიც ერთვის. ჩრდილოეთის მხრიდან კი სამივე გეგმა ისეთივე ასიმეტრიული და „შეუვსებელია“ როგორც წინა მაგალითებში. თუ ასეთ გეგმას ჩრდილოეთიდანაც მიეუმატებთ „შეუვსებელ“ ნაწილში გარშემოსავლელს, მაშინ სამეკლესიან ბაზილიკის სრულ გეგმას ვღებულობთ. ეს გარემოება აღნიშნულ ძეგლებსა და სამეკლესიან ბაზილიკას შორის ურთიერთობაზე გვაფიქრებინებს.

სორბონის უნივერსიტეტის პროფესორს იურგის ბალტრუშაიტის გამოქვეყნებული აქვს სამნაწევრიანი ბაზილიკური შენობების

¹²⁹ ნიკ. ჩუბინაშვილი, ჯავახეთის დარბაზულ ძეგლთა განვითარება VI—VII სს-დან XI-ის ნახევრამდის, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის III სამეცნიერო სესია, თეზისები, თბ., 1948, გვ. 7.

შესახებ მონოგრაფია¹³⁰, რომელშიც ავტორმა ცალკე თავი საჭირო
 თველოს სამეკლესიან ბაზილიკებს მიუძღვნა. თუმცა აქ ხაზგასმით
 თაა ნათქვამი ქართული ხუროთმოძღვრების გადამწყვეტი მნიშვნე-
 ლობის შესახებ აღებულ საკითხში, მაგრამ წიგნი ვერაფერს მატებს
 ქართველ საბჭოთა მკვლევართა შრომებს სამეკლესიანი ბაზილიკის
 განვითარების სწორი სურათის წარმოდგენის მხრივ¹³¹. საქართვე-
 ლოში სამეკლესიანი ბაზილიკების განვითარების საკითხი გამოკვლე-
 ული აქვს აკად. გ. ჩუბინაშვილს. მის მიერ დადგენილია მრავალ
 შრომაში, რომ აღრექრისტიანულ V—VI საუკუნეებში ნაგებო-
 ბის ეს ტიპი მწკრივად აშენებულ სამ განცალკევებულ ეკლესიას
 წარმოადგენს¹³². მალე ამ მარტივ „უმწეო ხუროთმოძღვრული ფორ-
 მის“ ნაცვლად შეეცადნენ უბრალოდ გამწკრივებული სამი სადგო-
 მის მთლიან ერთეულად შეკვრას. გვერდის ეკლესიები დამოუკიდებ-
 ლ სადგომებიდან წაგრძელებულ სტოებად გადაგვარდნენ. ამას-
 თანავე, სამხრეთ შესასვლელის გარდა, ცალკე შესასვლელი კეთ-
 დება ჩრდილოეთის სადგომში. შემდეგ, ჩრდილოეთის ეკლესიის აღ-
 მოსავლეთ ნაწილში, გამოიყოფა ცალკე ოთახი მთავარ, შუალა ეკ-
 ლესიის სამსხვერპლოს ფუნქციის შესასრულებლად (საგურამოს
 ქასური გიორგი; კისისხევის „კონდამინი“)¹³³. ჩვენთის განსაკუთ-
 რებით საინტერესოა სწორედ ეს მომენტი, რადგან ეს ცალკე გა-
 მოყოფილი სადგომი საუკუნეების მანძილზე დიდხანს შერჩა უცვ-
 ლელად როგორც სამეკლესიანი ბაზილიკების მშენებლობაში (მაგ.
 ერედვი — 906 წ) ასევე მათზე დამოკიდებულს გართულებული,
 დარბაზული ეკლესიის განვითარების ერთ ხაზს.

გარბანი და მისთან გეგმის გადაწყვეტით ახლოს მდგომი ნაგე-
 ბობები ჩვენ წარმოგვიდგება როგორც დარბაზული ხუ-
 როთმოძღვრების თავისებური ტიპი, აღმოცე-
 ნებული საქართველოს ნიადაგზე, სავსე-
 ბით გარკვეულ ადგილობრივ ხუროთმოძღ-
 ვრულ წანამძღვრებიდან, რომელთა საწყისები იქნებ
 ქართულ ნიადაგზე წარმოშობილ „სამეკლესიან ბაზილიკებშია“ სა-

¹³⁰ Jurgis Baltrusaitis. L'église cloisonnée en Orient et en Occi-
 dent, Paris, 1941.

¹³¹ იხ. გ. ჩუბინაშვილის რეცენზია აღნიშნული შრომის შესახებ,
 ქართული ხელოვნება, II, 1948, გვ. 168—173.

¹³² Г. Н. Чубинашвили. Церковь близ сел. Болнис-Капанакчи,
 Христианский Восток, т. V, вып. III, Пгр. 1916, таб. XLVII.

¹³³ გიორგი ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია,
 ტ. I, გვ. 68, 72, სურ. 57 და 58.

ძიებელი. ეს მით უფრო კანონზომიერი გვეჩვენება, რომ სამეკლესიანი ბაზილიკებს, როგორც აღრინდელ საეცებით ორიგინალურ, ეროვნულ, ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ნაგებობებს.

გვარი იდეური გამოსხივების უნარი უნდა ჰქონოდა ქართველ ხუროთმოძღვართა შემოქმედებისათვის. მართლაც, სამეკლესიანი ბაზილიკის გეგმა გუმბათიან ნაგებობის ხუროთმოძღვართა მხრივაც კი არ დარჩენილა შეუნიშნავი. ამის მკაფიო მაგალითებია ისეთი ძეგლები, როგორცაა ნეკრესის გუმბათიანი ეკლესია და ვაჩნაძიანი. ამ უკანასკნელის ხუროთმოძღვარმა „...გადაამუშავა საფუძვლიანად და გადააქცია თავისი სამეკლესიანი ბაზილიკის არსებითად უბრალო გეგმა რთულ, მხატვრულად დამთავრებულ და ამასთანავე გუმბათურ კომპოზიციად, რომელიც მთლიანად მჭიდროდ გადაჯაჭვულია ქართული არქიტექტურის განვითარებასთან“¹³⁴.

ზემოთქმულთან დაკავშირებით გასაკვირი არაა, რომ „...სამეკლესიანი ბაზილიკის თემა, რომელიც გამოიხატა მთავარი ეკლესიის შესამჩნევ გადიდებაში, გამოყენებულ იქნა, რასაკვირველია, ცალნაწიან ეკლესიებშიაც“¹³⁵. ამის საუკეთესო ილუსტრაციას ჩვენს ტაბულაზე მოტანილი ძეგლები წარმოადგენს (ტაბ. 361-6), რომელთა შორის ტამალას შენარჩუნებული აქვს შედარებით მეტი ელემენტები ზეგანისა და ნეკრესის (VI—VII ს.) სამეკლესიანი ბაზილიკების გეგმებისა. ესაა პირველ რიგში საკურთხეველის ორგანიზაცია. იგი წარმოადგენს სამკვეთლოსა და სადიაკონოთი აღჭურვილს, სამნაწილიან კომპოზიციას, როგორც ეს ზეგანსა და ნეკრესშია (ტაბ. 367, 8). ამასთანავე, დასავლეთის გარშემოსავლელი და სამხრეთის სტოა კიდევ უფრო აახლოებს ტამალას დასახელებულ სამეკლესიან ბაზილიკებთან. ამიტომ, საფიქრებელია, რომ ტამალას გეგმის კომპოზიციის ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ჩვენს ტაბულაზე მოცემულ დანარჩენ ძეგლებს (1—5). ამ მოსაზრებას მხარს უჭერს გეგმის ცვლილების ის თანმიმდევრობაც, რომელიც შესამჩნევია ტამალადან ზცისამდე.

სურათი უფრო ნათელი ხდება, თუ გავითვალისწინებთ სამეკლესიანი ბაზილიკის გეგმის განვითარების იმ საფეხურს, რომელიც წარმოდგენილი გვაქვს ტაბულაზე ნეკრესისა და ზეგანის მაგალითებით. სწორედ მათ შესახებ აღნიშნავს აკად. გ. ჩუბინაშვილი, რომ VI—VII ს. მიჯნაზე ქართველმა ხუროთმოძღვრებმა შუა ეკლესია

¹³⁴ გ. ჩუბინაშვილი და ნ. სევეროვი. ქართული არქიტექტურის გზები, თბ., 1936, გვ. 71—72.

¹³⁵ გ. ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1936, გვ. 192.

მთავარ, დომინირებულ სივრცედ აქციეს, გვერდით ეკლესიებს მხოლოდ დამატებითი ელემენტების სახე მისცეს. უკანასკნელთა საჭიროება ახლა განისაზღვრება მხოლოდ მათი ღია არქიტექტურის მხატვრული როლით და არა მათი განკუთვნილ ღვთისმსახურებისათვის, როგორც დამოუკიდებელი ეკვდერებისა. ამგვარად იქმნება თანაბარი, შეუწყვეტელი დინება ასეთი დაბალი და ვიწრო, ყოველმხრივ არკატურით დაცხრილული გარშემოსავლელისა. იგი გამოყოფს და ხაზს უსვამს მთელ შუა სივრცის მოცულობას და მნიშვნელობას, მისი საკურთხეველის ნაწილით, რომელსაც გარშემოსავლელი არ გააჩნია¹³⁶.

თუ ძეგლთა ერთ ჯგუფს (ტაბ. 36) თვალს გავაყოლებთ, არ შეიძლება არ შევნიშნოთ დარბაზული ეკლესიის თავისებური ტიპის განვითარებაში სამეკლესიანი ბაზილიკის გავლენა, მისი საფუძვლის ხანგრძლივი და თანდათან ცვლილების ფაქტი. თუ დამალაში უცვლელადაა განმეორებული სამეკლესიანი ბაზილიკის (ხეგანისა და ნეკრესის) საკურთხეველი ორივე მხრიდან მოწყობილი სადგომებით და უკუგდებულია საკუთარ, ფუნქციონალურ დანიშნულებას მოკლებული ჩრდილოეთის გარშემოსავლელი, რითაც დარღვეულია სამეკლესიანი ბაზილიკის ორგანული, დასრულებული კომპოზიცია, შემდეგ ძეგლებში — ურიათუბანსა და საროში, — აღარც აბსიდთან სამხრეთით გამოყოფილი სადგომია შერჩენილი და მიღებულია ერთიანი სტოა ფსადის მთელ სიგრძეზე, რომელმაც, დღევანდელი სიტყვით რომ აღვნიშნოთ, მხოლოდ „ვესტიბულის“ დანიშნულება მიიღო. ბოლოს, დანარჩენ სამ ძეგლში (ტაბ. 36₁₋₃) დასავლეთის გარშემოსასვლელიც უკუგდებულია, მაგრამ შერჩენილია როგორც ორნაწილადი საკურთხეველი, ასევე სამხრეთის ფსადის მთელ სიგრძეზე აგებული სტოა, გახსნილი თაღოვანი ღიადებით. ამასთანავე, ყურადღების გარეშე არ რჩება ჩრდილოეთით გამოშვებული სადგომის ფართის თანდათან გადიდება, რაც მისი მნიშვნელობის ზრდაზე უნდა მიგვითითებდეს. ადვილი შესამჩნევია ისიც, რომ გარშემოსავლელიდან თანდათანობით მხოლოდ წმინდა დამხმარე, პრაქტიკული დანიშნულების სადგომებიღაა შერჩენილი.

რასაკვირველია, გეგმის ასეთი კონფიგურაცია ფუნქციონალური მოთხოვნისა და ტრადიციის გათვალისწინების შედეგია, რომლითაც, როგორც ძეგლები ვეჩვენებს, არ განისაზღვრება დარბაზულ ნაგებობათა სახესხვაობა. ახალი მხატვრულ-ტიქტონი-

¹³⁶ Г. Н. Чубинашвили. Архитектура Кахетии, გვ. 185.

კური მიდგომა თავს იჩენს X—XI საუკუნეების ძეგლებში, როგორცაა ოთხთა ეკლესია, ზემო ყარაბულახი, ეხვევი და სხვ. (ტაბ. 35). თავისი წარმოშობით, როგორც საფიქრებელია, სამეკლესიანობა ლიკებთან დაკავშირებული დარბაზული ეკლესიების გეგმის ცვლილებაც რომ დროთა ვითარებაში, მართლაც, მისი კომპაქტური გადაწყვეტისაკენ მიდიოდა, ამას, გეგონია, დარბაზული არქიტექტურის ისეთი შესანიშნავი ძეგლიც ადასტურებს, როგორც სავანეა (1046 წ.).

თუ ხცისის აბსიდში გაკეთებული არაღრმა შეწყვილებულ ნიშებს დეკორატიული დანიშნულება აქვთ, უფრო გვიან, სავანეში — ძლიერ შეღრმავებული ნიშები სამკვეთლოსა და საღიაკვნოს ფუნქციონალურ დანიშნულებას იძენს. მაგრამ, გარდა ამისა, მათ კონსტრუქტურული გამართლებაც აქვთ — ისინი ამცირებენ კედლის უსარგებლო მასივს¹³⁷.

მეტად საგულისხმოა, რომ ნავის ჩრდილო კედელში აბსიდის მხართან ახლოს ამოშენებული თაღოვანი შესასვლელია. იგი მკვლევართა მიერ ნიშად იყო მიჩნეული და მისი წარმოშობა-დანიშნულება გაურკვეველი რჩებოდა¹³⁸, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ზემოგანხილულ ძეგლთა გეგმების ურთიერთკავშირსა და დამოკიდებულებას, სადაც განვითარების ყოველი შემდეგი საფეხური წინა საფეხურის თანმიმდევრულ ცვლილებად წარმოგვიდგება, უნდა ვიფიქროთ, რომ სავანის ჩრდილო კედლის ამოვსებული კარი განვითარების რუდიმენტული გადმონაშთია. როგორც ჩანს, ღრმა ნიშების გამოყენებისა და სამნაწილადი საკურთხევლის ორგანიზების შედეგად, გაუქმდა ჩრდილო გამოშვერილი სადგომის საჭიროება და მასთან ერთად, ცხადია, შესასვლელისაც.

ჩვენთვის საინტერესო ნაგებობათა გეგმის დროთა ვითარებაში ცვლილებასთან დაკავშირებით, სავანეში კიდევ ერთი მომენტია საყურადღებო. ტაძრის სამხრეთის მთელი მინაშენი გადაკეთების ნიშნებს ატარებს და მკვეთრად შესამჩნევია როგორც მის გეგმაზე, ასევე ფასალზე კარიბჭისა და მინაშენის კედლის სვეტების დაუმთავრებლობა. მათი უმიზნო გაკეთება, რადგან არც ერთ მათგანს არაფერი ეყრდნობა.

¹³⁷ ვ. ბერიძე, სავანე (XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი), ქართული ხელოვნება, I, თბ., 1942, გვ. 81, სურ. 3.

¹³⁸ გამოცემული გეგმის ნახაზში შეცდომაა — ნიშის მაგივრად კარი უნდა იყოს აღნიშნული; მისი მოხაზულობა კარგად ჩანს ადგილზე, ჩრდილო კედელზე გარედან.

მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ თავისსავე ადგილზე უკველად შემონახულ კედლის სვეტების ბაზებს, საფუძველი გვეძლევა მინაშენის თავდაპირველი ჩანაფიქრის წარმოდგენას. ამისათვის კი ჩვენ უნდა დავეყრდნოთ გადაუკეთებლად მოღწეულ ძველ, პროფილირებულ ცოკოლს, რომელიც თითქმის მთელ სიგრძეზე მისდევს მინაშენის სამივე კედელს. ხსენებული კედლის სვეტების ბაზებიც ამ ცოკოლზეა დარჩენილი და ახლანდელი კედლები სწორედ მის მოხაზულობას მისდევს. მაგრამ კედლის სვეტები, რომლებზედაც, ბუნებრივია, არკატურა უნდა წარმოვიდგინოთ, არაფრით არ უკავშირდება კარიბჭეს. მეორე მხრივ, ბაზების განლაგება ცოკოლზე გვიჩვენებს, რომ კედლის სვეტები საერთო, ზუსტად დაცულ რიტმს ქმნიდნენ ფასადზე, რაც დარღვეული იქნა კარიბჭის მოწყობით. თვით კარიბჭის თაღის ორივე მხარეს — ბურჯებზე, საგრძნობლად შვერილი პილასტრებია აყოლებული, რომელნიც თავისი დანაწევრებით სრულიად ვერ ეთანხმებიან ბურჯებს და ვერ ქმნიან მასთან მთლიან სახეს. ყველაფერი ეს შედეგია თავდაპირველ გეგმაში შეტანილი ცვლილებებისა. სავსებით აშკარაა, რომ სამხრეთის მინაშენში ამდაგვარად გამოყოფილი კარიბჭე თავდაპირველად არ ყოფილა გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე შესაძლებლად მიგვაჩნია დავასკვნათ, რომ სამხრეთის მინაშენი ხუროთმოძღვარს თავიდან მოფიქრებული უნდა ჰქონოდა როგორც ერთი სახურავის ქვეშ მოქცეული და არკატურით გაფორმებული სტოა, რომელიც ცხადია ღიადებით იქნებოდა გახსნილი. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ერთიანი სტოას მოწყობა მთავარი კორპუსის მთელ სიგრძეზე, რაც, როგორც ვიცით, საუკუნეების მანძილზე ტრადიციულად გამოიყენებოდა, უკვე დრომოკმული ხდება სავანეს მშენებლობის პროცესში. როგორც ჩრდილოეთის შესასვლელის გაუქმება, ასევე სტოას პირვანდელი გეგმის შეცვლა, განხილული უნდა იქნეს, ჩვენი აზრით, როგორც ძველი ნორმების გადასინჯვა ხუროთმოძღვრების განვითარების ცხოველხატული საფეხურის შესაბამისად. მინაშენის აგების დროის მხატვრულ კონცეპციისათვის არასაკმაო უნდა ყოფილიყო სტოას მარტივი, დაგრძელებული მოცულობა. ამიტომ მთავარი შესასვლელის ხაზგასმული აქცენტირება კარიბჭის შეჭრით მინაშენში, დამატებით მოცულობით საფეხურს იძლევა, რაც უფრო აცოცხლებს მთლიანად ნაგებობის ფასადის კომპოზიციას, შეაქვს მასში დინამიკის შთაბეჭდილების აღმძვრ-



ლი ელემენტი¹³⁹. საგულისხმოდ მიგვაჩნია, რომ სწორედ ემაკე კომპოზიციას, უკვე იმავეთვე გათვალისწინებულს მთლიანად დასაბუთებულ რულებული სახით, წინარების ე. წ. „მაღალანთ ეკლესიის“ ხუროთმოძღვარი იძლევა უფრო გვიან¹⁴⁰.

ამრიგად, გარბანი შესაძლებელია განვითარების გარკვეული საფეხური იყოს, რომელსაც როგორც პროტოტიპები მოეძებნება, ასევე შემდგომი ცვლილების ნიმუშებიც.

გარბანის გეგმასთან დაკავშირებული მასალის განხილვა გვიჩვენებს, რომ გარბანი და მასთან ახლოს მდგომი ძეგლები სავსებით გარკვეულ ჯგუფს შეადგენს, რომელიც ფრიად საგულისხმოა როგორც ქართული უგუმბათო ხუროთმოძღვრების მრავალმხრივი განვითარების კიდევ ერთი მაჩვენებელი. ამ ჯგუფის ძეგლების გეგმის გადაწყვეტა განსხვავებულია როგორც ცალი მხრიდან მინაშენის მქონე ან და უმინაშენო დარბაზული ნაგებობისაგან, ასევე ბაზილიკისაგანაც. მეორე მხრივ, ჩვენთვის საინტერესო ჯგუფში ძეგლთა ურთიერთკავშირი ჩანს საუკუნეთა მანძილზე ევოლუციის თვალსაზრისით და თავს იჩენს გარკვეული შეხების წერტილები ჯგუფის ადრინდელი წარმომადგენლისა (დამალა), ქართულ ორიგინალურ „სამეკლესიან ბაზილიკებთან“ (ზეგანი, ნეკრესი), რომელთა შეცვლილ სახესაც პირველი იძლევა.

რამდენადაც ჩვენი ამოცანის ფარგლებს სცილდება აქ მთელი ჯგუფის საგანგებო შესწავლა, ხოლო გამოთქმულ მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ ჩვენ ამჟამად არ გავაჩნია სათანადო ფაქტები ქართულ არქიტექტურიდან, შესაძლებლად მიგვაჩნია — ყველა ზემოთქმულის წამოყენება საკითხის დასმის წესით.

სივრცის ორგანიზაცია. გარბანის ტაძრის აღმოსავლეთი ნაწილის სივრცითი გადაწყვეტაც ბაზილიკას მოგვაგონებს (ტაბ. 33), მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ ითქმის მთელ ნაგებობაზე, რადგან ჩრდილო სათავსო მხოლოდ გარკვეულ მანძილზე მისდევს ძირითად, შუა მოცულობას. უნდა აღინიშნოს, რომ კლასიკური სამეკლესიანი ბაზილიკის სამ მხრიდან არკატურით დაცხრილულ

¹³⁹ ასეთი ნახვასმული აქცენტირება შესასვლელი სივრცისა არ შეინიშნება ადრინდელ ძეგლებში, მაგრამ X--XI საუკუნეებიდან კი იგი იხმარება (ცხრაკარა დოდოთთან, ხეთის დასავლეთის სტოა, ზღუდერი). იხ. ლ. რ ჩე უ ლ ი შ ვ ი ლ ი. ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი, ქართული ხელოვნება, 2, თბ., 1948, გვ. 45, 41, სურ. 19.

¹⁴⁰ Н. П. Северов. Памятники грузинского зодчества, М., 1947, გვ. 62, სურ. 50.

ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1948. დამატება, წინარები.

გალერეებისაგან განსხვავებით, რომელნიც შუა ეკლესიის აღქმის მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ, გარბანის გვერდითი ნაწილები სხვადასხვა სივანის, სიგრძისა და არაერთნაირი მხატვრული ბეჭების მქონე ცალკეულ მოცულობებად წარმოგვიდგება და ამით განსხვავდება ჩვენი ძველი სივრცის სრული, ბაზილიკური ორგანიზაციისაგან. მეორე მხრივ, გარბანის აღნიშნული აგებულება მას დარბაზულ ნაგებობისაგან თიშავს, — იქნება ეს გვერდითი მინაშენით, თუ, მით უფრო, ერთადერთი ნავის სახით, და ისევ ძეგლთა იმ ჯგუფში აყენებს, რომელსაც ზემოთ შევვხეთ. ამ ძეგლებში, ისევე როგორც გარბანში, ცენტრალურ მოცულობას შუა, ძირითადი კორპუსი იძლევა. იგი ბატონობს თავისი აბსოლუტური ზომებით მინაშენების მიმართ და ძეგლის მასათა კომპოზიციურ აგებულებაში „დედაბოძს“ წარმოადგენს. მინაშენების გარეგანი მასები ნაგებობის მთლიან კომპოზიციაში შედის როგორც საკუთრივ ეკლესიისადმი დაქვემდებარებული მოცულობითი ერთეულები. რასაკვირველია, მინაშენები უბრალოდ შუა ეკლესიაში შემავალ ელემენტებს არ წარმოადგენს, რადგან ისინი განცალკევებულია და თითოეული მხოლოდ კარის საშუალებით უკავშირდება ცენტრალურ სივრცეს. სამხრეთის მინაშენის (სტოას) როლი სივრცის მხატვრული აღქმის მხრივ მხოლოდ წინასწარი განწყობილების შექმნით უნდა განსაზღვრულიყო. მას შემდეგ შეცვლიდა უკვე სულ სხვა, საკუთრივ ეკლესიიდან მიღებული მთავარი შთაბეჭდილება, რაც ზემოთ აღინიშნა აღწერით ნაწილში. აქ ინტერიერის გადაწყვეტა ემყარება გარკვეულ მხატვრულ, სივრცობრივ ზემოქმედებას — სიმაღლის, განისა და სიღრმის ურთიერთ შეფარდებას. ნავის სივანე ისე შეეფარდება სიმაღლეს კამარის წვერომდე, როგორც 1:1,8¹⁴¹.

ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ აღვნიშნავთ, რომ სივანის სიმაღლესთან შეფარდება VIII—IX ს. ხვილიშას ძეგლში გამოისახება როგორც 1:1,6, მაჩხანში (IX ს. შუალედი) — 1:1,5, უბისში (IX ს.) — 1:1,7, ერედვში (906 წ.) — 1:1,7, ბერის საყდარში (X ს. შუალედი) — 1:1,8 და ბოლოს 1002 წლით დათარიღებულ ხცისში ჩვენთვის საინტერესო ზომების შეფარდებაა 1:1,9.

ამრიგად, გარბანის მთავარი კორპუსის სივრცითი გადაწყვეტა მოკლებული არაა ამართულობას და სიმახვილეს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ბევრად ჩამოუვარდება ხცისის ღრმა არკატურებითა და სამსაფეხურიანი პილიასტრებით ხაზგასმულ დინამიურ წარზიდულობას. მეორე მხრივ, გარბანის პროპორციები უეჭველად ნაბიჯია წინ

¹⁴¹ კამარაჩამოქცეული ძეგლებისათვის აღდგენილ სიმაღლეს ვგულისხმობთ.

გადადგმული ევოლუციის თვალსაზრისით VIII—IX საუკუნის ძეგლებთან შედარებით და ამ მხრივ, როგორც ვნახეთ, გარბანში საუკუნის ნაგებობის გვერდითაც დგება. ეს შეეხება, ვიმეორებთ, ჩვენი ძეგლის ზოგად სივრცითი ჩამოყალიბების მხარეს, ხოლო ინტერიერის ხუროთმოძღვრული გაფორმება და ფასადების სახე კი, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ვერ ახდენს ამდაგვარ განვითარების შთაბეჭდილებას.

თუ აღრიხდელი VI—VII სს. დარბაზული ძეგლებისათვის დამახასიათებელია ინტერიერში სრულიად გლუვი კედლები, ყოველგვარი დამატებითი ხუროთმოძღვრული ელემენტების გარეშე, გარდა, რა თქმა უნდა, საკურთხევლისა, რომელიც ყოველთვის სატრიუმფო თაღის იმპოსტებით მაინცაა ხაზგასმული, სამაგიეროდ მომდევნო VIII—IX საუკუნეებში კედლები დანაწევრებულია პილასტრებით, ხოლო კამარა — საბრჯენი თაღებით, რომელნიც მხოლოდ ერთეულ ძეგლებს შეიძლება არ გააჩნდეს და ისიც ძლიერ მცირე ზომისა, როგორც ვთქვათ დავით-გარეჯის „აღდგომის“ ეკლესია¹⁴².

ამავე საუკუნეების ძეგლებში ვხვდებით კედლების გასაფორმებლად დეკორატიულ არკატურასა და საფეხურებიანი კედლის სვეტებს, რაც შემდგომში სულ უფრო ფართო გამოყენებას პოულობს. ხვილიშაში ორსაფეხურიანი პილასტრებია გამოყენებული, ამ საფეხურთაგან ერთი განკუთვნილია კამარის საბრჯენი თაღისათვის, ხოლო მეორე — კედლის თაღისათვის. ორსაფეხურიანი კედლის თაღები გვაქვს X ს. საფარის მიძინების ეკლესიაში. 906 წ. ერედვის სამეკლესიან ბაზილიკაში სამსაფეხურიანი კედლის სვეტებია, რომელთა ერთი საფეხური ღრმა არკატურის შესაქმნელად გამოყენებული. ასევეა „ბერის საყდარში“ და ქვემო ყარაბულახშიც (X ს. მეორე ნახ.)¹⁴³, ამგვარი გადაწყვეტა ეფექტურ დაღს ასვამს სივრცის დანაწევრებას. სულ სხვა სურათი გვაქვს ამ მხრივ გარბანში. თხელი, ერთსაფეხურიანი პილასტრები აქ ნეიტრალურ ელემენტებად გვევლინებიან. სივრცის დანაწევრებაში ისინი არსებითად არავითარ როლს არ თამაშობენ. ისინი მხოლოდ თვით კედლებს ანაწევრებენ. ასეთი მიდგომა კედლის გაფორმების საკითხში, განსაკუთრებით გარბანის გაბარიტების მქონე ეკლესიისათვის, არაა დამახასიათებელი X საუკუნეში, როდესაც მტკიცედაა ფეხმოკიდე-


¹⁴² ვახტანგ დოლიძე. დავით-გარეჯის ერთი ხუროთმოძღვრული ძეგლის დათარიღების საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XI, № 9, თბ., 1950, გვ. 609.

¹⁴³ დათარიღებულია ლ. რჩეული შვილის მიერ. იხ. მისი მოხსენება საქ. მეცნ. აკადემიის საზოგად. მეცნ. განყ. XVI სამეცნიერო სესიაზე 1944 წ.

ბული ინტერიერის გაფორმება კედლის თაღებით. ამ მხრივ მერყველი მაგალითია, როგორც უკვე აღინიშნა, 906 წ. ერედვის სია. თუ ამ უკანასკნელის ხუროთმოძღვარი X საუკუნის ში სივრცის გართულებულ შექმნას ცდილობს მძლავრი, ტექტონიკური, ღრმა და ჩაჩრდილული უბეების შექმნით ნავის გრძივ კედლებში, რითაც თავისი დროის ცხოველხატულ მიდგომას ამყლავნებს, გარბანის ხუროთმოძღვარი ამავე საკითხში ჯერ კიდევ სხვანაირი სტილისტიკური შეგრძნების მატარებელია — იგი მთლიანად არ ეთიშება კლასიკას. ამიტომაც გარბანის ინტერიერი მარტივი, ცხადი, თანაბრად განათებული. დიდი ყურადღება ეთმობა გარბანში განათების საკითხს. სარკმლები გაჭრილია ყველა კედელში. სარკმლის მოთავსებას ჩრდილოეთის კედელში იშვიათად თუ შევხვდებით ქართულ დარბაზულ ეკლესიებში. (ყიზილ-დერესი VIII—IX სს., ფშაველი X ს. — ბაშკიჩეთის რ-ნი და სხვ.). ამიტომ გარბანი ამ მხრივაც საყურადღებოა. უნდა ითქვას, რომ აღრინდელი ხანის დარბაზულ ნაგებობებში ჩრდილო სარკმლის მაგალითი არ გვეგულება. საგულისხმოა სარკმელთა განლაგებაც. მათი შეგნებული გადაადგილება კედლის მონაკვეთის სიმეტრიის ღერძიდან და პილასტრთან მიახლოება, კლასიკური სიმეტრიულობისა და განლაგების სიმკაცრის დარღვევის ნიშანია. იგი, ცხადია, არ წარმოდგენს მშენებლის პირადი დაუდევრობის შედეგს მის ნაწარმოებში. ჩვენ ვხედავთ აქ, აღრინდელ ძეგლებისაგან განსხვავებით, ეპოქის ახალ მხატვრულ ძიებათა ანარეკლს. ამასვე მკვეთრად ამყლავნებს ძეგლის გარეგანი სახე და მორთულობა. სამხრეთის ფასადის ასიმეტრიულად განლაგებული არათანატოლი სიგანის სარკმლები და გლუვი კედლები ფასადებისა, მოკლებული ქანდაკებასა და ჩუქურთმას, თავისებური მიდგომის მკაფიო მაჩვენებელია.

ძეგლის გარეგანი სახე. ტაძრის აღდგენილ სახეს თუ დავაკვირდებით, არ შეიძლება არ შევნიშნოთ სრულიად გარკვეული კომპოზიციური იდეა: ნაგებობის გარეგანი სახის უმთავრეს განმსაზღვრელად წარმოდგენილია სამხრეთის ფასადი, რომელსაც მისასვლელი გზებიც ადგებოდნენ. ამასთანავე, საესებით ნათელია, რომ ხუროთმოძღვრის მიერ ნაწარმოების ფრონტალური აღქმა ითვალისწინებოდა — მხოლოდ ასე შეიძლებოდა ამ ნაგებობის მხატვრული არსის სწორი წაკითხვა.

ხუროთმოძღვრული ორგანიზმი, როგორც აღნიშნული გვქონდა ზემოთ, საესებით ცხადი და ლაკონიურია: მკაცრად განაწილებულია ზოგადი მასები და ძუნწი დეკორატიული აქცენტები. გარკვეული ექსპრესიულობის შენახუნებით. არც ერთი ელემენტი ფა-



საღზე არ კარგავს მხატვრულ დამოუკიდებლობას, უფრო სწორად, დეკორის განაწილებაში ჯერ არაა გათვალისწინებული კომპოზიციური კავშირი, რაც X და XI სს. ძეგლთა ფასადების გაფორმებაში აუცილებელ პირობად ხდება.

მთავარი კორპუსის გარეგანი მასების დამახასიათებელ პრობორციებს გვერდითი ფასადები იძლევა. კარგად გათლილი ქვების სწორი რიგებით შედგენილი მონუმენტური კედლის სიგანის შეფარდება სიმაღლესთან — კარნიზის დონემდე, გამოისახება როგორც 1:1. ამას, რასაკვირველია, ფრონტონის სიმაღლე უნდა დავუმატოთ, რომლის წვერო ატანილია ფასადის სიგანის ერთი მეოთხედით. უნდა აღინიშნოს, რომ იგივე პრობორციები დამახასიათებელია IX, X საუკუნეების ძეგლებისათვის, როგორიცაა — ხვილიშა, უბისი, ერედვი, ბერის საყდარი, ზემო კრიხი.

მომდევნო XI საუკუნის ძეგლებში გარეგანი ასახულობის მეტი აზიდულობაა შესამჩნევი, უმთავრესად, ფრონტონის გამახვილების წყალობით (წვერომდე ახლა ფასადის სიგანის თითქმის ნახევარია); რაც შედეგად მოჰყვა შინაგანი სივრცის ამართვის გაზრდას (ხცისი, ეხვევი, სავანე და სხვ.).

გარბანის გარეგან ფორმათა განხილვა გვარწმუნებს იმაში, რომ ფასადის დეკორატიული მორთვის მხარე გაცილებით ნაკლებად იზიდავდა ხუროთმოძღვარს, ვიდრე საერთო ხუროთმოძღვრული ფორმებისა და სივრცობრივ, ფუნქციონალური ორგანიზაციის საკითხი. აღებული მიდგომა კი არ წყვეტს ფასადის დეკორატიული გაფორმების პრობლემას, არამედ მორთულობის ცალკეული ელემენტებით (კარნიზი, სამმალიანი არკატურა, სარკმლის სათაურები, სატრიუმფო თაღის იმპოსტები) ხაზს უსვამს ნაგებობის ინტერიერისა და ფასადების მხოლოდ გარკვეულ ადგილებს უსისტემოდ, ხოლო კედლის დანარჩენი ზედაპირი კი ხელუხლებლად რჩება.

რა თქმა უნდა, ცალკეული მცირე ელემენტები, როგორიცაა დასავლეთის ფასადის სარკმლის ზემოთ მოთავსებული წითელი სწორკუთხა ქვა და მასზე შედგმული მწვანე ქვის ჯვარი, ისეთივე უმნიშვნელო წერტილებია მთელ მონუმენტურ კედელზე, როგორც სამხრეთის ფასადის აღმოსავლეთი სარკმლის მორთულობა. აქ ლილვებით შემკობილი ზედანის ზემოთ ტოლმკლავებიანი ჯვრის გამოსახულებაა, მოცემული პატარა, კარგი ჯიშის თეთრ ქვაზე. გრეხილი ლილვის მოჩარჩოებაში ჩასმული ფართობოლოებიანი ჯვრის გამოსახულება სრულიად გლუვია და კედლის სიბრტყეს უსწორდება. მას არავითარი დამუშავების კვალი არ ემჩნევა. ოსტატს ამო-



ცანად არ დაუსახავს გლუვი სიბრტყის ამეტყველება პლასტიკური საშუალებებით.

გარდა ამ აღნიშნული ცალკეული მცირე ქვებისა და სარკმელთა სათაურებისა, კედლის სიბრტყე მოკლებულია მნიშვნელოვან დეკორატიულ ელემენტებს და სისადავით ხასიათდება.

ამრიგად, ჩვენი ძეგლი მოკლებულია „შენობის მთელი ტანის მომცველს დეკორატიულ ბადეს, რომელსაც X და XI საუკუნეების ძეგლებზე ვხვდებით“¹⁴⁴ და ამდენად გარბანი მოსამზადებელი ეტაპის ერთ-ერთი ძეგლთაგანი უნდა იყოს თავისი სადა, გლუვი ფასადების მიხედვით.

ამგვარ გლუვ, მონუმენტურ სამხრეთის კედლის საპირისპიროდ, გარბანის საფეხურად გამოშვერილი სტოა ორ დაბალ სვეტზე დაბრჭენილი სამი ნალი სებრი თაღითაა გახსნილი. სწორედ თაღის ეს განსაკუთრებული სიძლიერით ხაზგასმული დეკორატიული ფორმა მხატვრულ ძალასა და გამომეტყველებას ანიჭებს მთლიანად ფასადს, რომელიც თავისი არანაკლებად მეთყველი კარნიშებით თავის დროის მკაფიო ნაწარმოებს წარმოადგენს. თავისთავად ნალისებრი თაღის არსებობა გარკვეულად დამათარიღებელი ელემენტიცაა, რამდენადაც მოყოლებული IV საუკუნიდან იგი ნახევარწრიულ თაღთან პარალელურად გვხვდება და ასე გამოიყენება IX—X საუკუნეებამდე¹⁴⁵.

მრავალ ქართულ ძეგლში, მოყოლებული უკვე V საუკუნიდან, ჩვენ ვხვდებით არკატურით გახსნილ შესასვლელებს. ეს სისტემა X—XI საუკუნეებამდე იხმარება და ამ თემის საგულისხმო მაგალითებსაც იძლევა.

დარბაზულ ნაგებობებიდან ორმალიანი არკატურის გამოყენებით ცნობილია: ოლთისი¹⁴⁶, თეთრი-წყარო¹⁴⁷, აზავრეთი, დამალა (ტაბ. 38, 39), საღამო, ხეთი, ვაშლობი¹⁴⁸, ყიზილ-დერისი¹⁴⁹. ამგვარადვე, როგორც ვიცით, გარბანის მსგავს ძეგლთა სამხრეთის შესასვლელების გადაწყვეტაც: ტამალა, სარო და სხვ.

¹⁴⁴ გიორგი ჩუბინაშვილი. ქართული ხუროთმოძღვრება საშუალო საუკუნეებში და მისი სამი მთავარი კათედრალი. არილი. პროფ. ივანე ჯავახიშვილისადმი მისი სამეცნიერო მოღვაწეობის 25 წლის თავზე (1900—1925) მიძღვნილი კრებული, თბ., 1952, გვ. 109.

¹⁴⁵ Г. Н. Чубинашвили. Болнисский Спос, გვ. 135.

¹⁴⁶ Ник. Чубинашвили и Ренэ Шмерлинг. Храмы в древних селениях Олтиси и Тетри-Шкаро, ქართული ხელოვნება, 2, თბ., 1948, გვ. 49, სურ. 4.

¹⁴⁷ იქვე, ტაბ. 35.

¹⁴⁸ МАК XII, М., 1909, გვ. 61, სურ. 33, ტაბ. XI.

¹⁴⁹ იქვე, გვ. 13-14, სურ. 4.

სამეკლესიან ბაზილიკებიდანაც ხომ არა ერთშია გარშემოსავ-
ლელი გახსნილი ორმალიანი არკატურით: ნეკრესი, ერედვი, ჭყონწყალის
საყდარი. შედარებით უფრო მცირეა მოღწეული სამეკლესიანო,
მრგვალსვეტებიანი არკატურით გახსნილი სტოასა თუ გარშემოსავ-
ლელების მქონე ძეგლები: ზეგანი (ტაბ. 40), ბურნაშეთი (ტაბ. 37),
ნადარბაზევი, ქასაგინა¹⁵⁰, ოპიზა (სატრაპეზო)¹⁵¹, ბოლოს, კუდა-
როს (კვაისა-ჯვარის) რელიეფიც. ხსენების ღირსია, რომელზედაც
ასეთივე ნაგებობაა გამოსახული, რაც შესაძლებელია ანარეკლი
იყოს იმ რაიონში არსებული ხუროთმოძღვრული ძეგლისა¹⁵². ახლა
აქ ჩამოთვლილ ძეგლებთან გარბანიც კიდევ ერთ მკაფიო მავალითს
გვაძლევს.

გარბანისაგან განსხვავებით ბურნაშეთის თაღები ნახევარწრი-
ულია და ორსაფეხურიანი (ტაბ. 37), დაბალი; მძიმე სვეტები რთულ
ბაზებზეა შედგმული. კაპიტელები ვოლუტებითაა დამუშავებული.
რამდენადაც ბურნაშეთი განსხვავებულია გარბანისაგან, იმდენადვე
ახლოს დგას უკანასკნელი ზეგანთან აღებულ საკითხში (ტაბ. 37).
მსგავსება ორივე ძეგლის არკატურაში მარტო ნალისებრ თაღებში
არაა. ერთნაირია მარტივი პროფილის მქონე კაპიტელებიც და სვე-
ტის გამოყენებაც უბაზოდ. არკატურის ზოგადი პროპორციებითაც
გარბანი ზეგანთან უფრო ახლოს დგას ვიდრე ბურნაშეთთან. მაგ-
რამ აღრინდელ ძეგლებთან სიახლოვე, როგორც ზემოთ გვქონდა
გაკვრით აღნიშნული, გარბანში არაა. დაცული თანმიმდევრობით.
ძეგლს წინააღმდეგობანი ახსიათებს. ამაზე მეტყველებს მისი კარ-
ნიზიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგად ფორმებში თაროსებრი, კედლის
სიბრტყიდან გამოწეული და ნაგებობის კუთხეებზე ჰორიზონტული
გადანაკეცის მქონე კარნიზი, როგორც გარბანში გვაქვს, ცნობილია
ქართულ ხუროთმოძღვრებაში უკვე VI—VII საუკუნეებიდან.
IX—X საუკუნეებში ამგვარ კარნიზს ძალიან ფართო გამოყენება
აქვს. (არმაზი, უბისი, მაჩხანი, ერედვი, საღამო, ვალე, საფარის მი-
ძინების ეკლესია და სხვ.). შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ
კარნიზი ჰორიზონტული გადანაკეცებით XI საუკუნის პირველ

¹⁵⁰ ორივე ძეგლის მხოლოდ ფრაგმენტებშიაა შერჩენილი ადგილზე. მოღ-
წეულია ორი სვეტიც თავის ბაზებითა და კაპიტელებით. ცნობა მოგვაწოდა
უფრ. მეცნ. თანამშრომელმა ვახტ. ცინცაძემ.

¹⁵¹ Н. Северов. Памятники грузинского водчества. таб. 98, М.,
1947.

¹⁵² კუდარო. კვაისა-ჯვარი. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუ-
ტის ფოტოტექსტი, ინვ. № 2430.



ათეულ წლებში უკვე მხოლოდ უკანასკნელი, გამონაკლისი მოტივების სახითა გვხვდება. — მას საბოლოოდ ცვლის უგადანაკლები და რთული პროფილის მქონე კარნიზი.

კარნიზის დამუშავება თაღებით, როგორც გარბანშია. ფრიალ გავრცელებული მოტივთაგანია ქართულ ხუროთმოძღვრებაში¹⁵³. ზედმეტი არ იქნება თუ გვიხსენებთ, რომ თაღების მწკრივის გამოყენება როგორც დამაგვირგვინებელი დეკორატიული მოტივისა, იშვიათი როდია სომხეთისა და სირიის ხუროთმოძღვრებაშიც. ამგვარი მოტივი, მაგალითად, ანტიკურ ხელოვნებისათვის რამდენადაც ვიცით, უცხოა. იგი დასავლეთში თავს იჩენს მხოლოდ რომანულ ხუროთმოძღვრებაში და ამ დროისათვის ტიპიურ დეკორატიულ მოტივს წარმოადგენს.

გაცილებით უფრო ადრე ვხვდებით მას აღმოსავლური კულტურის წრის ხელოვნების ძეგლებზე. სირიის Kalb-Lauzeh-ს (480 წ.) აბსიდის სატრიუმფო თაღის მორთულობაში, ანტიკური ფორმების გადააზრებასთან ერთად, ჩვენ ვხედავთ საკუთრივ აღმოსავლურ ნიადაგზე გამომუშავებული მორთულობის — ჩამწკრივებული თაღების გამოყენებას¹⁵⁴. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს, რომ ამის ერთგვარ რეპლიკას საქართველოში ნიქოზის ეკლესიის ინტერიერში აქვს ადგილი¹⁵⁵.

თაღებით დამუშავებული ქართულ კარნიზთა ვარიაციები წარმოდგენილი გვაქვს ტაბულაზე (ტაბ. 42), რომელიც ჩვენ შევადგინეთ ყველაზე უფრო დამახასიათებელი, დათარიღებული ძეგლების გათვალისწინებით. რამდენადაც გარბანის კარნიზს ვერ ვუპოვეთ პირდაპირი პარალელები, ამიტომ მისი ქრონოლოგიური ადგილის გასარკვევად ჩვენ იძულებული ვართ მოვიმარჯვოთ შესაძლო მეტი რაოდენობა დათარიღებული ძეგლებისა, რომელთაც თაღებით დამუშავებული კარნიზი აქვთ. შედარების საფუძველზე და განვითარების გათვალისწინებით, ჩვენ უნდა გამოვავლინოთ გარბანის კარნიზის შესაძლო ადგილი ძეგლთა ამა თუ იმ ჯგუფში. ჩვენს ტაბულაზე (ტაბ. 42) პირველ სვეტს ადრინდელი VI—VII ს. ძეგლთა

¹⁵³ გარბანში გამოყენებული თაღის ფორმის მოტივი თვით ხევში საკმაოდ გავრცელებული უნდა ყოფილიყო, რასაც არშის ციხესა და ახალციხის ბაზილიკის ეზოში ნაპოვნი სტელების ფრაგმენტები მოწმობს (ტაბ. 13₂, 14₂). იგივე მოტივი, მხოლოდ უფრო ჩამოყალიბებული და ორნამენტით გამდიდრებული გარბანის ეზოში დაყრილი სტელების ფრაგმენტებზეც არის (ტაბ. 13₁, 14₁).

¹⁵⁴ H. C. Butler. Early churches in Syria, Princeton, 1929, გვ. 71, სურ. 73; გვ. 223, სურ. 231.

¹⁵⁵ ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ფოტოტექსტა. ინგ. № 3916, ფოტო გ. ბარტიშევსკისა.

კარნიზების სქემები შეადგენს. მეორეს — VIII—IX—X საუკუნეებისა. ხოლო მესამე სვეტში მოცემულია კარნიზის XI საუკუნის ნიმუშებიც.

როგორც თავისი აბსოლუტური ზომებით, ასევე მოხაზულობით და კონსტრუქციითაც (ფილა, გამოშვებული კედლიდან), გარბანის კარნიზის ბუნებრივი ადგილი შუა სვეტშია, ბიეთსა და ვალეს შორის. შევეცდებით ამის დაზუსტებას.

გარბანის კარნიზის შედარება ადრინდელ ძეგლებთან გვიჩვენებს გარკვეული მხატვრული მოტივის საფუძვლის თანდათან ცვლილებას და მის შემდგომ განვითარებას. აშკარად ჩანს მისწრაფება ადრინდელ ნიმუშებისაგან განსხვავებულის შექმნისაკენ. თუ ადრინდელ ძეგლებში კარნიზის სურათის უმთავრეს ელემენტს გეომეტრიული სიზუსტით დასრულებული თალი და მისი ხაზგამსმელი ელემენტები წარმოადგენს, შემდგომში (VIII—IX ს.) როგორც ჩანს ამ მოტივში ყურადღება მიაქციეს თალებშორის არესაც და ისიც ხდება ზრუნვის საგნად, რასაც ყიზილ-დერისის კარნიზიც მოწმობს თავისი გამოყოფილი ბურთულებით. იგივე ტენდენცია გამოკრთის IX საუკუნის ბიეთის ფრიზშიც, სადაც თალებს შორის კბილა გამოყოფილი. დასახული მოტივის დასრულებულ სურათს გარბანში ვხედავთ, სადაც განმეორებულია ბიეთის ფორმა, მხოლოდ კბილი უფრო დაგრძელებული და ხაზგასმულია. ამის შედეგად, ცხადია, კარნიზის აბსოლუტური ზომაც მატულობს. ამ ახალი ელემენტის რამდენადმე განსხვავებულ გადაწყვეტას X საუკუნის საფარის მიძინების ეკლესია გვაძლევს. აქ კარნიზის თალებშორისი კბილი მერცხლის კუდისებრად დაბოლოებული, ან კიდევ ამავე ძეგლში კბილს ქიმის ფორმა აქვს მიცემული. ამ უკანასკნელის პირდაპირ განმეორებას ვაღწევს. საგულისხმოა, რომ გარბანისაგან განსხვავებული ფორმის გარდა, რაც მთავარია, საფარა-ვალეს კარნიზის ქიმები ამობურცული ზოლებითაა დამუშავებული¹⁵⁶, რაც წინა საფეხურად გვევლინება მომდევნო XI საუკუნის მსგავსი მოტივის ღარებით გაფორმებულ კარნიზთა პლასტიკურ ამეტყველებისათვის (ხცისი, იშხანი, სავანე და სხვ.), სწორედ ამიტომ მართებული არ იქნებოდა გარბანის კარნიზი, რომ წარმოგვედგინა ჩვენს ტაბულაზე ვალეს შემდეგ. ევოლუციური განვითარების თვალსაზ-

¹⁵⁶ რ. მეფეისაშვილი. ვალეს ტაძარი და მისი აღმშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი, ქართული ხელოვნება, 3, თბ., 1950, გვ. 45—46, სურ. 24, ტაბ. 15.

რისით ვალეზე აღრინდელი გარბანის კარნიზი ჩანს, რომელსაც თვით ზედაპირი გლუვი, სიბრტყობრივი, „დაურღვეველი“ რჩება¹⁵⁷. მართალია მას მორთულობა აქვს, მაგრამ ისიც იმავე სიბრტყობრივი მიდგომითაა გადაწყვეტილი. თუ ვალეს კარნიზთან პერსპექტიულად დაკავშირებული ჩანს აღებული მოტივის შემდგომი განვითარება XI საუკუნეში, გარბანი ვალესა და ბიეთს შორის წარმოგვიდგება, როგორც უკანასკნელის გაგრძელებული, დასრულებული სახე, იქნებ საუკუნის მიწურულში, რასაც მხარს უმაგრებს ის გარემოებაც, რომ გარბანის კარნიზის ანალოგიები X საუკუნეში არ გვხვდება, იგი ბიეთთან დაკავშირებული რჩება. მეორე მხრივ ხაზი უნდა გაესვას, რომ გარბანის კარნიზის განსხვავება აღრინდელ ძეგლებისაგან მარტო ზომებსა და ზოგადფორმაში არაა. მისი თაღების სურათში არ იგრძნობა შესრულების კლასიკური სიმკაცრე და სიზუსტე, როგორც ეს მცხეთის ჯვარის, თეთრი-წყაროს ანდა სამწევრისის კარნიზებშია. უფრო ხელით დახატულსა და არა ფარგლით აგებულ ნახატში ოსტატს გარკვეული სიცოცხლის ნაკადი და შესრულების ერთგვარი თავისუფლება შეაქვს, — თვისება, რომელიც თაღებითვე დამუშავებულ IX საუკუნის მაჩხანის კარნიზსაც ახასიათებს¹⁵⁸. გარდა ამისა, მორთულობაც არაა ერთნაირი, როგორც ეს აღრინდელ ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი. მორთულობის მრავალსახეობაზე ზრუნვამ გარდა გეომეტრიულისა, მცენარეული მოტივები და ადამიანის გამოსახულებაც კი შემოიტანა გარბანის კარნიზში. ერთი სიტყვით, კარნიზის ქვები გვიჩვენებს, რომ ოსტატი მიისწრაფვის კაზიმულობათა გამდიდრებისაკენ. ეს კი კარნიზთა კლასიკური მაგალითებისაგან განმასხვავებელი, აგრეთვე ერთ-ერთი ნიშანთაგანია. ამასთანავე ხაზი უნდა გაესვას გარბანის კარნიზის მორთულობის შესრულებას, მის სტილისტიკურ თვისებებს. ამ საკითხში სრული ერთსულოვნებაა კარნიზის ყველა ფრაგმენტში, რომელთა მორთულობაც თავის შესრულებით გრაფიკული, სიბრტყობრივი ხასიათისაა. არც ერთი ფრაგმენტი არ იძლევა პლასტიკური გადმოცემის მაგალითს, დეკორი არ ითვალისწინებს შუქ-ჩრდილის როლს, მის ცვალებადობას და მოთამაშე გადასვლებს. ოსტატისათვის არსებობს მხოლოდ ორი სიბრტყე: ფონისა და მასზე დაკრულ გლუვ გამოსახულებისა, რომელიც არ სცილდება ქვის ზედაპირს.

¹⁵⁷ გარბანისა და ვალეს კარნიზთა შორის გარდამავალ მოტივად სოფ. სკრის (ქართლი) სტელის მორთულობა წარმოგვიდგება (ტაბ. 14₃).

¹⁵⁸ გ. ჩუბინაშვილი. VIII—IX საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის შიამბე, ტ. XIII, № 7, თბ., 1952, გვ. 441, სურ. 5.

ეს თანაბრად შეეხება როგორც მედალიონებით (და საერთოდ ვე-
მეტრიული ელემენტებით), ასევე მცენარეული მოტივითა და ად-
მიანის გამოსახულებით შემკობილ ქვებსაც კი. ამასთანავე, ამ
გამოსახულება კომპოზიციურად განწევრებულია, ურთიერთ სრუ-
ლიად დამოუკიდებელია, ცალკე, თავისთავადაა წარმოდგენილი,
სხვასთან ყოველგვარი დაკავშირების გარეშე.

რამდენადაც კარნიზის ზოგადი სქემა და მისი შესრულებაც არ
გვაძლევს ქართული არქიტექტურის განვითარების უკვე ძველ პე-
რიოდში შემუშავებულ, ჩამოყალიბებულ გადაწყვეტას, და პირი-
ქით, ახალი იმპულსით ხელმძღვანელობს, როგორცაა: თაღებს შო-
რის კბილის გამოყოფა, გეომეტრიულ და მცენარეულ მოტივთან
ერთად აქვე ადამიანის გამოსახულების ჩართვა, მორთულობის
ელემენტთა რამდენიმე ვარიანტის ერთად გამოყენება, გრაფიკულ-
სიმბრტყობრივი შესრულების ხერხი, ამიტომ ბუნებრივია მისი შეს-
რულების დროდ თუ მივიჩნევთ არა ჩამოყალიბებული სტილის
ფარგლებს, არამედ გარდამავალი VIII—IX საუკუნეების ხანას, უფ-
რო კი ამ ხანის დასასრულსა და X ს. დასაწყისს¹⁵⁹.

ამავე დროზე მიგვიითებებს პლასტიკის ის შესაძლებლობანიც,
რომელიც მოცემულია ადამიანის გამოსახულებაში კარნიზის ფრაგ-
მენტზე (ტაბ. 30).

ქართულ პლასტიკას განვითარების სრულიად გარკვეული სა-
ფეხურები ახასიათებს, რომელიც გაშუქებულია საბჭოთა პერიოდის
სპეციალურ გამოკვლევებში¹⁶⁰.

¹⁵⁹ ნ. მ. ტოკარსკის ცდას—მიაკუთვნოს გარბანის კარნიზი VI—VII ს.
არაქართულ ძეგლთა ჯგუფს, არავითარი საფუძველი არ გააჩნია.

Н. М. Токарский, Архитектура древней Армении, გვ. 120. სურ. 22.

¹⁶⁰ გ. ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1, თავი
5, თბ., 1936.

გ. ჩუბინაშვილი. 973 წლის ჯვარი იშხანიდან, საქართველოს მუ-
ზეუმის მონაბე, ტ. VI, თბ., 1931.

გ. ჩუბინაშვილი. ბედიის ოქროს ბარძიმი, საქართველოს სახელმწი-
ფო მუზეუმის მონაბე, X—B, თბ., 1940.

გ. ჩუბინაშვილი. X და XI საუკუნეთა მიჯნაზე წარმოშობილი ქარ-
თული ჭედური ხელოვნების ხასიათის საკითხისათვის, ქართული ხელოვნება, 2,
თბ., 1948.

Г. Н. Чубинашвили. Золотых дел мастер Асата работа для та-
осского владельца, царя царей Давида Куропалата, Вестник Государствен-
ного Музея Грузии им. акад. С. Джанашиа XV—B, Тб., 1948.

Г. Н. Чубинашвили. Один из памятников первостепенного зна-
чения грузинской чеканки в Сванети, ქართული ხელოვნება, 3, თბ., 1950.

Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство, Тб., 1957.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სტილის მხრივ, ბოლ-
ნისის სიონის, ჯვარისა და მარტვილის რელიეფებისაგან განსხვავე-
ბით, რამდენადმე უფრო გვიანდელი ხანის ძეგლებზე თავსდება
არა ქანდაკებრივი, არამედ გრაფიკული მიდგომა. ამ უკანასკნელისა-
თვის დამახასიათებელი ისაა, რომ ადამიანის სხეულის, ცხოველისა
თუ საგნის გამოსახულების მხატვრულ ღირებულებას შესრულების
სიბრტყობრიობა და ხაზოვნება განსაზღვრავს.

ამ მანერით შესრულებულ ძეგლებიდან მოყოლებული, განვი-
თარება პლასტიკურად შეგრძნობილ გამოსახულებათა გადმოცემის
ამოცანისაკენ მიდის ხანგრძლივი გზით.

ადრინდელ ეტაპზე ჩვენ ვაქვს ძეგლები, რომელთა შესრუ-
ლება დაკავშირებულია გამოსახვის ისეთ საშუალებებთან, სადაც
ნაწარმოების სახეს სიბრტყობრიობა, ხაზოვნება და საგნის სტატი-
ურობა ქმნის.

უსანეთის სტელაზე (VII—VIII ს.) გამოსახულებები მოცემუ-
ლია ბოძის სრულიად გლუვ სიბრტყეზე ჩაფხაჭნილი ნახატის სა-
ხით¹⁶¹. პრინციპულად ახალს არაფერს იძლევა წებელდის რელიე-
ფი¹⁶², სადაც ფონი საკმაოდ ძლიერაა ჩაღრმავებული, მაგრამ სივ-
რცობრივი პრობლემის საკითხი დასმულიც არ არის. საგნების ვა-
მოსახვის მანერის მხრივ, წებელდის ოსტატი, არსებითად, უსანე-
თისა და გველდესის¹⁶³ სიბრტყობრივ სტილს ემხრობა.

ზარზმის „ფერისცვალების“ ჭედური ხატის (886 წ.) გამოსახ-
ვის მთავარი საშუალებებია ხაზი, სიბრტყე და დეტალების ექსპრე-
სიული ხაზგასმულობა¹⁶⁴. ოსტატი აქაც ჯერ შორსაა პლასტიკური
ამოცანების დასმისაგან. ხაზების ორნამენტული მოძრაობა ხელს
უწყობს გამოსახვის საერთო ექსპრესიულ გადმოცემას. ამრიგად,
IX საუკუნის ბოლოსთვისაც პლასტიკური შეგრძნება ჯერ არ არის
გაღვიძებული.

მხოლოდ X საუკუნის უკანასკნელ მესამედში პირველად ჩაი-
სახა საშუალო საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში ინტერესი ახა-
ლი პრობლემისადმი — ცალკეული სხეულის, საგნის, პლასტიკური
გაგებისა და გამოსახვის პრობლემისადმი¹⁶⁵.


¹⁶¹ გ. ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 213,
სურ. 166, 167.

¹⁶² იქვე, გვ. 209, სურ. 163, 164.

¹⁶³ იქვე, გვ. 211, სურ. 165.

¹⁶⁴ Н. Кондаков и Д. Бакрадзе. Опись памятников древно-
сти в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб., 1890, стр. 130, рис. 67.

¹⁶⁵ Г. Н. Чубинашвили. Золотых дел мастера Асата работа для
Таосского владетеля Давида... стр. 127.



როგორიღაა ჩვენთვის საინტერესო გარბანის კარნიზის ფრაგმენტზე გამოსახული ადამიანის ფიგურა და შესრულების მიხედვით დროის რომელ მონაკვეთს შეიძლება მიეკუთვნოს იგი?

გარბანის კარნიზის ფრაგმენტზე გამოსახული ფიგურა მოცემულია თაღებს შორის კბილის მთელ არეზე, მჭიდროდ მოთავსებული კბილის კიდებებზე გაყოლებულ მარტივ მოჩარჩოებაში (ტაბ. 30₁). რელიეფი წარმოადგენს მთლიან სიბრტყობრივ, სტატიკურ სილუეტს en face, რომლის კიდებები მართობულადაა ამოკვეთილი ფონის მიმართ. ფიგურა წელში შევიწროებულია; შარავანდედით შემკობილი თავი ვიწრო კისრით უკავშირდება ტანს. სილუეტი მეტ-ნაკლებად ამოდის ფონიდან და მკაცრად პარალელურია მის მიმართ მთელი ზედაპირით. არავითარი დანაწევრება არაა ფიგურისა, გარდა ტანისაგან გამოყოფილი თავისა, რომელიც აგრეთვე გაბრტყელებულია და არ სცილდება გამოსახულების საერთო დონეს. სახის ნაწილების აღმნიშვნელი ჩაჭდებული წერტილები, რა თქმა უნდა, არაფრით არღვევს სრულიად გლუვ ზედაპირს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ოსტატი არ მიმართავს ხაზების მნიშვნელობისა და ცალკე ნაწილების ექსპრესიულ გადმოცემას, რითაც მაგალითად დამახასიათებელია დათარიღებული ძეგლებიდან 826 წ. ოპიზის რელიეფი¹⁶⁶. გარბანის კარნიზის ყველა ფრაგმენტში საერთოდ, გამოსახულება მოცემულია ერთიანი სიბრტყით, მაგრამ არავითარი ნიშანი არ ჩანს ადამიანის ფიგურისა და საგანთა მოცულობითი გადმოცემისათვის.

ამ მხრივ დასაწყისი ეტაპების მაჩვენებელია, მაგალითად, რელიეფური ფილა სოხუმის მიდამოებიდან, რომელიც X საუკუნის შუალედს მიეკუთვნება¹⁶⁷.

თუ ამ ნაწარმოებში ადამიანის ფიგურა თავისი მომრგვალებულობითა და ფონისაკენ თანდათანობითი გადასვლით პლასტიკური შეგრძნების გამოღვიძებაზე მეტყველებს, გარბანის გამოსახულებათა მიმართ შეუძლებელია ლაპარაკი ფონისა და გამოსახულების რაიმე დაპირისპირების შესახებ. განვითარების ეს ნიშანი ჯერ კიდევ უცხოა გარბანის ოსტატისათვის. მისი გამოსახულებები მტკიცედ მიკრულია მთელი თავისი სილუეტით ფონზე. ამ მხრივ ისინი VIII—IX ს. თელოვანის რელიეფში მოცემულ მიდგომას მოგვაგო-

¹⁶⁶ ნ. ალადაშვილი. რელიეფი ოპიზიდან აშოტ კურაპალატის გამოსახულებით, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XV, № 7, თბ., 1954.
¹⁶⁷ გ. ალიბეგაშვილი. რელიეფური ფილა სოხუმის მიდამოებიდან, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XII, № 8, თბ., 1951.

ნებს¹⁶⁸, მაგრამ გარბანის გამოსახულებები უფრო რელიეფური და მკვეთრად გამოყოფილი ფიგურები და საგნებია, რაც საფუძვლად გვაძლევს მათ დაყენებისათვის თელოვანისა და სოხუმის მღვდლებს შორის. ეს შუალედი მდგომარეობა გარბანის რელიეფებს დროის მიხედვით IX ს. დასასრულისა და X საუკუნის დასაწყისის ფარგლებში შექმნილს წარმოგვიდგენს.

საგანგებოდ ხაზგასასმელია მორთულობის გამოყენება გარბანის ტაძრის შიგნითაც. ეს საკითხი ყველა დროისათვის ერთნაირად არ იყო გადაწყვეტილი. თუ მაგალითად, მხატვრობისა და ჩუქურთმის თანაარსებობა სახეზეა ისეთ ძეგლებში, როგორცაა არმაზი (864 წ.), ან კუმურდო (964 წ.), უფრო გვიან მხატვრობის ფართო გავრცელება როგორც ჩანს, მშენებელთა ყურადღებას ასუსტებს ჩუქურთმის გამოყენების მიმართ ინტერიერში და ჩუქურთმა თანდათან გამოდის ხმარებიდან. 906 წლის ერედვის ეკლესიაში ჩუქურთმა უარყოფილია საკუთრივ ნავში, მაგრამ გარშემოსავლელელებში საკმაოდაა გამოყენებული. ხცისის ინტერიერში მორთულობა მხოლოდ ფესტონების სახითაა მკრთალად მოცემული არათვალსაზირო ადგილში, ხოლო უფრო გვიანდელ ძეგლებში აღარც ასეთი რამ არის. რაც შეეხება გარბანს, აქ როგორც ვიცით, აბსიდის იმპოსტებისა და გამეორებული დეკორატიული თაღის კონსოლების ორნამენტი დასავლეთის სარკმლის სათაურთან ერთად, ინტერიერის მორთულობის რეპერტუარს შეადგენს (ტაბ. 6, 7). შენობის შიგნით გამოყენებული სათაური სარკმელზე იშვიათი შემთხვევაა ქართულ ხუროთმოძღვრებაში. თვით მოტივის ახლო პარალელს (ლილვი რელიეფური ლენტით) ექვეის დასავლეთის სარკმელზე ვხედავთ¹⁶⁹. პროფ. ე. თაყაიშვილის აზრით, ექვეი აგებული უნდა იყოს IX საუკუნის დასასრულს ან X ს. დამდეგს¹⁷⁰. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინტერიერში გამოყენებული ორნამენტი, რომელიც გარბანში ერთადერთია. ცნობილია, რომ ორნამენტი ქართულ ხუროთმოძღვრებაში, როგორც ნახატის შერჩევით, ასევე შესრულების ხერხითაც, ყოველთვის დამახასიათებელია თავის დროისათვის და ძეგლის დათარიღების საკითხში საუკეთესო ქრონოლოგიურ მაჩვენებლად გვევლინება.

¹⁶⁸ ვ. ცინცაძე. თელოვანის ნაგებობა „ჯვარ-პატიოსანი“ VIII—IX საუკუნეთა ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის V სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1950, გვ. 4—5.

¹⁶⁹ Е. Такайшвили. Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии, Тб., 1952, ტაბ. 112.

¹⁷⁰ იქვე, გვ. 78.



აბსიდის ორივე მხარეს ორჯერ გამეორებული მოჩუქურთმებული თარო (კონსოლისა და იმპოსტისა) ნათლად ამჟღავნებს ხუროთმოძღვრის ზრუნვას ნაგებობის იდეური ცენტრის ლოგიკური განსამისათვის. ამასთანავე იგი გვიჩვენებს ოსტატის მხატვრულ ტაქტსა და ზომიერებას, შესრულების დახვეწილობასა და სიფაქიზეს. ჩუქურთმა გამოკვეთილია ქვის სიბრტყეშივე ფონის საგრძნობი შეღრმავებით. ორნამენტი წარმოადგენს ურთიერთ გადაკვეთილ წრეებს უნასკვოთ, როზეტის გამოსახულებით თითოეულში. მთლიანად ორნამენტი მჭიდროდ შემოზღუდულია მოჩარჩოების მარტივი, ვიწრო ზოლით. იმპოსტის ქვებზე ეს ზოლი გაორკეცებულია. მოყვანილი ორნამენტი თავისი ჩამწკრივებული როზეტების სურათით IX საუკუნის ბიეთის ეკლესიის შესასვლელის თაღის მორთულობას მოგვაგონებს. (ტაბ. 431). მაგრამ მოტივის სიახლოვესთან ერთად შესამჩნევია განსხვავებაც.

კომპოზიციის შემადგენელი ელემენტები ბიეთში უფრო დამოუკიდებელია, თითოეულ როზეტს საკუთარი წრიული ფონი აქვს მიცემული, რითაც მკაფიოდ თავს იჩენს მიდგომაში მკაცრი კოორდინაციის პრინციპი. სწორედ ამიტომ ადვილი წასაკითხია მორთულობის აგებულება, მისი შემადგენელი ერთეულების მარტივი, ცხადი ნახატი, მოკლებული ყოველგვარ დამატებით ელემენტებს. იქნებ საერთო მიდგომის შედეგია, რომ ბიეთის ოსტატი მოჩარჩოებასა და შემკვრელი ზოლების გამოყენებას გაურბის.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შედარება შესრულების მხრივ. ბიეთში ჩუქურთმა შესრულებულია სრულიად ბრტყლად, როზეტების კიდეების მკაცრად პერპენდიკულარული ამოკვეთით ფონის მიმართ. ამის გამო როზეტის ყველა ფურცლის სარკისებრი ზედაპირი თანაბარი, გაფანტული სინათლითაა განათებული. რამდენადმე განსხვავებულია ამ მხრივ გარბანის ჩუქურთმა. როგორც როზეტების, ასევე მათი შემკვრელი ზოლის კიდეები გამოყვანილია არა პერპენდიკულარული მიმართებით ფონისაკენ, არამედ ოდნავი მომრგვალებით, კიდეების სიმახვილის შესუსტებითა და შერბილებით. ამის შედეგად ჩუქურთმა ბიეთთან შედარებით მთლიანად უფრო გამოცოცხლებული გამოიყურება. სინათლის თანდათანობითი რბილი დინება როზეტის ცალკეული ელემენტის მომრგვალებულ ფორმას ამჟღავნებს. ეს მომენტი გარბანის ორნამენტს უფრო კუმურდოს (964 წ.) სარკმლის მორთულობის შესრულებასთან აახლოებს¹⁷¹. მსგავსება ორნამენტის ნახატშიც არის. გარბანის

¹⁷¹ П. П. Северов и Г. Н. Чубинашвили. Кумурдо и Никорцинда, М., 1947, лист V.

მსგავსი როზეტები მოცემულია აგრეთვე წრეებში ჩასმული, მხოლოდ წრეები გადაკვეთილი კი არ არის როგორც გარბანში, არამედ გადაჯაჭვულია მცირე წრეების საშუალებით. გარდა ამისა, ორნამენტის მომხარჩობელი ზოლი ნასკვებით უკავშირდება როზეტების შემომსაზღვრელ წრეებს. აღსანიშნავია, რომ როზეტის არც ერთი ფოთოლი დატოვებული არაა სავსებით გლუვად. რა თქმა უნდა, ეს მცირე ამოღარვები არ წარმოადგენს ჯერ კიდევ პლასტიკურ ამოცანის გადაწყვეტას, მაგრამ გარბანთან შედარებით უკვე აღად ნაბიჯია გადადგმული და უფრო განვითარებული წარმოგვიდგება. განხილულ ძეგლებზე უფრო გართულებული კომპოზიციის მაგალითს X საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული თრიალეთის „შეპიაკი“ გვაძლევს¹⁷². მისი შესასვლელის სათაური შემკობილია ჩუქურთმით (ტაბ. 45), რომლის აგებულებაში აგრეთვე მოცემულია გადაჯაჭვული წრეები, მაგრამ მათში ყველა ელემენტი ერთნაირი არაა, როგორც ბიეთსა და გარბანში, არამედ სხვადასხვაა, როგორც კუმურდოში. ძეგლი ჩვენთვის საინტერესოა როგორც მაჩვენებელი ამ ევოლუციისა, რომელსაც განიცდის მორთულობის აღებული მოტივი ვაცილებით უფრო გვიან — X ს. მეორე ნახევარში. განვითარება გამოისახა კომპოზიციის ცალკე აღებული ელემენტის დამოუკიდებლობის შესუსტებაში, რაც შედეგად მოჰყვა წრეების უფრო რთული გადაკვეთის გამოყენებას და, რაც მთავარია, წრეებშორისი ფონის დატვირთვას დამატებითი ელემენტებით. ამის გამო ფონის თავისუფალი არე ძლიერ შემცირდა, ელემენტები ურთიერთ გაითქვიფა თვალისათვის და მათი წაკითხვა გაძნელდა. ამრიგად, შეპიაკის სათაურის მორთულობას ცალკეული გამოსახულების სიცხადე მოაკლდა და იგი წარმოგვიდგება, როგორც ჩუქურთმის ზოლის ზოგადი შთაბეჭდილების აღმძვრელი. ამასთანავე ჩუქურთმის არც ერთი ელემენტი არაა დატოვებული სავსებით გლუვად, არამედ როგორც კუმურდოს მაგალითზე ვნახეთ, ამოღარულია, ანდა დაწილადებულია. მაგრამ პლასტიკური ამოცანის გადაწყვეტისაკენ კიდევ უფრო მიახლოებას გადაჯაჭვულ წრეებში მოთავსებული ფოთლის მოტივის მაგალითზე, X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით დათარიღებული ვალეს კარნიზის ერთ-ერთი ფრაგმენტი და დასავლეთის პორტალის იმპოსტები გვიჩვენებს¹⁷³.

¹⁷² ლ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი. თრიალეთის სავრისთავოს ერთ-ერთი ძეგლი X საუკუნისა, ქარაუღი ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის III სამეცნიერო სესია, თეზისები, თბ., 1948, გვ. 5—6.

¹⁷³ რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი. ვალეს ტაძარი და მისი აღმშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი, ქართული ხელოვნება, III, თბ., 1950, ტაბ. 14, 11.

აღნიშნული მაგალითები მოწმობს, რომ გარბანის ორნამენტი თავისი განვითარებით თუ გაცილდა ბიეთს, კუმურდოსთან ერთად საფეხურზე არ დგას. თავისი ორნამენტის მოტივის ნახატისა და ქურთმის შესრულების მიხედვით იგი ბიეთსა და კუმურდოს წარმოგვიდგება. გარბანის ეს შუალედი მდგომარეობა მის ქრონოლოგიურ ადგილთანაა დაკავშირებული, რომელიც განხილული პარალელების საფუძველზე ძეგლს IX საუკუნის დასასრულისა და X საუკუნის პირველი ნახევრის ფარგლებში აყენებს¹⁷⁴. ამ განსაზღვრას მხარს უმაგრებს ერედვის (906 წ.) სამხრეთის შესასვლელის სათაურის ქვემოთ არეზე მოცემული წრეების მოტივით აღჭურვილი მორთულობა. წრეები, როგორც გარბანის მაგალითზე ვნახეთ, აქაც ორი ზოლის ერთიმეორეზე გადაყვანილი დინებითაა შექმნილი, უნასკვით¹⁷⁵. მაგრამ ზოლები ისეთ წესიერ და მოხდენილ წრეებს არ ქმნიან, როგორც გარბანშია. ერედვის წრეებს უსწორო მოყვანილობა ახასიათებს. ყოველ წრეში ფრთიანი როზეტია მოთავსებული. როგორც ზოლები, ასევე როზეტები („ბრიალები“) საერთო ზედაპირზეა, მაგრამ გარბანისაგან განსხვავებით ზოლს შუაზე ღარი მისდევს, ხოლო როზეტებს ცერადი კვეთის დამუშავების წყალობით „ბრიალების“ სახე მიეცათ. ამრიგად, ოსტატი არღვევს გლუვ ზედაპირს და ჩრდილ-სინათლის მნიშვნელობას ითვალისწინებს ორნამენტის ცხოველხატულ გადმოცემისათვის. ქართული ორნამენტის განვითარების თვალსაზრისით, აღნიშნული მომენტი 906 წლის ერედვის მორთულობას გარბანის მომდევნოდ წარმოგვიდგენს, რაც გარბანისათვის დასახულ ქრონოლოგიურ ფარგლებს IX საუკუნის დასასრულითა და X საუკუნის დასაწყისით აზუსტებს.

განხილული ორნამენტით მორთულია ორი კონსოლიც, რომელზედაც დაბჯენილია სატრიუმფო თაღთან განმეორებული ვიწრო თაღი. ამ განმეორებული თაღის პარალელად ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ აზავრეთი, სადაც აგრეთვე თაღის ვიწრო ზოლი მისდევს კონქის თაღს (ტაბ. 46). იგი გარბანისაგან განსხვავებით მოკლებუ-

¹⁷⁴ ხევის სოფ. ახალციხის ბაზილიკის ეზოში ნაპოვნია კანკელის სვეტის კაპიტელები, რომელნიც გარბანის ანალოგიური ორნამენტითაა შემკობილი (ტაბ. 44). კაპიტელი, ისევე, როგორც ბაზილიკა დათარიღებულია IX საუკუნით (წაკითხულია მოხსენებად რ. შვერდინგის მიერ ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სხდომაზე 1951 წ.). გარბანის ორნამენტის აღნიშნულ დათარიღებას აგრეთვე არ ეწინააღმდეგება ბოლნისში ნაპოვნი მემორიალური ფილის ფრაგმენტი, გარბანის მსგავსი ორნამენტით, იხ. Г. П. Чубинашвили. Божниеский Сион, გვ. 103, სურ. 78.

¹⁷⁵ რ. მეფისაშვილი. ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, IV, 1955, ტაბ. 39.

ლია საკუთარ კონსოლს და ცალი კიდით აბსიდის იმპოსტზეა დაბ-
ჯენილი. ორივე მაგალითის მიმართ საინტერესოა ზეგანი, სადაც
თითქმის იმავე ადგილზე აგრეთვე თალი გვაქვს (ტაბ. 41).
მარის „შეკიდული“ საბრჯენი თალების განლაგებაში შედის და ინ-
ტერიერის მხატვრულ-კონსტრუქციული, მკაცრი სიმეტრიული გა-
დაწყვეტის აუცილებელი ელემენტთაგანია, მაშინ როდესაც, განმე-
ორებული თალი იმავე ადგილზე აზავრეთსა და გარბანში წმინდა
დეკორატიულ დანიშნულებას ასრულებს.

ზეგანის მაგალითი შესაძლებელია სასარგებლო იყოს, როგორც
მითითება იმ საწყისზე, საიდანაც წარმოიშვა ჩვენთვის საინტერე-
სო დეკორატიული ელემენტი.

რაც შეეხება აზავრეთის თარიღს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი
ჯერ არაა საბოლოოდ გამორკვეული და დადგენილი, მაგრამ ეს კი
ცხადია, რომ ყველა ნიშნის მიხედვით იგი მეათე საუკუნემდე
უნდა იყოს აგებული.

როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, გარბანის საფასადო კედლის
სიბრტყე მოკლებულია მორთულობას. მაგრამ ეს კია, რომ სარ-
კმლები და შესასვლელები სავსებით უყურადღებოდ დატოვებული
არაა. აღინიშნა, რომ სამივე შესასვლელი გადახურულია ძლიერი,
სავსებით გლუვი არქიტრავის ქვით, რომლის ბოლოები საგრძნობ-
ლად გადაცილებულია ხერელობის მალს. გარდა წმინდა კონსტრუქ-
ციული დანიშნულებისა, უეჭველია, ხუროთმოძღვარი ითვალისწი-
ნებდა მის ეფექტურობასაც კედლის წყობაში. ადრინდელი ხანის
ძეგლებში, როგორცაა ბოლნის-ქაფანაქი¹⁷⁶, აკაურთა¹⁷⁷ და სხვ.
არქიტრავის ქვაზე რთული კომპოზიციებიცაა გამოსახული. IX საუ-
კუნის მაჩხანის ეკლესიის შესასვლელის გადახურავე დიდ არქიტრავ-
ზე საამშენებლო წარწერა და ჯვრის გამოსახულება არის¹⁷⁸. დაახ-
ლოებით ამავე დროის (VIII—IX ს.) ძეგლებიდან, სირგოსა¹⁷⁹ და
ალანძას შესასვლელის ხაზგასმულ არქიტრავს კედლის სიბრტყიდან
წინ წამოწეული ნალისებრი სათაურიც ემატება. ამავე პერიოდის
ზოგიერთ ძეგლში (არმაზი) შესასვლელი სრულიად სადა, ძლიერი

¹⁷⁶ გ. ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბ., 1936, გვ. 71.

¹⁷⁷ ლ. ჩუბინაშვილი. ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი
ძეგლი, ქართული ხელოვნება, 2, თბ., 1948, გვ. 31, სურ. 4, ტაბ. 18.

¹⁷⁸ გ. ჩუბინაშვილი. VIII—IX საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღ-
ვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერება-
თა აკადემიის მოამბე, ტ. XIII, № 7, თბ., 1952, სურ. 1.

¹⁷⁹ Ник. Чубинашвили. Архитектурный памятник на месте древ-
него селения Сирго, Сообщ. АН ГССР, т. IX, № 6, თბ., 1948, გვ. 387.

არქიტრავითაა გადახურული. მომდევნო პერიოდში შესასვლელი გაფორმებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. X საუკუნეში ძეგლებში, როგორცაა ერედვი (906 წ.), კუმურდო, შეპიაკი, ვალე, შესასვლელებისათვის ორნამენტაციით აღჭურვილი დეკორატიული გაფორმებაა გამოყენებული. მარტოდმარტო ძლიერი არქიტრავით დაკმაყოფილება დამახასიათებელი უკვე არაა X და შემდგომი ხანის გარბანის გაბარიტების მქონე ძეგლებისათვის. როგორც წესი, შესასვლელი სათაურით ანდა პორტალითაა გაფორმებული. ამრიგად, გარბანის შესასვლელთა მარტივი მოურთველი სახე და ძლიერი არქიტრავით გადახურვა, არ ეწინააღმდეგება მხატვრულ-ხუროთმოძღვრული ანალიზის საფუძველზე დასახული ძეგლის დათარიღებას. ამ უკანასკნელზე სარკმელთა მორთულობის განხილვაც მიგვითითებს.

გარბანის სადა ფსადების სარკმლებს მეტად უპრეტენზიო სახე აქვთ, რაც გარკვეულ დროზე ლაპარაკობს.

ძეგლებზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ სარკმელთა მორთულობას განვითარების კანონზომიერი, სრულიად გარკვეული საფეხურები აქვს, რომელნიც განუყრელადაა დაკავშირებული ქართული არქიტექტურის განვითარების ეტაპებთან. ადრინდელ ძეგლებზე, VII საუკუნის ჩათვლით, სარკმელს თუ აქვს მორთულობა, იგი მხოლოდ სხვადასხვანაირი სათაურია (ბოლნისი, მცხეთის ჯვარი, წრომი, სამწევრისი და სხვ.). VIII—IX საუკუნეებში განაგრძობენ მხოლოდ სათაურის გამოყენებას (სამშვილდე, თელოვანი და სხვ.), მაგრამ იმავე დროს ზოგიერთ ძეგლზე აღინიშნება მორთვის სქემატური ჩანასახი სარკმლის ხერელობის გარშემო, რაც მომავალში საპირედ განვითარდება. მართლაც X საუკუნის შუალედით დათარიღებულ „ბერის საყდარში“¹⁸⁰ სათაურთან ერთად ორნამენტირებული საპირეცაა მოხმარებული. უფრო ადრეც, სახელდობრ 906 წელს უკვე მიმართეს ერედვის ტაძარში სარკმლის ხერელობის თავისებურ მორთვის — ორნამენტირებული ჯვრის მკვლავებით, რაც არსებითად, რა თქმა უნდა, საპირეზე გადასვლა იყო. ამ დროიდან შესაძლებელი ხდება თვალის გადავლება სარკმელთა საპირის თანდათანობით განვითარებაზე, რომელიც XI—XII საუკუნეებში მხატვრულად დასრულებულს, რთული ჩუქურთმით უხვად აღჭურვილ ნიმუშებს იძლევა, რომელშიც მთელი სიძლიერით აღბეჭდილია დროის პლასტიკური შესაძლებლობანი (ბაგრატის ტაძარი, ხცისი, სავანე, საორბისი, ბეთანია და სხვ.). თუმცა XI—XII საუკუნეებში

¹⁸⁰ წაკითხულია მოხსენებად რ. მეფისაშვილის მიერ ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში, 1949 წ.

საცემბით თავი იჩინა სარკმელთა მორთულობაში საპირის სობამ და იგი გაბატონდა კიდევ, ეს არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ განვითარება თავიდანვე მხოლოდ სწორხაზოვან ამ ერთადენი მართულებით მიდიოდა. ძირითადი ტენდენცია იმაში გამოისახა, რომ VI—VII საუკუნეების შემდეგ სარკმელთა შემკობის გართულება იწყება. თუ IX საუკუნეში საპირის ჩანასახიც არის (არმაზი)¹⁸¹, X საუკუნის შუალედიდან სარკმელთა მორთულობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. სწორედ ამ დროიდან მორთულობის კომპოზიციური აგების მრავალნაირ ვარიანტს ვხვდებით. ახლა ძეგლთა სარკმლების ზედანი არა მარტო სათაურითაა შემკობილი, არამედ გართულებულია სხვა კომპოზიციითაც. X საუკუნის პარხალის სარკმლის მორთულობაში გარდა წყვილი, ურთიერთ დამორებული ლილვისა მცენარეული მოტივი და ცხოველის გამოსახულებაც არის¹⁸². საინტერესოა X საუკუნით დათარიღებული ქასაგინასა და კუდაროს სარკმლის ზედანები (ტაბ. 48, 49). ორივე ფილაზე სარკმლის ხვრელობი ენერგიულად ხაზგასმულია ორნამენტირებული სათაურით. პირველ ფილაზე სათაურის ზემოთ შუაში, დიდი ტოლმკლავებიანი ჯვარია გამოსახული, რომლისგან მარცხნივ გეომეტრიული სახის ორნამენტი ავსებს თავისუფალ ზედაპირს, ხოლო მარჯვნივ — ცხოველის გამოსახულება. მეორე ფილაზე, სათაურის ზემოთ მთელ არეზე გადაჭიმულია ორთავიანი გველეშაპი. განსაკუთრებული ინტერესის აღმძვრელია ამავე ხანის ბურნაშეთის ზედანი კომპოზიციით: „დანიელი ლომების ორმოში“, რომელიც რთული სათაურის ზემოთაა წარმოდგენილი. სათაური შედგენილია ორ რელიეფურ ლენტს შორის მოქცეული გრეხილი ლილვისაგან. სათაურის წვეროზე ხელთაპყრობილი დანიელი დგას, ხოლო მისგან ორივე მხარეს სიმეტრიულად ლომების გამოსახულებაა.

შეიძლება კიდევ არა ერთი და ორი ამდაგვარად გადაწყვეტილი სარკმლის მორთულობის მოტანა.

ამრიგად, ყველა მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს იმ ტენდენციას, რომელიც სარკმელთა შემკობის საკითხში შეინიშნება XI საუკუნემდე, რომლისაგან მოყოლებული გაბატონებულია საპირით მორთვა.

თუ ახლა გარბანს დავუბრუნდებით. შევნიშნავთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ სათაურის გამოყენება შეწყვილებული ლილვის სახით

¹⁸¹ Г. Н. Чубинашвили. Архитектурные памятники VIII и IX века в Ксанском ущельи, ქართული ხელოვნება, 1, თბ., 1942, გვ. სურ. 9.

¹⁸² Е. Такайшвили. Археологическая экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии, таб. 141.

ჭერ კიდევ განუვითარებელ საფეხურს წარმოგვიდგენს, რომელიც წინ უსწრებს ყველა მოყვანილ X საუკუნის ზედანთა მორთულობებსა და შექმნის დროს.

ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა გარბანის დასავლეთის სარკმელიც, რომელსაც სათაურიც კი არა აქვს. ეს მომენტი ისევ აღრინდელი მიდგომის გადმოძახილია, რაც გარბანის გარდა IX საუკუნისა და X საუკუნის დასაწყისის ისეთ ძეგლებზეა შენიშნული როგორცაა ოპიზა¹⁸³, შატბერდი¹⁸⁴, დოლის ყანა¹⁸⁵, ერედვი¹⁸⁶ და სხვ.

თვით მოტივი გარბანის სათაურებისა — თაღოვანი ზოლი ჰო-ჩიზონტალური გადანაკეცებით VI—VII ს. ოლთისსა¹⁸⁷ და თეთრ წყაროშიც¹⁸⁸ გვაქვს. მაგრამ ამ ძეგლებში იგი გაკაწრული ხაზების სახითაა მოცემული, იმ დროს როცა გარბანის პირდაპირ პარალელებს VIII—IX სს. თელოვანსა და IX—X ს. ექექში¹⁸⁹ ებოულობთ. მხოლოდ თელოვანის სათაური რამდენადმე უფრო ხაზგასმული და დინამიურია, რადგან გარბანისაგან განსხვავებით ლილვი არა უშუალოდ თლილი ქვით აგებული კედლის სიბრტყეზეა, არამედ რიყის ქვით ნაწყობი კედლიდან საგანგებოდ გამოშვერილ, პროფილირებულ თავსართზეა ამოკვეთილი. ამ მხრივ გარბანი ექექის ძეგლს ემხრობა და ამრიგად, ყველა მოტანილი პარალელები მას IX—X ს. ძეგლთა წრეში აყენებს.

ამასვე ადასტურებს ძეგლის წარწერათა ეპიგრაფიკაც. ზემოთ, აღწერით ნაწილში მოყვანილი წარწერები (ტაბ. 18—20) თავისი პალეოგრაფიული ნიშნებით, შესრულების სტილით, IX—X სს. მიეკუთვნება.

ჩრდილო შესასვლელის წარწერის (ტაბ. 19) სტრიქონებს არამწყობრი დამწერლობა ახასიათებს, არაა დაცული ასოების საერთო ზომაც. ნაწერი მთლიანად უშნოდ და უსწორმასწოროდაა გამოყვანილი. აღსანიშნავია ასოების მოყვანილობა: ასო „წ“ იწერება თავშეუკვრელად, თავხაზის ოდნავი მოზნექით ქვეითკენ. მას

¹⁸³ МАК, III, М., 1893, ტაბ. XXXI.

¹⁸⁴ იქვე, ტაბ. XXXV.

¹⁸⁵ იქვე, ტაბ. XXXVIII.

¹⁸⁶ რ. მეფისა შვილი. სოფ. ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი, ქართული ხელოვნება, IV, გვ. 119—124, სურ. 13—16.

¹⁸⁷ Н. Чубинашвили и Ренэ Шмерлинг. დასახ. შრ. გვ. 51, სურ. 9.

¹⁸⁸ იქვე, გვ. 61, სურ. 22.

¹⁸⁹ Е. Такайшвили. Археологическая экспедиция 1917-го года в важные провинции Грузии, ტაბ. 111—113.

ძალიან ემსგავსება ასო „ნ“-ს მოხაზულობა — აქაც არის მეტად გრძელი მთავარი ვერტიკალი, მოკლე თავხაზი ოდნავ ზევითაა აწეული, ფეხი კი ისეთივე მოკლე აქვს, როგორც „წ“-ს. დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს ასოები — „დ“ და (1) წარწერაში — „ვ“.

„დ“-ის ყელი არ გააჩნია და მუცელი ორ წერტილში ეკვრის ქუდს. ასო „ვ“-ინის ორივე კავი თავხაზისა ერთ თარაზულ ხაზზეა მსგავსად ლათინური მთავრული „T“-სა. საყურადღებოა აგრეთვე ასო „რ“-ს დამწერლობაც. მის მთავარ ვერტიკალს ზემოთ მცირე ნაზრდი აქვს, გაზიდული მარცხნივ.

დამწერლობის აღნიშნულ თვისებებს შეიძლება მსგავსება მოეძებნოს IX და X სს. ძეგლთა შორის, ივ. ჯავახიშვილის „ქართული პალეოგრაფიის“ ტაბულაზე¹⁹⁰.

ლაბიდარულ წარწერებიდან მსგავსებას ჩვენ ძეგლთან ვხედავთ საერთო უსწორმასწორო წერისა და გრძელი ქარაგმების გამოყენებით, აგრეთვე ცალკე ასოების მოყვანილობით (წ), იოანე ბოლნელის წარწერაში, რომელსაც ლ. მუსხელიშვილი X ს. მიაკუთვნებს¹⁹¹.

უყელო „დ“-სა და თავგახსნილი „წ“-ს გამოყენებას მაჩხანის ეკლესიის წარწერაშიც ვხვდებით, რომელიც მტკიცედ თარიღდება IX ს. შუა წლებით¹⁹². მაგრამ მაჩხანის წარწერა გარბანისაგან განსხვავებით გამოირჩევა ასოების წესიერი განლაგებით ორ ხაზს შუა და მრგლოვან-ასომთავრული დამწერლობის შენარჩუნებით. გარბანის წარწერა კი, როგორც ვიცით, ნუსხურ ყაიდაზეა შესრულებული, თუმცა სავსებით მოკლებული არაა ცალკეული ასოები ასომთავრულთან მსგავსებას. უფრო ახლოს დგება იგი მთელი თავისი დამწერლობის სტილით უბისის IX საუკუნის ტაძრის წარწერასთან (ტაბ. 21ჟ).

გარბანის პირველ წარწერასაც მოეძებნება პალეოგრაფიული პარალელები. ასე მაგალითად, თონეთის ეკლესიის სამხრეთის მინაშენის აღმ. კედელზე მოთავსებული წარწერა, როგორც ასოების მოყვანილობით, ასევე რამდენიმე ასოს დაკავშირებით ზემოთა ხაზით, გარბანის წარწერას უახლოვდება (ტაბ. 21ჟ)¹⁹³; მხოლოდ, გარ-

¹⁹⁰ ივ. ჯავახიშვილი. ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949, ტაბ. 1.

¹⁹¹ ლ. მუსხელიშვილი. ბოლნისი, ენიმესი მთამზე, III, თბ., 1938, გვ. 338, სურ. 18.

¹⁹² გ. ჩუბინაშვილი. VIII—IX საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 443, სურ. 4.

¹⁹³ Е. Такайшвили. Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. IV, თბ., 1913, გვ. 125.

ბანის წარწერა უფრო ჩამოყალიბებული და დასრულებული ვენება. შეიძლება დავასახელოთ დიდი თონეთის ცალკე ქვაზე რულებული წარწერაც, სადაც სამ ადგილზე აგრეთვე შეეძლება ლია ასოები ზედა ხაზით¹⁹⁴.

შეუნიშნავი არ რჩება გარბანის სამხრეთის კედელზე გარედან, რაღაც ნიშანი, როგორც ჩანს — რელიგიური სიმბოლო. იგი ამოკოდვილია მარჯვენა სარკმლის ქვედა ხაზიდან მარჯვნივ მესამე ქვაზე (ტაბ. 10კ). ეს ნიშანი სრულიად შემთხვევითაა აქ დასმული ოსტატის მიერ, ხუროთმოძღვრულ ელემენტებთან რაიმე დაკავშირების გარეშე. იგი გამოსახავს ჯვარს, რომლის ვერტიკალური ხაზის ზემოთა ნაწილი „მერცხლის კუდიტ“ ბოლოვდება.

აღსანიშნავია, რომ თუ მის მოხაზულობას პარალელი ვერ მოვუნახეთ მცხეთის, ატენისა და მარტვილის ცნობილ ნიშანთა შორის¹⁹⁵. ანდა ამ უკანასკნელებთან ახლოს მდგომ აკვანებისა¹⁹⁶ და ზღუდერის¹⁹⁷ ნიშნებში, სამაგიეროდ IX საუკუნის მაჩხანის ნიშანი¹⁹⁸ უქვევლად თითქმის ზუსტი პარალელია გარბანისა.

ამრიგად, გარბანის ხუროთმოძღვრულ-სტილისტიკური ნიშნები და აგრეთვე ეპიგრაფიკული მასალა ძეგლს IX—X საუკუნეების ფარგლებში აყენებს. ამასთანავე შეიძლება ხაზი გაესვას რამდენიმე მომენტს:

1. ფასადის დეკორში გამოყენებული არაა ნახევარწრიული სვეტებიანი არკატურის მოტივი, რომელიც ჩნდება და ფეხს იკიდებს XI საუკუნის დასაწყისში; გარბანის ჯგუფის ძეგლებიდან იგი ხცისშია მოცემული.

2. საფასადო კედლების ზოგადი გადაწყვეტით გარბანი ახლოს დგას ისეთ ძეგლებთან როგორცაა: უბისი, შატბერდი, შებიაკი, ვალე. მაგრამ მისი ფასადები მოკლებულია ჩუქურთმას, რელიეფებს, სარკმელთა საპირეებს და შესასვლელთა დეკორატიულ გაფორმებას. რაც უფრო აღრინდელ, სახელდობრ, გარდამავალ ეპოქაზე ლაპარაკობს.

¹⁹⁴ Е. Такайшвили. Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. IV, гл. 129—130.

¹⁹⁶ Г. Н. Чубинашвили. Памятники типа Джвари, гл. 65, сур. 3, 4, 5.

¹⁹⁶ ლ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი. ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი, გვ. 33, სურ. 7.

¹⁹⁷ ი ქ ვ ე, გვ. 43, სურ. 25.

¹⁹⁸ გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი. VIII—IX ს. ქართ. ხუროთ. ძეგლთა ერთი რიგის დათარიღებისათვის, გვ. 446, სურ. 8.



მეორე მხრივ, კედლის შიგა და გარეპირისათვის გამოყენებული თლილი ქვა, წყობის წესიერი სისტემა, ე. ი. სამშენებლო სისტემის ხარისხობრივი დონე ამ გარდამავალი პერიოდის ძველ ნაგებობებში მაღლა აყენებს გარბანს. გარდამავალი პერიოდის მრავალ ძეგლთან შედარებით, რომელთაც თლილი ქვით მხოლოდ ნაგებობის კონსტრუქციული ელემენტები აქვთ გამოყვანილი (ალანძა, ხეილიშა, ყიზილ-დერისი, სირგო და სხვ.). გარბანი ამ პერიოდის მიწურულში დგება. ამას მხარს უჭერს IX საუკუნის შუალედით დათარიღებული მაჩხანის ეკლესია, რომელიც სამშენებლო ხარისხით გარბანზე დაბლა დგას. ამასთანავე გარბანის კედლის წყობაში გამოყოფილი საგანგებოდ შერჩეული, უკეთესი ქვის ცალკეული მცირე ელემენტები — ჯვრის გამოსახულება თეთრ ქვაზე სამხრეთის ფასადზე, წითელ ქვაზე შედგმული მწვანე ქვის ჯვარი დასავლეთის ფასადზე, აღნიშნული ეპოქის მხატვრული მიდგომის დამახასიათებელი ნიშანთაგანია.

3. გარბანის სივრცითი გადაწყვეტა და პროპორციები მას თითქმის VIII—IX სს. ძეგლებისაგან და IX—X საუკუნეების მიჯნაზე აყენებს. შინაგანი სივრცის აზიდულობა, რომელიც სიგანის სიმალესთან შეფარდებით გამოისახება როგორც 1.1,8, დამახასიათებელია X საუკუნის ძეგლებისათვის.

4. გარბანის ფასადთა ძუნწ მორთულობაში მკვეთრი თავისებურებების შემცველია თაღოვანი კარნიში, რომელიც თავისი ფორმით IX საუკუნის ბაეთის ფრიზის ელემენტთა უფრო განვითარებულ სახეს წარმოადგენს, რაც მას თამამად აყენებს საუკუნის მიწურულში.

5. ინტერიერში გამოყენებული ჩუქურთმა თავისი სტილისტიკური ნიშნებით IX ს. (ბეითი) და X ს. (კუმურდო) ძეგლებს შორის თავსდება.

ამრიგად, ყველა მონაცემის საფუძველზე გარბანის აგების დროის განსაზღვრას IX საუკუნის მიწურულითა და X ს. დასაწყისით ძეგლის სახე კი არ ეწინააღმდეგება, არამედ სავესებით ეთანხმება დადგენილ თარიღს.

როგორც გარბანის ძეგლის ანალიზმა გვიჩვენა იგი ორგანულად დაკავშირებულია დანარჩენი საქართველოს ხუროთმოძღვრების ევოლუციასთან. ძეგლი აგებულია საქართველოში ახალი ფეოდალური სამთავროების აღმოცენების მომდევნო ხანაში, როდესაც ქვეყანა ეკონომიური და კულტურული აღორძინების გზას დაადგამე-9 ს. მეორე ნახევარში და მე-10 ს. დიდი სამეურნეო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის ხანაა. ხელოს-

ნური წარმოებისა და გლეხური საშინაო მრეწველობის ცალკეულ დარგთა სპეციალიზაცია ცალკე რაიონების მიხედვით აძლიერებული და აფართოებს სამთავროთა სამეურნეო კავშირსა და შინაგან ვაჭრობას ცალკე-ცალკე პროცესს. მთიელები, მაგალითად, ბარში ჩადიოდნენ პურისა და ღვინისათვის და თან მათ თავისი მეურნეობის ნაყოფი ჩაჰქონდათ. მესაქონლეობაც ხელს უწყობდა მოძრაობას. ამ პერიოდის მწერლობაში (მაგ. „ნინოს ცხოვრებაში“) აღწერილია თუ როგორ აძოვებენ ჯავახეთში თავის ჯოგებს არაგველი მწყემსები¹⁹⁹. ყოველივე ეს იწვევდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ურთიერთობას და კულტურულ დაახლოებას.

ჩვენთვის საინტერესო ხანის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები გარდამავალი ნაწარმოებებია. როგორც გეგმების გადაწყვეტით, ასევე ხუროთმოძღვრულ ფორმათა მიხედვით დიდი სხვადასხვაობაა შესამჩნევი. ესაა ძიების ეპოქა, რომლის შედეგები რამდენადმე უფრო გვიან ჩამოყალიბდა.

აღებული ხანის ძეგლები უმრავლეს შემთხვევაში არაა სავსებით გააზრებული მხატვრულად. ისინი შეიცავენ როგორც ძველ, ცნობილ ელემენტებს, ასევე ახალს, რომლის ნაწილმა თავისი სრული დამთავრებულობა მომდევნო ეპოქაში პოვა, ხოლო ნაწილს კი არ მიუღია შემდგომი განვითარება. სწორედ ამ სტილისტიკური პერიოდის მიწურულსა და შემდგომის დასაწყისში აგებული ჩანს გარბანი. როგორც ამ დროის ძეგლებს შეეფერებათ, გარბანის ფასადები მოკლებულია ქანდაკებასა და ჩუქურთმას. მთელი ყურადღება მიქცეულია ახალი სივრცითი ორგანიზაციისა და ფუნქციონალურ მომენტებისადმი. შინაგანი სივრცის წარზიდულობა გარბანში I-X საუკუნის ძეგლებთან შედარებით ის ახალი თვისებაა, რომელიც მომდევნო ხანაში განსაკუთრებით განვითარდა და XI საუკუნის ძეგლებში დინამიურ გადაწყვეტას იძენს. რაც შეეხება საკულტო ნაგებობათა ძველი ორგანიზაციიდან გადმოკეთებულ გვერდით, გამომწვერილ სადგომს, იგი XI საუკუნის დასაწყისის შემდეგ ქრება და მკვიდრდება დარბაზულ ნაგებობათა კომპაქტური დაგეგმარება.

¹⁹⁹ ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, თბ., 1946, გვ. 152.

დასკვნა

გარბანის ხუროთმოძღვრული ძეგლი უგუშმათო ნაგებობათა თავისებური, ახლადგამოვლენილი სახეა, რომელიც გეგმის ზოგადი მოხაზულობის მიხედვით მსგავს ძეგლთა ჯგუფს შეადგენს. გარბანი რომ მართლაც ეროვნული ხუროთმოძღვრების ტიპობრივი ძეგლია, ამტკიცებს ის გარემოება, რომ ასეთი ძეგლები მთელ ჯგუფს შეადგენს საქართველოს ნიადაგზე (ხცისი, ხვილიშა, სარო, კაბერი, უბისი, ყვარშა, ბიეთი, ურიათუბანი, ტამალა, ლელიანი და სხვ.). ეს ძეგლები. რასაკვირველია, ყველა ერთნაირი არ არის. ამ ტიპმა ისეთი ნიმუშებიც მოგვცა, რომელნიც რივითი ძეგლების მნიშვნელობას აღემატება, ხოლო ერთ-ერთი მათგანი — ხცისი კი ქართული ხუროთმოძღვრების საუკეთესო წარმომადგენელთა გვერდითაც შეიძლება იდგეს. ამ ჯგუფის ნაგებობათა გეგმების პრინციპული გადაწყვეტა განვითარების თანმიმდევრობას ამჟღავნებს. გარბანი და მასთან გეგმის გადაწყვეტით ახლოს მდგომი ნაგებობები წარმოგვიდგება როგორც დარბაზული ხუროთმოძღვრების თავისებური ტიპი, აღმოცენებული საქართველოს ნიადაგზე, სავსებით გარკვეულ ადგილობრივ ხუროთმოძღვრულ წანამძღვრებიდან, რომელთა საწყისები ქართულ, ორიგინალურ, სამეკლესიან ბაზილიკებზე მივითითებს.

გარბანის რეკონსტრუქცია სრულიად გარკვეულ კომპოზიციურ იდეას ამჟღავნებს: ნაგებობის გარეგანი სახის უმთავრეს განმსაზღვრელად წარმოდგენილია სამხრეთის ფასადი, რომელსაც მისასვლელი გზებიც ადგებოდნენ. ხუროთმოძღვრის მიერ ნაწარმოების ფრონტალური აღქმა ითვალისწინება — მხოლოდ ასე შეიძლებოდა ამ ნაგებობის მხატვრული არსის სწორი ამოკითხვა.

ძეგლის ხუროთმოძღვრული ორგანიზმი სავსებით ცხად და ლაკონიურ ფორმებშია გადაწყვეტილი. მკაცრად განაწილებულია ზოგადი მასები და ძუნწი დეკორატიული აქცენტები, გარკვეული ექსპრესიულობის შენარჩუნებით.

გარბანის გარეგან ფორმათა განხილვა მოწმობს, რომ ფასადის დეკორატიული მორთვის მხარე ვაცილებით ნაკლებად იზიდავდა

